

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

6 მარტი 2009

№5(83)





15 16

20 09



ბაჩანა ბრეგვაძე მეცნიერებასა და რელიგიაზე
ქალთა უფლებანი და ვირჯინია ვულფი
იოსებ ჭუმბურიძე ვახტანგ ჯავახიძეზე
ფოლკნერის გვალვიანი სექტემბერი
ბესო ხვედელიძის ნოველა
მაკა ჯოხაძის ესეი

წიგნის თარო





შინაარსი

წითელი და წაწივი	2	როსტომ ჩხეიძე ოთახი ზვირთაშვილი (ქალთა უფლებები და ვირჯინია ვულფი)
პასარ-ინფორმაცია	8	ბბარა, სიტყვა, ახარი — ყველაფერი სუთნადაა, ფითნადაა (საუბარი დოლო ჯორბენაძესთან)
ვერსიის გზავნა	11	ლუჯი მაგაროტი, გაგა შურღია საში ქართველი პოეტი
ერი და პარლამენტი	12	პატრიკ ჯ. ბუქენანი ქონსტანტინოპოლისში მართავს
ეკონომიკური პოლიტიკა	13	კონსტანტინე ჯოჯუა რუსეთს დაფინანსებებს მართავს! (მისტიკური ჩანახატი)
არწა	14	ბესო ხვედელიძე მკვლევარი
	17	ლევა კოდალაშვილი ბენარაღური ქრონოლოგია
პოპის ერთი წელიწადი	21	ნატო ინგოროყვა იანვანა დედინათვის
პირველი შემთხვევა	21	მალხაზ ივანიძე სიმონი სინკლერისთვის
პოეზია	22	მერაბ სიდაშონიძე ვინაა წარსულის ნახვა მოშიდა
პირველი შემთხვევა	25	ემზარ კვიციანიძე ლეჩხუბის ყველა დროში საჭიროა
ფიქრი და განსჯა	26	ბაჩანა ბრეგვაძე რელიგია და მენიერება
წინა სადღისთვის დარჩენილი	36	გიორგი გოგოლაშვილი მი მინილ ჯავახიშვილისა მჯერა...
ორი თვესაჩვენებელი	40	შოთა გაგარინი საბჭოთაო შემთხვევებზე
	41	ზაურ მჭავანაძე ასე ვფიქრობ
რეპორაჟი	43	ეკა ბუჯიაშვილი ეს გზა უფლისკენ მიდის
კრიტიკა	46	იოსებ ქუმბურიძე „ბალატიონმა მკოცა“ (ფიქრები ვახტანგ ჯავახიძის „100 ლექსის“ გამო)
	48	ნინო ჩხიკვიანი ზღაპრები ყველათათვის და არა მარტო მათთვის...
ნახატი	52	მაკა ჯოხაძე დიდი აღმთავარი (როცა მონატრება იწყება)
ახალგაზრდობა, ან კი მთავარი	54	თეკლე ჯანელიძე „ახალ სკოლას“ — საერთაშორისო სერთიფიკატი
უსწორი ნიშნა	55	უილიამ ფოლკენერი ბვალვინი სექტემბერი
მინარის ბაიბი	61	თამაზ ნატროშვილი ბვალვინი სექტემბერი აღარ დაგვატოვ...
მუხაბა	63	ელჩავი და მირცხელი

47

დამფუძნებელი „ილიონი“
 მისამართი: თბილისი,
 ჩუბინაშვილის №41
 რედაქცია — (995 32) 96-20-62
 რეკლამა — (995 93) 65-93-68
 გაერცელება — (995 99) 41-95-21
 ფაქსი: (995 32) 96-20-62
 E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე
 პროზის რედაქტორი — ივანე ამირხანაშვილი
 პოეზიის რედაქტორი — მაკა ჯოხაძე
 კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი — თამაზ ნატროშვილი
 მხატვრული რედაქტორი — კარლო ფარულია დიზაინერი — მალხაზ იაშვილი
 სტილისტ-კორექტორი — ნინო დეკანოიძე დეკორატიული — თენგიზ რობიტიანი
 ოპერატორი — თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი — ეკა ბუჯიაშვილი
 გაერცელების სამსახური — ლევან კეკელიძე



გარეკანზე: „ერისიონი“ — ქალთა ცეკვა
 მურმან ჩაჩუას ფოტოგრაფია



როსტომ ჩხეიძე

ოთახი ზვირთაძე

*

ქალთა უფლებანი და ვირჯინია ვულფი

ველა ადამიანს თავისი წარსული აქვს, წინის ფურცლებით ჩამოღული მასში და მხოლოდ მისთვის ცნობილი, მეგობრები კი სათაურის მიხედვით განსჯიან.

ვირჯინია ვულფი

I.

მდინარე იტაცებდა ვირჯინია ვულფს. ტუმზა ტუმზად, და არც სხვა მდინარეებს უკადრისობდა, თუნდაც სულ პატარებს, ოღონდაც წყლის ტალღათა სრმოლისათვის ეცქირა და მათი ბუბუბუსითისავე ეგდო ყური – დაუსრულებლად, მოუჭერებლად...

იქ მიაგრძობდა თავს. იქ ეძიებდა შეებას. იქ პპოვებდა ნუგეშს. ტკივილებსაც ის უამებდა, დარდსაც ის უქარებდა, ფიქრებსაც ის უსწარებდა და გარკვეულ ყალიბშიც უქცევდა. ნიშანდობლივია, ამგვრადაც იქ რომ გაუნეცია გულს მისთვის, ქალებისა და მხატვრული ლიტერატურის შესახებ რომ მოუდომებია რაღაცის დანერა.

ჯერ მკაფიოდ ვერც გაურკვევია, რისია. ამიტომაც:

- ნავედი მდინარესთან, მოვნახე მყუდრო ნაპირი და დავინეე ფიქრი.
- მერე კადვე:
 - ოქტომბრის ერთ დარიან დღეს ფიქრებში ჩაძირული ვიჯექი მდინარის ნაპირას ანდა:
 - ფიქრი მდინარის დინებას მიჰყვებოდა; ანარეკლებსა და წყალქვენარეებს შორის ლივლივებდა, ტალღებს მწვინად ასდევდა და ჩასდევდა, ვიდრე აქა-იქ აზრი უცაბედი ზიძვით არ წამოედებოდა ხოლმე, როგორც ანკესის კაუჭს...

ფიქრისა და მდინარის ამგვარი შერწყმა თუ ურთიერთგანსჭვალვა ვულფისათვის მხატვრული სახე კი არ არის, არამედ ღრმადინტიმური, მშობლიური განცდა; და ამიტომაცაა, რომ საგანგებოდ აუწყებს მკითხველს, თუ სად პპოვა მისმა ფიქრმა შთაგონება და საიდან გადმოდინდა სტრიქონებზე.

მდინარის ხსენებაც ნავსაყუდელად ეგულება, მონატრების შემამაშუბუქებლად.

ესაა თანმდევი ხატი, რომელიც გულისგულში უნდა გტრანდეს ჩამარბული, მაგრამ დროდდებო თუ არ მოინდება ზაგვსა თუ კალმის ნეერს და მზეზე ამოღწევა თუ არ მოინდობა, ისე, აბა, როგორ იქნება!... და ძალიანაც წუ გაუძლიანდები მის სწრაფვას, რადგანაც სადინარი აუცილებლად უნდა პპოვოს...და თითქოს სხვათა შორის გადაიღვლოს ფურცლებზე. შენ კი იცი, რა სხვათა შორისაცაა... იტაცებდა მდინარე ვირჯინია ვულფს.

II.

ოქვენრის ნოველა „ნისლი სანტონში“... საიდან სადაო? თითქოს მართლაც საიდან სად...და მამ ჩამოუეხნათ ამ ნოველას, რომელმაც განა რა უნდა შეგვეთონოს ვირჯინია ვულფის პიროვნულ ხასიათსა და მოქალაქეობრივ მრწამსზე მსჯელობისას?

თუმც რაკილა თავისთავად წამოგვიტიტვება, ბარემ მისი სოფეტური ძარღვიც აღგვედგინა.

გამოთხოვებით ყოველთვის გამოვეთხოვებით. სოფეტური ძარღვი კი გუდომ შემფისეღის დრამატული ყფის ირგვლივ იკვრის, ქლექის მწეავე პროცესს რომ დაუფტენენ მოულოდნელად, და სანტონში გასართობად ჩამოსული ერთბაშად გადაწყვეტს, აღარ ღირს დღეების თვლა და საკედილის სწრაფი მოახლოებისთვის თვალყურის დევნება, რატომ დავიტანჯო, როდესაც შემძილა მორფის აბების გადაყლაბებით ახლავე მოულო ბოლო ტვირთად გადაქცეულ სიცოცხლეს.

რა გჯონინა – ასეთი გადანწყვტილება რაღაც უჭველივად სულაც არ გამოიყურება ამ ქალაქში.

თვითმკვლელები ძალიან მოუშრავლებია მის ნისლსა და ჯანლს, ოზონით გავლენილ ჰაერს, და მხოლოდ გზებს არჩვენენ საიქოსსავე: ვის რომელი უჯობს. ესეც ერთ-ერთი გზა იქით – მორფის აბები.

მაგრამ ბედისწერამ თუ რაღაც იდუმალმა ძალამ მისს როზა უნდა გააცნოს – სად და რა ვითარებაში, ეს ამგვრად ნაკლებ მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ ქალის გულისმხივრამ საუბარმა ერთბაშად უნდა შემოაბრუნოს ყმანელი სიკვდილის ზოიდან და სიცოცხლის დაუოცებელი წყურვილით აღავსოს.

ქიშმა რომ უჭველივად გარდაცვალება უნიმასანარმეტყვლა?

ქალს სჯერა, რომ სულიერ სიმტკიცეზე ბევრი რამ შეუძლია და, მათ შორის, ყოველგვარი სწეულების დამარცხება, თუნდაც უკურნებლად მიზნულის.

აბა, არ გაუტყდე სასონარკვევას, უკანასკნელი ძალღონე მოიძიე საკუთარ არსებაში და წინ გადაუდებე სენის მოძალეხას.

განმდებს, ისე მოიტოვებ უკან, მალე აღარც გემხსნებებ, ასე რასა გაეჭაწე და დაეთრფუნე.

გუდომ შემფისეღს აღიტაცებს ქალის თვითდაჯერებულ კილო, მიენდობა მის რჩევას და უცვრად იგრძნობს, თუ როგორ გაიცროცება და სადღაც გაქრება მტანჯველი განცდები.

- არ ვიცი რატომ, მაგრამ უკეთ ვგრძობ თავს. ერთი საათის წინათ სიკვდილს ვსატრობდი, მას შემდეგ კი, რაც თქვენ შეგხვდით მისს როზა, სიცოცხლე მომწყურდა.



ქალი კვლავ განაგრძობს მის დარწმუნებას: ეს სულ ამ სამიწილი ნიღოს ბრალია; ბურუსიანმა ამინდმა სევდა მოგვგვარა დღეს ორივეს. არადა, რა დროს სიკვდილზე ლაპარაკია, როდესაც ქვეყანა ასეთი კარგიაო.

ლაქია სავევ ჭიქებს შემოუტანთ, თუმცა მათ არ მოუთხოვიათ. სწორედაც დროული კი არის. ლუგს დაიტოვებენ და გამოშვებობების სადღეგრძელის შესვამენ.

- შენი გამოჯანმრთელებისა იყოს, ულტერ, - ტყუის მისს როზა.

- ჩვენი მომავალი შეხვედრისა, - პასუხობს ყმაწილი, და დასძინეს: როდის შეიძლება კვლავ შეხვედეთ?..

- ხომ დამპირდი, მინ ნავალ და გამოვეთვებიო, - ნარბს შეიკრავს ქალი, ვათუ ყმაწილმა მამოლიურ მხარეში გაბრუნება გადაიფიქროსო, - შესაძლოა მალე შევევტო.

სიკვებლის ვინით აღესილი ჭაბუკი გამოთხოვება ქალს და ეტყუა აღარ ეპარება, რომ გამოჯანსაღებული კვლავ ჩამოაკითხავს.

თვითმკვლელობაზე ფიქრი საშუამომად განდევნილია. ამიტომაც აღარ გაახსენდება შორის ანები, სასურავადილ კოლაფში ჩატოვებული.

მისს როზა სკამის საზურგეს მიყრდნობია და ღიმილით უსმენს მეზობელი ოთხიანდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაგონილ სიტყვებს, ადგილობრივი მჭიდრი დასასვენებლად ჩამოსულ უცხოელს რომ უმტკიცებს: მთელ ქვეყანაზე არასადა ასეთი წმინდა პაეა, არავინა ჩვენი ქალაქში მანებელი, არაფერი, გარდა სუფთა ოზონისაო.

ამ დროს ლაქია შემოდის ჭიქების ნასაღებად... თუშუ კერ:

III.

იყო დრო, როდესაც ვირჯინია ვულფს ჯეიმზ ჯოისის გვერდით უყოყმანოდ ასახვლებდნენ.

ასეთი დრო გარკვეულად ამეგამადაც არის - დასავლური მოდერნიზმის ირგვლივ მსჯელობისას კვლავაც შესაძლებელია ერთდროულად გახიზნდეს ორივე სახელი თუ მათი რომანების სახელწოდებანი, მაგრამ ვეროპული ლიტერატურის XX საუკუნის მონაპოვარის ხსენებისას ვირჯინია ვულფის სახეც ცოტა უკან გადაიწეოს და გრანდებს შორის ველარ გაერევა.

თუშუ მწერლობის ისტორიის რომელიღაც მოსახვევში სწორედ ჯოისი და ვულფი შემობდნენ განახლება-გადახალისების დიდელს და ერთგულადაც ეწეოდნენ ჭამანს.

ტომას ელიოტიც ვირჯინია ვულფმა შემოიშველა ამ უნიშვნელაუნესი ფერისცვალებისას. იმანაც იმთავითვე იგრანო და შემდგომ უკვე დაიბეჯითა, თუ სად უნდა ედია ნაესაყვდილიც უსლის მოსაიქმელად და საღაროც ახალი იდეებით აღესისთავის - ვულფების ოჯახსა და მათ მიერ შექმნილ წრეში.

ვირჯინია ვულფი იმ მწერალთა შორისაა კაცობრიობის ისტორიაში, პირადი ურთიერთობებითაც რომ ახდენდნენ



ნაყოფიერ ზეგავლენას სალიტერატურო პროცესებზე, სამწერლო ცხოვრების მომწესრიგებაზე, საზოგადოებრივი ყოფის გაუკეთებებზე... თანაც ისე აენჭობოდა მოვლენები, ინგლისური მწერლობა ჩაუდგებოდა სათავეში მოდერნიზაციის პროცესს და მითუფრო გაიზრდებოდა ვირჯინია ვულფის სახელიც, გავლენაც და გემოვნების კანონმდებლის ავტორიტეტიც.

ეს ყოველივე კი თავისთავად უზიძვებდა ისედაც უღრმესი განათლებიისა და აზროვნების ქალს, ერთ მთლიანობაში გახვდა სამწერლო პროცესისათვის და თანადროული მწიწარება მარჯვდ მეტთანადებინა კლასიკური მემკვიდრეობისათვის.

მას არ ჰქონია ის უჩვეულო გაქანება და ბრწყინვალეობა, რაც აღმოჩნდებოდა ტომას ელიოტს, მსოფლიო ლიტერატურის საკუთარ მოდელს რომ შექმნიდა - უძველესი ტამიდან თავის ეპოქამდე, რომელსაც მისი სახელითაც იხსენიებდნენ და იხსენიებენ: ელიოტის ეპოქა. ჯოისის სახელთაც... და ვულფიც იქ სადაღც იგარაუდება, ეგაა და ეგ.

მერე რა, რომ იმხელა გაქანება არა ჰქონია - ელიოტს კრიტიკული აზროვნების განახლებისკენც რომ უზიძვებდა: მარტო ჩვენი ლექსები თუ რომანები არა კმარა, თუ ყველფრის შესაფერის გადაფასებაც არ მოვახდინეთო, - მხოლოდ რჩეული კი არ წყაყოფილებოდა, თვითონაც მიხანსწრაფლად იღწვრა საამისოდ და ისეთ მწერლებს გამოარჩევდა ესეების გმირებად, რომ მათი თავმოყრა ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ზოგად და საბოიერ სურათს წარმოგვიდგენს, ისეთ ტევადსა და სავესს, ფრამენტულობის ვერც შეატყობთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაინც ესეების კრებულთა და არა მონოგრაფია. კრებული - მსოფლიო ესეისტიკის მომზიბლავი და მჭირფასი ფურცელი.

მწერალ ქალებზე საგანგებოდ იზრუნება, რათა ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ამ თავისებურ პროსპექტში მათთვისაც შეერჩია შესაფერისი ადგილი.

ქალ პერსონალებსაც ის ნარმოამენდა რომ ნარმოამენდა.

არა კმაროდა ეს ფრამენტები იმ ფიქრებიდან, გაუწელებლად რომ დასტრიალებდა თავს ამ თქმას: „ქალები და ლიტერატურა“, და ყოველივეს თავმოყრის შეცდებოდა მოხსენებებში, ნიუშემსსა და გირტონში რომ ნაიციხობოდა 1928 წლის შემოდგომაზე. მოხსენებისათვის ტექსტი მეტად გრძელი რომ აღმოჩნდებოდა, ეს ვერ შეაკრთოდა, დაე მომსენს მოსხმინა მისი მღელვარე დაღადისი - ქალთა, და მათ შორის მწერალთა, ყოფით და სულიერ ტკივილებს შეუფერადებლად რომ წარმოსაზავდა და თანამგონებელთა მოპოვების ესწრაფოდა, რათა გარდატეხა მათ ხვედრში მოიქნებოთი კი არა, საფუძვლიანი და საბოლოო ყოფილიყო.

თორემ რა გამოდიოდა - აგერ უნივერსიტეტის სწავლებლი და პროფესორობაც კი 300 წლის მანძილზე წარმატებით ეკადენდ თვითანი საპატოო ბოიუს, სადაც ქალი ვერ გაისაქმნებდა, და თუ დასრულებული ვირ-

წიგნი და წიგნი



პერსონაჟის თავგადასავალს მიჰყვებოდეს კალამომპირ-
ჯგუფები.

თუმცა რა განსხვავებაა მწერალსა და მის პერსონაჟებს შორის, ხშირად ერთ სულ და ერთ ხორც რომ განიცდებდნენ თანაარსებობა; და თუ სხვებს შეეძლო უკანასკნელ მათს გაწმენდნენ საკუთარ გმირებს და მაინცდამაინც ტრაგიკულ აღსასრულში არ ჩაზარებოდნენ, ანდა გაუსაძლისი სულიერი ტკივილები სულაც მათთვის გადაეშალათ და თავიანთი თვითმკვლელობის აკვიტებულ ფიქრი სულაც პერსონაჟთა თვითმკვლელობით შეენაცვლებინათ, ვერჯინია ვულფისათვის ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

შექსპირის დობა მოინდომა?
თუნდაც ქვეშევრდული, რა აუცილებელია, მაინც-
დამაინც შეგნებულად გადაიწყვიტა ეს გათავისება.
მაშ კიდევ უნდა გამოეცალა ის გზა, შექსპირის დას რომ მოუწევდა.

თითონ შექსპირი მეფე ღირს ედრებოდა და მის ტრაგიზმში ახვევდა საკუთარ გულსთქვენსა და ბედისწერას?!. ვულფე ღრმა სულიერი სიახლოვით გაიკვლია და გზას შექსპირისაგან, და მისი დის ტრაგიზმით იწინასწარმე-
ტყველებდა საკუთარ ბედისწერას.

მსჯელობის გულდინჯი მდინარებით - ანალიტიკში რომ მსჭაბავდა - ამას ვერაინ ამოცნობდა, მიმალულია ის გათიქება და წინასწარხედვა, და მის ნაცვლად მზრუნველობის განცდაა ნაშრომული, თანაგრძნობის, გაუიღბლობის, ყველა ქალისათვის მხარეში ამოღდომის გაუნებლებელი სურვილი, რათა გაუადვილოს მათ ხელთაყმერ დაბრკოლებებთან ჭიდილი და მათი გადალახვის რწმენა ჩაუნერგოს.

IV.

დიდებული გონება ანდროგინულიაო, - ირწმუნებოდა სემუელ ტელიორ კოლირიჯი და ვულფს, რა გასაკვირია, ყველაზე საბიერ ნიშნად მაშინვე შექსპირი წამოგონებო-
და: სწორედ მისი გონებაა ანდროგინული და მამაკაცურ-
ქალური საწყისების მომცველი. ცდილობდა ამ თვალსაზრისში დაედგინებინა ქვეშობილობის მარც-
ხად მაინც, და წარმოედგინა ყველაზე ძლიერი გონების ერთ-ერთ ნიშნად ანდროგინულიაო, რაც მის მთლიანობას ცალკეულ სექსუალურ სულაც არ ანაწევრებდა. და ისეთ დასკვნაზე მიდიოდა: რაოდენ უფრო ძლიერა გონების ამგ-
ვარი მდგომარეობის პოვნა ჩვენს დროში, ვიდრე ოდესმეყო.

ამ დასკვნას ისიც ამაგრებდა მის თვალთახედვებში, რომ დარწმუნებული გახლდათ, არცერთ წინა ეპოქაში არ შეიძლებოდა სექსი ისე მჭიდვად ყოფილიყო გათვითცნობიერებული, ვიდრე მის დროს.

- სწორედ ამისი საბუთია ბრიტანეთის მუზეუმში ჩემ მიერ ნანახი ის უთვალავი ნივნი, რომლებიც მამაკაცების მიერ ქალების შესახებაა დაწერილი. ამაში უმჭკველად მოქმედის ნელიდი ხმის უფლებისათვის ქალების ბრძოლას. აღბათ სწორედ ქალების მხრიდან ამ კამპანიაში აღძრა მამაკაცებში მეტი თავდაჯერებულობის მოპოვების უზარმაზარი სურვილი; ამათ აიძულა ისინი ხაზი გაესვათ საკუთარი სექსის თავისებურებისათვის, რისთვისაც ისინი თავს არ შეინუხებდნენ, ქალების მხრიდან გამოწვევა რომ არ მიეღოთ.

უკვე ისეთი განწყობილება და თვალთახედვა მსჭაბავდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, თუნდაც რა-
დენიმე მაგმილიანი ქალს შეეძლო ისე შეეყვანებოდნენ მამაკაცთა გონებას, რომ მათ გადაჭარბებული მინდობებით დაეწყით პასუხის გაცემა.

საზოგადოებრივ ყოფა ტრიალებოდა, მკვეთრი გარ-
დატების წინაშე დგებოდა და ვულფი ამ გვერდებში რომ ახსნიდა ბევრ ისეთ თვისებას, თანამედროვე მამაკაცთა ნაწერებში რომ ხვდებოდა, საბოლოოდ მინდებოდა დიდებ-
ული გონების ანდროგინულობის საიდუმლოს და შექსპირის ტალანტის უსაზღვრობის ფარულ საწყისსაც.

მიჰყვებოდა ანალიზის, მსჯელობის ძაღს და ძალზე უცნაური კომპოზიცია იკვროდა მის თვალწინ -
წარმოსახვაში ქალი უმაღლეს არსებად იკვეთებოდა, პრაქტიკულად კი სრულიად უმნიშვნელო გახლდათ.

- ის იპყრობს პოეზიის თითოეულ სტროქონს; ის ყველ-
განაა, ისტორიის გარდა. მხატვრულ ნაწარმოებებში ის განაგებს მთელს და დამყვარებლობის ბედ-იღბალს; რეალურად კი ის მონა იყო ნებისმიერი პიქტის, ვისი მშობლებიც თითზე ბეჭედს ნამოაცემდნენ.

ულოზაბეთის ხანა, ინგლისურ მწერლობაში ყველაზე უფრო ხოტბამეხობილი დრო რას აუწყებდა?

ამ ხანაზე დაფიქრებისას თვალწინ დაეხატებოდა ახალ-
გაზრდა დედების საფლავებთან მუხლოყრილი ზაფხუმი და სახლების ბნელი, ვინორ თითებები. და განასეთ დროს ქალს შეეძლო ლექსები ეწერა?..

სამაჰის პირობები XVIII საუკუნის მინორულს განხედობდა, რომდესაც მკითხაო, სუსტ ნაყვად ამორჩნებოდა ქალთა ნაწერები. ზოგადად ქალისი -
საგანგებოდ ჩაურთავს ვულფი - და არა მხოლოდ მარტო-
სული არისტოკრატიის, თავის კარ-მიდამოში რომ გამოეკტილიყო პირფურთა შორისო.

ლტერატურის ისტორია მივიწყებდა ამ ქალთა მხატვრულ დანატკოვრას, მაგრამ ვერ გააქრობდა მათ იდე-
მალ ზეგავლენას სამწერლო პროცესის დინებაზე -
სიახლეს და ცვლილებებზე, რადგანაც:

- წინამორბედი ქალების გარეშე ვერც ჯეინ ოსტინი, ვერც ბროტინგა და ვერც ჯორჯ ელიოტი იმაზე მეტს ვერ დაწერდნენ, რასაც შექსპირი დაწერდა მარლოს გარეშე, ან მარლო - ჩოსტერის გარეშე, ან ჩოსტერი იმ მივიწყებული პოეტების გარეშე, რომლებმაც გზა გაკვალს და დახვინეს ენის ბუნებრივი სიტლანება.

ეს დაკვირვება ძალდაუტანებლად გადაიზრდებოდა სენტიმენტად, მახვილგონიერების მუხტი რომ განმსჭვავებდა:

- შედეგები იმ იქმნება ერთჯერადი, დამოუკიდებელი აქტით; ისინი შედეგად მრავალი წლის მანძილზე სხვადასხ-
ვა სხეულებში მოქცეული ადამიანების საკრთო ფიქრის ყოველი ინდივიდუალური ხმის უკან მასათა გამოცდილე-
ბაა.

ეს შეხედულება თავისთავადაც საგულსხმია, მითუმეტეს, ასეთი მოზდენილი ხატით დამშვენებული -
სხვადასხვა სხეულებში მოქცეული ადამიანთა საერთო ფიქრით.

ქალთა თემაზე შეთხზული მსჯელობა რადაც განსაკუთრებულად ამაღლდებოდა და ღირსეული ფრაზებით რომ უნდა დასრულებულიყო, ვიერჯინია ვულფი



სულაც არ ამირებად ქალებისათვის შეეხსენებინათ თავიანთი მთავარი მოვალეობანი ან მეტი სულიერებისაკენ მიუერთდებინათ. დაე შესაგვისი სიტყვები მამაკაცებს გამოეყენებინათ, და მწერალი ქალაც ან საქმეს სწორედ მათ გადაუღოთ და გულდაამწყვეთინებინათ.

მაშ თვითონ რა რჩევა შეიძლება გაეზარებინათ მათთვის?

– ოცნებად არ ღირს სხვა ადამიანებზე გავლენის მოხდენა. მიიღეთ სამყარო ისეთი, როგორც ის არის.

და მის გონებაში კინოკადრებით რომ ჩაიქროლებოდა საგაზეთო სტატეტიბისა და რომანების მთელი წყება, უცრად აღმოჩნდებოდა, რომ ქალი უმეტესწილად მხოლოდ მაშინ მიმართავდა ქალს, როდესაც რაღაც ძალიან მწარე ჰქონდა სათქმელი. ამკარა ხდებოდა – ქალები მაცარად ექცეოდნენ ქალებს, ქალებს არ მოსწონდათ ქალები. და ვირჯინია ვუელი ერთბაშად გვერდით გადადებდა ყოველგვარ ანალიზსა და სწავლობას, რათა უშუალოდ და მინაურულად მიემართა ყველათვის ერთად და თვითმული მათგანისათვის ცალკეც:

– ნუთუ არ დაიღალეთ ამ ყველაფრით?

თუკი თვითონ მობეზრებოდა, ხომ შეიძლება თანამოაზრენი აღმოეჩინა და თანდათან ეზრუნა ამ წრის გაფართოებაზე.

ქალს არასოდეს მოეხდინა რაიმე მნიშვნელოვანი აღმოჩენა?

არ გაძლოდა ჯარს ბრძოლაში და არასოდეს დაე-მარცხებინა იმპერია?

– არ დაეწერა შექსპირის პიესები?

არ შეექმნა ცივილიზაცია და არც არსად გაეფრცხლებინა? ამ ჩამონათვალში ორიოდ შესწორების შეტანა თავის უფლება შეიძლება, მაგრამ ამით მათი არსი არ შეიცვლება და არც ნუხილი და სინანული განიღვება... მაგრამ არსებობს ზედვის ის კუთხე, რამაც მინაგანი რწმენით უნდა აღავსოს ყოველი ქალი და თამამად „გამიფიროს ხელი ქუჩებისაკენ, მოედნებისაკენ, ტყეებისაკენ, მთლიანად გლობუსისაკენ, რომელიც სავერა შვი, თეთრი და მათი ნახავი ფერის ადამიანებით, და განუცხადოს სამყაროს, ეს ყველაფერი ჩვენი დამასობურებაა.

– ჩვენ რომ არა, ზღვები გადაუტყურებოდა დროებოდა და ნაყოფიერი მიწები უდაბნოებად იქცეოდა. ჩვენ მივანიჭეთ სიცოცხლე, ვაგზარდეთ, გამოვეყენეთ და ცოდად მივცეთ ექვსი-შვიდი წლის ასაკამდე დაახლოებით მღობარდ ექვსასორმოცდასამ მთლიან ადამიანს, რომელიც სტატისტიკის მიხედვით, ამჟამად ცხოვრობს დედამიწაზე.

– ამ ყველაფერს კი დრო სჭირდება.

და რა იქნება, ამ დროიდან შესაძლებელი რომ ხდებოდეს საკუთარი ნახევარი საათის გამოღეფვა – საკუთარი ოთახივით ყველაზე სანდო და საიმედო თავშესაფრის.

თვითონ სწორედ ასე ექიდებოდა ჯოჯობა საგნებსა და მოვლენებს და ცდილობდა ისე აღენერა, როგორც ხედავდა – ყოველგვარი ცვლილებისა და შეკუმშვის გარეშე, მაგრამ გაცილებით უფრო ხიბლავდა ჯეინ ოსტინისა და ემილი ბრონტის ასეთივე საქციელი, რაკიდა მათ ურთულესს, ქალთა მოღვაწეობისათვის შეუფერებელ პირობებში მძლეს ტყერის გაკაფვა.

და დთირამის უძღვინის ორივეს ახალი ეპოქის მოდერნისტი, რადგანაც მათ ჯერ კიდევ როდის სრულიად უარყვეს დიდაქტიკა და:

– მხოლოდ მათ ნაუყოფეს იმ დატინებულ ხმას, რომელიც ჩაესმოდათ ხან ზუსტუნით, ხან პროტექციის ტონით, ხან მმარტამებულურად, ხან ტანჯვით, ხან მოკირბეული, ხან გაბრაზებული, ხან ფაშილარული; მმას, რომელსაც არ შეუძლია ქალებს თავი დაანებოს და საკუთარ თავთან დატოვოს ისინი, არამედ ყველგან თან დასდევთ და რაღაცას კარნახობთ, როგორც მორალისტი გუვერნანტი...

ოსტინისა და ბრონტეზე წერს და საკუთარ იდეალს ნარ-მოსახავს, ამ მწერალთა არცებამი ზორცქმესხულს.

საკუთარსაც და განზოგადებულსაც, თანამედროვეებსა და შთამომავლებს რომ მიანიშნებდა, პირმწიფედ თუ არ უარგაფეთ დიდაქტიკა და ნამიერად მინცე ათხოვეთ ყური იმ დატინებულ ხმას, გაკინდელებათ სრულდასოვანი მხატვრული სამყაროს შექმნა.

ცვატყური რიგაინი თხზულებანი კი რა ბედენაა ან რა თავისთანონებელი, თუკი მწერლის მონოდებას მიჰყვები და ადამიანის სულში შეღწევას ესწრაფი...

„საკუთარი ოთახის“ თხრობა თითქოს აღსარებისკენაც იხრება. ნამიერად შეიძლება მოგჩვენოს, რომ მწერალი სულაც ამ განწყობილებას გაჰყვება, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი განზრახვა ქალთა უფლებების დაცვისაკენ უმიტგებდა. ასეთი არა ხშირად მოხდარა ლტერებატურაში, პირგანდული ჩანაფიერი სრულად რომ ასცილებია მის ზორცქმესმას – ავტორები უძღურენ აღმოჩნდებინა ხორღე ფიქრისა და განცდის მოლოდინულად თავსდატეხილი მორვეის წინაშე. და ვის შეიძლება დამართოდა ამგვარი რამ, თუ არა ვირჯინია ვუელის მსგავს სულიერი ნყობისა და მხატვრული ექსპრესიის მქონე პიროვნებას, მითუმეტეს, აღსარებისაკენ თავისთავად თუ უმიტგებდა ამ თხზულების არაერთი პასაჟი.

მაგრამ არა – მისთვის ისეთი ძვირფასი აღმოჩნდებოდა ქალთა უფლებების დაცვა, ამ გზიდან ეერაფერი გადაახვევინება.

„საკუთარი ოთახი“ რაკიდა რომანი არ არის, არც სტილური არტისტიზმითა თუ უჩვეულო ელვარებით გამოირჩევა, მაგრამ თხრობისათვის წინაშედმოვლია განწყობილებათა ის ცვალებადობა და მძაფრი მინაგანი დინამიკა, რომლის შენარჩუნების გარეშეც თარგმანიშ შთაბეჭდილება ამკარად გავლენიკრთავდება.

და ამიტომაცაა ასე დასაფასებელი ლელა სახნაშეილის მთარგმნელობითი ოსტატობა და სტილური სმენის დახვეწილობა, რომ „საკუთარი ოთახი“ იმგვარი ბუნებრივობით აქცია ჩვენი საწმწერლო პროცესის განუყოფელ ნაწილად, თითქოს ინგლისელი ლედი ამ მხატვრულ-ლოკუმენტურ თხზულებას ქართულ ენაზე წერდა, უსხლტებოდა და ვერც უსხლტებოდა პუბლიცისტურ ჩარჩოს, მეტაფორებისაკენ იხრებოდა და ვერც იხრებოდა და აღსარების წიგნის შექმნას უფრო მომავლისათვის ინახავდა...

მისი აღმსარებლობითი ქმნილებაც ძალიან გამაოგნებლად ქალებს სულიერი შექირვებისას, მაგრამ ჯერ ბარემ ზედაპირზე ამოჩენილიყო ყოფთი დაბრკოლებანი,



ნათები და წლები

რათა გაცილებით მტრისათვის გამზადდარიყო ხელმისაწვდომი, ვიდრე აღსარების ფანრი აიყოლებოდათ.

ამ მზრიავე ტოვებდა ეპოქა თავის დაღს „საკუთარი ოთახის“ ფურცლებზე.

დაღი არ აკლდა ვირჯინია ვულფის გულს, ათასგვარად დახერილს, კვლავაც იმისათვის რომ ფეთქავდა, რომ რაც შეიძლება მეტი ქალი შემოებრუნებინა სიცოცხლისაკენ, სიმშვიდისაკენ, სიხარულისაკენ...

და უჩვეულო განცდით აღვსებდა დემრესისასა თუ თვითმკვლელობას გადარჩენილი ყოველი სული, მწერლური და ადამიანური ვალის აღსრულების შეგრძნებით.

ბედნიერების ციხეი კი ხვა რაღა გინდა ამ გაუსაძლის ყოფაში, როდესაც შენი აზვა გაცევს ურევია მოყვასთა აღვსებამი სიცოცხლის ტინი.

V.

ოქნების ნოველაში კი ლაქია რომ შემოდის ოთახში ჭიკების წასაღებად, ხედავს, თუ როგორ დაუჭმუჭნია ქალს ხელში მუყაოს ცარიელი კოლოფი და კუთხეში მიუგდია, თმის სამაგრით კი ჭიკაში კალაცას ხსნის.

– რა, მისს როზა, – თავაზიანი სითამამით მიმართავს

ლაქია ქალს, – დილაზედ ვერ კიდევ მიდი დროა, თქვენ კი უკვე მარილს იყრით ლუფში!

VI.

ტემზა იქნებ ვირჯინია ვულფის ამბავსაც მყებდა. ტალღებისა და მწერლის ფარული განდობის.

მორევის განსაკუთრებული დატრიალების, რათა მდინარის შესაიდუმლისათვის რაც შეიძლება გაეოლებინა ნუთისოფლის კარიბჭის გამოზურევა.

კარიბჭის იქით არავის დასჭირდებოდა ქუდი და ხელჯობი, მაცნენი „მისის დელოუის“ შემოქმედის მოულოდნელად შემწყვდარი ამქვეყნიური სიცოცხლის.

დანარჩენი ტემზა გვიამაობს.

მაგრამ რა გინდა შეიტყუო, როდესაც ძნელზე ძნელი მოსაძებნი გამზადარან ის ადამიანები, მდინარეთა ბუტბუტში საკუთარი გული რომ გაუხეხევიათ და სამყაროს იღუბალ კარნახს ასე მიწედომიან.

და ღმერთმა უწყის, ოდესმე თუ მაინც მივგანებთ მათ გზაკვალს.

მდინარენიცი ამის მოიმედენი არიან.

და მოსიშის მათი ბუტბუტი – ჩუმი, ჩუმი, ჩუმი გალაბა...

ქასკარს-ინტარკვი

ბგერა, სიტყვა, აზრი — ყველაფერი სუნთქავს, ფათქავს...



საზვარი დოღო ჯორბანაკისთა

„ჩვენი მწერლობის“ დიდი გულშემატკივარი ყოველი შეხვედრისას ისე მოიკითხავს ხოლმე ფურნალს, როგორც ძველ ნაცნობს... უფრო მეტადაც — როგორც მეგობარს. საერთოდაც, დოღო დეიდას (ასე მიმართავს მას ყველა მოსწავლე, ყოფილი თუ ახლადდელი, და მეც ერთი მათგანი გახლავართ) ასეთი „ცოცხალი“ დამოკიდებულება აქვს ყველაფრის მიმართ, რაც გაფორმებებს და გათქვიფებს: „პოპლა, ჩვენი ვსოცხლობით“

ერთი ჩვეულებრივი, ცოტა ხნის წინანდელი შეხვედრის დროს დოღო დეიდას უკვეუბოდი დიდ მაგისტროსთან — ბატონ ნოდარ ანდლულაქისთან საუბრის შესახებ. მონაცემ მასწავლებელს იხსენებდა — ნოდარ ანდლულაქე აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე მიამბობდა საინტერესოდ, ჩვეული ექსპრესიითა და მიშხიდევლობით.

ერთმაც თავისი სკოლა შექმნა და მეორემაც. ერთმა ეთანამედნიერებამი, მეორემ — ეოკალურ ხელოვნებამი. თუმცა რა არის ვასაკვირი ასეთი დიაპაზონისა და მასშტაბის პიროვნებებისგან?

სიტყვა მოიტანა და, რადგან სკოლის შექმნაზე, რაღაც ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე ჩამოყარდა სიტყვა, პიონერთა სასახლე და ქართული ენის „საუნჯე“ გაკვიხენით. აქ თავმოყრილ მოსწავლეებს მართლაც რაღაც აწვეულებრივ

ზღაპრულ სამყაროში მიგვიძღვებოდნენ ჩვენი მასწავლებლები, რაც არაფრით ჰგავდა წინასწარ განსაზღვრულ, საყოველთაო, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას. ეს სულ სხვა იყო. პირობითად ასე დავაჩქმედო: თავისუფალი აზროვნების, თავისუფალი თემების, „გაცოცხლებული“ ქართული ენის მდიდარი და მომწუსხველი სამეფო.

აღბათ, ეს უჩვეულო და ანდამატებით მიშხიდველი გარემო გვაძლევდა იმის სითამამს, რომ უარი გვეთქვა და ჩვეულებრივი მიმართვა: „მასწავლებლო“ — ნაცრისფერი სკოლის კედლებისთვის შეგვეტოვებინა და უფრო თბილი და მშობლიური „დოღო დეიდათი“ შეგვეცვალა. ამიტომ მგონია, რომ ფაშიზარულადაც ადარ ელერს ეს მიმართვა...

ჩვენს საზვარს ახლა მაინც ტრადიციული მიმართვით ავიწყნებ:

— ქალბატონო დოღო, იქნებ გაიხსენოთ, როგორ დაიწყო ყველაფერი? როდის მიხვდით, რომ აუცილებლად მასწავლებელი უნდა გამხდარიყავით, უსათუოდ ქართული ენისა და ლიტერატურის და თან თქვენი სკოლა უნდა შეგქმნათ, საკუთარი ხელწერა და სტილი დაგვეკვიდრებინათ?

— დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მასწავლებლობას მოკვდი ხელი. როდესაც მომიაბას ენიფებდი, საჭიროებამ

მიკარანხა, რაღაც ახალი ფორმები გამოიშენება იმისათვის, რომ ბავშვებს უსწავლათ თავისუფლად წერა; უფრო სწორად, თავისუფალი აზროვნება. მე თვითონ ამის მომხრე და მიმდევარი ვიყავი, რადგან სრულიად ახალგაზრდას, სტუდენტს, აკადემიკოსს ვარაღმ თოფურია გვიტარებდა ხოლმე მოულოდნელ „წერებს“.

სკოლაშიც რამდენიმე გამორჩეული მასწავლებელი მყავდა. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო.

ბედნიერებაა, რომ შევხვდი ისეთ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ: ვანო ფანჯიკიძე (ისტორიის მასწავლებელი), კატო დემეტრაშვილი (გეოგრაფიის მასწავლებელი), რომელიც უნივერსიტეტის ლექტორი იყო და ერთი კლასი ჰყავდა მხოლოდ, რადგან სკოლა უყვარდა და მასწავლებლობას ვერ ეტლიდა.

ასევე, ჩემი მასწავლებლები კანკინდლათ მათემატიკოსი ტერენტი ტყემალაძე. მას არ ეხარებოდა თვითონ შეედგინა ყველასთვის, ოცდაცამეტეც მოსწავლისათვის, განსხვავებული მავალით და ამოცანა ყოველ წერაზე. სახალისო ფორმებით იყო აგებული მისი გაკვეთილები. ორიგინალურ კითხვებს მოიფიქრებდა და ისე გვაანარაგრებინებდა და გვასწავლიდა ათას რამეს. მავალითად, შემოურბნის თუ არა კატა ეკვატორს? პითაგორას თეორემა კი რუსულად გააქვეყნო სიტყვებით დაგვამახსოვრა: „Пифагоровы штаны на все стороны равны“. საზრიანობასა და გონების გამჭვირვაბობა-სისხარტებუ იყო გათვლილი მისი სახალისო კითხვები. ეს იყო რაღაც საოცრებათა სამყარო და არა მათემატიკის მოსაწყენად და ერთდფროვნად აგებული გაკვეთილები.

ისტორია რატომ ვიცოდით განსაკუთრებულად? დაიწყეთ! — იტყვოდა ხოლმე ვანო მასწავლებელი თავისებური ინტონაციით და შეიძლება ისეთი რამ დაგვეწყოს, რაც იმ დღეს გაკვეთილად საერთოდ არ გექონდა. სულ სხვა, მაგრამ გასაოცრად სამყაროში ამოგვაყოფინებდა თავს. უკვებ დასავნა უჩვეულო კითხვას, მოულოდნელს, მაგრამ საბუნდამოდ რომ ჩაგეტყუებოდა გონებაში. მისგან ვისწავლე, საერთოდ, კითხვის დასმა. მას არ სჭარბებოდა შენიშვნის მოცემა, სულგანაბლი მოქერებოდი, რას იტყვოდა.

ასევე გვიყვარდა ტერენტი ტყემალაძე. საღამოს სულ მას ესტუმრობოდი ოჯახში, პეტრიაშვილის ქუჩაზე. მასწავლებლის სახლებზე და სიყვარულიც მისგან ვისწავლე. ყველაზე ჩამორჩენილ და ოროსან მოსწავლეს ისევე ეპყრობოდა, როგორც მე, რომელიც სამ მეთერთმეტეში ყველაზე კარგად ვსწავლობდი. საოცარი კაცი იყო. მას პიროვნება აინტერესებდა... ნაღველი იყო მისი სახლი ბავშვებით. ეს იყო სიყვარული, განსაკუთრებული სიყვარული მოსწავლის მიმართ — იმის მიხედვით კი არა, ვინ უკეთ ვსწავლობს, შენ რომ საქმე გაითილო, არამედ იმის მიხედვით, ვის როგორ თვისებები აქვს. ეს ყოველივე ამ ადამიანისგან შევითვისე.



დოდო ჯორჯანდელი
მხატვარი ცოლა კანდელიაკი

ახლა გეოგრაფიის გაკვეთილები? კატო დემეტრაშვილი შემოვიდოდა და იტყვოდა: წარმოვიდგინოთ, ვენეციაში ვართ, დახეუქოთ თვლებში გრძლოდა ეს სხედეგარო, სად გაჭერნდე? პარიზი როგორია? ჩილიში რატომ არ ხმარობენ ნიადავის გამამნიყერებულ ქიმორს ნიოთიერებებს? ეგვიპტეში ვიცოდით ისე, თითქოს ჩვენ ადმოგვეყენონ ფარაონთა პირამიდები. პინგვინებს რომ საბავშვო ბაღები აქვთ? საოცრებათა სამყაროში დაგეტარებდა. ფუტკრებსა და ჭიანჭველებზე იმდენ რამ ვიცოდით, მეგობარ, ჩემი მშენი იყვნენ...

სულ რამდენი ნამომყვა ცოდნის, შემიცნების სიყვარული. მარტო წინაიდან ამას ვერ ისწავლი.

მეგობრის მეგობრი არ ილიოდა; თითქოს საგანგებოდ იყო ჩენი კლასი შერჩეული. ოცდაცამეტე მოსწავლიდან თოთხმეტი მედალოსანი ვიყავით, დანარჩენებმა — ვერცხლის. ისეც ძალიან კარგი იყო, მეგობრს ჰგავდა. მონაფლობიდანვე გამოიშეშედა პირველობის გრძობა. ყველა საქმეში მინდა ვყო პირველი, თუ არადა, შრცხვებინა.

ახლა რომ შემოიღეს და დაარქვეს პრეზენტაციები, ჩვენ მაშინ უკვე გვეორდა სწავლების ასეთი ფორმა. კატო მასწავლებელი მოგვიტანდა ნიგნებს და დაგვაუბებდა: „აი კვირის შემდეგ შენ წარმოადგენ ახალ ზელანდიას!“ და შევავრთვებოდი ყველა ცნობას, ყველა ამბავს, მოვლენას, რომელიც ამ ადგილს უკავშირდებოდა.

უნდა გავისენო რუსულის მასწავლებელი — სოკრატე მშვიდობაძე. ყველაზე დიდ დროს შევდამოეხმის გასწორებას უთმობდა. ერთხელ რუსული კარნახის წერისას სიტყვა ტროლიბუსში ერთი დ გამომოიტოვებია. ვარეთ მივდიოდა, კლასის შესასვლელთან. ჩამკიდა ხელი, ჩამარბენია კიბეზე, გამოყვანა ქურხში, მიმოყვანა ტროლიბუსის გაჩერებზე და ფირინშე მიმოი-

თითა, ნაკითხე. ვერ მივხვდი გამოიგორა, ნაკითხე, და ნაკითხე მივხვდი ჩემს შეცდომას.

ამის შემდეგ ვისწავლე მნიშვნელოვანი რამ — დაეკრებება! ჩემს მოსწავლეს ვეკითხები, რა გინდა, ოურისტობა? აბა, რომ მოდიოდი, რამდენი საღვებრი ამოიარე? გაოცებული მომჩერებოდა... ეს სულ ჩემი მასწავლებლისგან შეთვისებული კითხვებია. ვინორს უნდა ამბავი, შენს საქმეს თუ უძველესურს გულსა ჰგმირადეს?...

ეს ყველაფერი დაგროვდა...

— სკოლაში ასეთი სანტიტრესო ვარემო ექონდათ. ოჯახში? მინ?

— დედა მყავდა ძალიან ძლიერი პიროვნება. ისეთი — იტყვოდა და, მისი სიტყვა უნდა შესრულებულიყო. მან მიმაჩვია ასეთ ყოფას: რასაც აკეთებ, იკოვდი, რომ ცოტაა დიდი ამბავი, ხუთოსანი თუ ხარ! დიდი ამბავი, შენს საქმეს თუ უძველესი! ყველაფერი მისთვის იყო ცოტა! უფიცობა იყო სირცხვი-



ლი და კიდევ ასეთი დედა სახლში, რომელიც მიღწეულით არასოდეს გამაყოფილებოდა. სულ დატვირთული ვიყავი არა მხოლოდ სწავლით, ოჯახის საქმითაც. არადა, ცალკე მოსამსახურე გვყავდნენ, მაგრამ დედა ამას აკეთებდა იმიტომ, რომ ჩემი დიდი ძენერა სწორად განაწილებულიყო და სწორ კალაპოტში მოქცეულიყო... შრომა შემახსისხლბორცა. მისწავლა, რომ „მინდამ“ არ უნდა შეტყაობს.

მოკლედ, დედის ნება-სურვილით სამედიცინო ინსტიტუტში ჩამირიცხეს რეოლოგი მედიკოსად. არ მინდოდა, არ დავდივოდი. ნავედი უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე და ჩემს მეა ყუბანევილას მივუჯექი გვერდით. ახლა ექვნი ვიქნებოდი და ცუდი ექიმი აი, ამ ყველაფერმა მოაზნა-და ნიადაგი საიმიხოდ, რომ ვყოფილიყავი მუდამ მაძიებელი და არასოდეს დავგამაყოფილებულიყავი მიღწეულით.

— პირველი ვაკეთოდი როდის და სად ჩაატარეთ?

— სტუდენტობისას დავდა სკოლაში ვაკეთოლის ჩატარების დრო. პრაქტიკა უნდა ვაგვევლე. მაშინ თალაკვაძე იყო ხელმძღვანელი. კარგად მახსოვს. მერიდი კლასში და, ვითომ არაფერი, ყურადღებას არაფერ მაქცევს. მივხვდი, რაღაც ისეთი უნდა მომეშოქმედებინა, რომ „დამეპყრო“ და „დამემორჩილებინა“ ამ ეთიომ უფროადლები და უფლისყურო უფროსკლასების გული და გონება. მაშინ ვიგრძენი რაღაც ისეთი, რამაც მიკარნახა, რომ ამის ძალა შემიძლია. გეხი იმ ბოქსსენ ავიღე, რომელიც იჯდა და ერთი ხელდენ მეორე რკინის კარგა მონრდილ ფაქტს აჩრიალებდა. ვადავწყვიტე სპექტაკლი ჩამეტარებინა. მახსოვს, აკაკის პოეზია იყო ასახსნელი. შევიღად დავიწყე: „ჩემო ციციანთოლა...“ ვაგვარძელე: ციციანთოლა იმეღა, ციციანთოლა სხვია, ციციანთოლა გულში სინათლის ნამცვთია... ვადავდიე „სულიკოლი“, შემეღად — „განთიაღებ“ და ბუზის გაფრენა ისიმი.

მაშინ მივხვდი, რომ ისევე ვქმედი, როგორც ვანი ფანჯაკიძე — ჩვენს სახეებზე ნაკითხული განწყობის მიხედვით რომ ატარებდა ვაკეთებდა და არა იმის მიხედვით, რა იყო გვემი გათვალისწინებული ან ფურნალში ჩანჩქილი.

ისიც ცხადი იყო, რომ ხალისისა და ლამაზი გოგოს (ალბათ, ასე აღმიქვამდნენ ის უფროსკლასელები, რადგან მათზე სულ რამდენიმე წლით უფროსი ვიყავი) ვაკეთებოდა ჩაწლის გვე-ბა ჩაფლავდა.

სპექტაკლი დავდედი, პოეზიის საათი ჩავატარე! ეტრიალებდი კლასში, ეტრიალებდი... წუთით არ დავმჯდარე, არც აკაკის პოეზიაზე საუბარი და ლექსების კითხვა და კომენტარები შემინყვეტია. მივხალალოდი ამ ჯაჭვიან ბოქსს, მერტვის კიდებ ჩამოუჯექი, ხელი შემეშვიკე... თან ლამარაკ ვაგრძელებდი და ხელი ვაგვიშორე. ჩამინბარია ჯაჭვი... პოეზიაზე საუბარი არ შემინყვეტია, ვაგავარძელე. უნივერსიტეტის ვარლამ თოფურია ესწრებოდა. მან მითხრა: ასპირანტურის კარი შენთვის ღია იქნება, მაგრამ დაიმსახურო, რომ შენ მანავლებლად დაიხადე.

ამ შეივდი ბორონა და მისწავლეთა სასახლეში. ამ დამხედი არამეკლებრივად საინტერესო ხალხი: ანო კასრადე — სიახლის წყურვილით აღსავსე ნიჭიერი პიროვნება, ფიცა პაიჭაძე, ბავშვების უსახლო სიყვარულით განმსჭვალული, მათში შემოქმედებითი მარცხის გამოღებულ და ბიძგის მიმცემა... ნანა ბერიძე — ყველაფრის ღამაზი თვალსაჩინოებით გამჭორმედი და დამამსვენებელი, ეფერ ნაკიძე — ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნე, ნათელა ხანიასვილი — სახალისო ფორმების შემქმნელი და მაძიებელი... და რაც მთავარია, აქ იყო სიახლის დამკვიდრების დიდი სურვილი...

საოცარ ნერვიოს მიმართვის ამ ადამიანებმა, შრომისთვის ფორმის მიცემა და საჯარო გამოსვლა მისწავლეს.

პირველი, რაც დაეიქორე: ფაცია პიჭაძე სიტყვის გროვას აძლევდა მოსწავლეებს და მისგან ამბავი უნდა აკმუნებინათ, რაღაც მცეთხზათ. მე უკვე გონებში მუდამ ჩემი მანავლებლებისგან გამოყოფილი „ნოტიური საგზალი“ მანავალფეროვანი კითხვები, ინფორმაციის მოპოვების და ბიზნის გზები, ამა თუ იმ საკითხთან მისასვლელი სახალისო ფორმები და, რაც მთავარია, სიყვარული და გულწრფელობა იმით მინართ, ვისაც გინდა, რომ რაღაც ასწავლი. ისინი „გაიძულებნენ“, რომ მუდამ ექიო, ისწავლო, ვაიგო...

ბევრი მომცა იმედაშვილების ოჯახმა. ქართული სიტყვისა და მწერლობის დიდ სიყვარულთან ერთად მათ გვერდით ვისწავლე სისადავც. ერთხელ გიორგი ლეონიძემ მითხრა, გინდა ქართული იციდე? — რა თქმა უნდა, ძალიან მინდა-მეთქი. სულხან-საბა მსახველი, რუსთაველი ხელიდან არ გაუშვია. ჩემი დიდი უფროსი მეგობარი იყო გიგოზ იმედაშვილი. ბევრი რამ ვისწავლე მისაგან.

— რა გაჩუქათ ასეთმა ცხოვრებამ და სად იმალება თქვენი ახალგაზრდული, უღვივებელი საიდუმლო?

— ასეთმა ცხოვრებამ მაჩუქა ის, რომ ვიძირებოდა ათვალბარდების სიყვარულში. ერთ მგავლობის მოციგვან. ერთ-ერთ ჩემს მოსწავლეს (მარიათ პაგრატიონ-ყაყაყაშვილს), რომელსაც გახლავალი ცხოვრება ერცო — ხან საქართველოშია, ხან — უცხოეთში — ომის შიშის გამო რაღაც უცნაურ სინდარში ჩაუსახლდა: არაფერი ერცება. ერთ ლექსის შევანს და მეორე აღარ გადახდის. სად არ ატერეს, ვისთან არ მუყედათ. ბოლოს პატრიარქთანაც მივიყვანე. დალოცა ჩვენმა სულიერმა მწყემსმთარანა. ურჩია, ღვთისმშობლის ხატს სთხოვე, ილიცო, შეგვენყო, და ტკბილულიც გამოიტანა, ციტ-ციტ-ცოტ ყოველდელ შეჭაიწო. იცით, რა ქნა ამ პაპებზე? თვითონ ხომ იცემა ტკბილული, ღებინება შეუნყდა და, გახარებულს უთქვანს, ამას დოდოდესაც ნაუფლებ, ახველებს და იქნებ მოჩქესო. ოჯახის წევრები არ მიაკარა და მე მინილავდა. ამაზე დიდი და ამაზე უეთესი რა უნდა ვინატრო?

ქართულს ხომ გერციან და ერციან, მერც სხვა საცნებშიც ათები მყავთ... ასეთი გამარჯვებებიც გეპქეს...

ახალგაზრდული ენერჯის საიდუმლო? კის არის, რომ წლებს ვერ ვითვლი, ამისთვის ვერ ვიციდი, სულ საქმე მაქვს...

— რა ეფუძვნება თქვენი სკოლის წარმადე?

— ჩემს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ნაცროვებ ცოდნას და ჩემი მეგობრების ნიჭიერებით ვაკვალულ საინტერესო მიგზნებების სასე ვხას.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, როდესაც აკადემიკოს არნილდ ჩიქობავას ხელშეწყობითა და მონადიგებით სახალხეში ქართული ენის ხელმძღვანელი მუშავებ. სხვათა შორის ამ საქმეს მამირდელმა განათლების მინისტრმა — უშანგი ოპოლაძემ ძალიან შეერვი ხელი.

მოუდვიარ მს შემდეგ და ემატება და ემატება ჩემი მოსწავლეების რიგს ახალ-ახალი წყება.

იცით, რატომ? ჩვენს ვაკეთობლებზე სველაფერი ცოცხალია — ბერო, სიტყვა, აზრი! ცეცხლი და ქვა, ხე და ქული, ღრუბული და კალამი!

ყველაფერს თავისი ხმა აქვს, ყველაფერს — თავისი ფორ!

ესაუბრა
თამარ ღონღაძე



მარშან გახუფულზე (7-10 მაისი) იტალიის ქალაქ ტურინში გამართულ ნინის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოდან მიწვეული იყო მწერალთა მცირე ჯგუფი. პოეტები — ლია სტურუა, პესიკ ხარანაული, ეშვარ კვიციანი, პროზაიკოსი — ლევან ბერიძე, ახლახან იტალიის ერთ-ერთ ლიტერატურულ ყურნალოში გამოქვეყნდა სამივე პოეტის ლექსები ორიგინალის ენაზე, იტალიური თარგმანებითურთ. აქვეა დაბეჭდილი ერთობლივი წინათქმა, რომლის ავტორები არიან ცნობილი ქართველი ლოგო, საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი მკვლევ, ქართული მწერლობის პოპულარიზატორი, კენესიის უნივერსიტეტის პროფესორი ნუჯუა მავარტო და იტალიაში ნაციონალიზმის მკვლევანე მენდი თანამეგობრე — ნიქიერი პროზაიკოსი და სწავლული, მთარგმნელი, საექსპონატო მენეჯერბათა დოქტორი გავა შურლიაია. პუბლიკაციას მართალია ძველი და ახალი თბილისის ახსახველი გრაფიურები და ფოტოები. „ჩვენი მწერლობის“ უახლეს ნომრებში დაბეჭდებია ეშვარ კვიციანის შიბაბედილბანი ტურინში მოწყობილ ნინის ბაზრობაზე. აშვერად კი ვთავაზობთ ზემოხსენებული წერილის ქართულ თარგმანს.

ლოჯი მავარტო
გავა შურლიაია

სამი ქართველი
პოეტი

ნარმოვიდგენთ სამი ქართველი პოეტის — ლია სტურუას (დ. 1939), პესიკ ხარანაულისა (დ. 1939) და ეშვარ კვიციანის (დ. 1936) რამდენიმე ლექსს. მათი დაბადების თარიღების მიხედვით, ისინი განეკუთვნებიან პოეტთა ძველ თაობას, რომელთაც მოღვაწეობა დაიწყო XX საუკუნის 50-იან წლებში და სახელი გაითქვას 60-იან წლებში.

ლია სტურუამ დამამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1975 წელს დაიცვა დისერტაცია სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ფერის მხატვრული ფუნქცია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში“. 2003 წლიდან სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში. იგი ავტორია 14 პოეტური კრებულითა. რამდენიმე წელი იყო სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების კომიტეტის წევრი. ბოლო კრებულში „ასი ლექსი“, რომელიც გამოქვეყნდა 2008 წელს, მიენიჭა გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია პოეზიაში.

ამ წლების მანძილზე მის ლექსებში გამოიკვეთა სამი ძირითადი მახასიათებელი: ნარმოსახვის ამოუნურავი შესაძლებლობა, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც სიურრეალისტური; ამას მოჰყვება თავისუფალი ლექსისადმი მისი განუხრელი ერთფულები, უფრო მეტიც, პოეტმა დაარღვია ქართული ტრადიციული მეტრიკა, რაც საშუალებას აძლევს დაუმრკობლად შექმნას მრავალფეროვანი სახეები და გარკვეულინადა გვიჩვენოს საკუთარი მე. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ უკანასკნელი ელემენტის გამო ლია სტურუას უმ-

თავრესი მიზანია, პოეზიაში წარმოაჩინოს საკუთარი თავი, ილაპარაკოს მასზე.


ბესიკ ხარანაულიც პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1954 წელს და ამის შემდეგ დაიბეჭდა 14 პოეტური კრებული და ერთი რომანი. სხვადასხვა დროს მიენიჭა სახელმწიფო პრემია, შოთა რუსთაველის სახელობის პრემია, ილია ჭავჭავაძისა და სულხან-საბა ორბელიანის პრემიები პოეზიაში.

ბესიკ ხარანაული თავისუფალი ლექსის დიდი თავყანისმცემელია და ხშირადაც იყენებს ამ ფორმას. ლია სტურუასაგან განსხვავებით, დაფიქრებული, მოაზროვნე პოეტი, უფრო იზიდავს ყოველდღიური და საჭირბოროტო პრობლემები. მაგრამ მჭვრეტელობით ტენდენციას მიჰყავს დისპარმონიული და ფრაგმენტული ხასიათის ძიებებამდე, რითაც გამოირჩევა თანამედროვე ადამიანი. ამდენად, იგი გვეკლინება, როგორც თანამედროვე აფორისტული, დაუსრულებელი პოეზიის წარმომადგენელი.

ეშვარ კვიციანი 1959 წელს დამამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1966 წლიდან მუშაობდა ახალგაზრდულ ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარიში“. არის ქართული ლიტერატურის მკვლევარი. პირველი პოეტური კრებული „გზაში ნათქვამი სიმღერა“ გამოაქვეყნდა 1963 წელს. ავტორია თხუთმეტამდე პოეტური კრებულისა, აგრეთვე, მონოგრაფიებისა, ლიტერატურული ნარკვევებისა, ესეებისა პოეზიასა და მხატვრობაზე. 1992 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია. მოკრძალებული და ხმაურის გარიდებული პოეტი ეშვარ კვიციანილი შორსაა დიდი სოციალური პრობლემებისაგან, მის ყურადღებას იფერო იყრბობა პატარა-პატარა, ერთი მუხედვით უწინმენლო, კერძო შემთხვევები. ამდენად, შეიძლება

ითქვას, რომ ეს არის მინიმალისტური პოეზია, მაგრამ მეტრულ და ლინგვისტურ კანონებზე დამყარებული. ნარმოდგენილ სამ პოეტს შორის მხოლოდ ეშვარ კვიციანილი იკვლევს ენის, ლექსის, რითმის სფეროს, გარკვეულ შედეგებსაც აღწევს და თავისი ორიგინალურობით ინტერესსაც იწვევს.

იტალიურიდან თარგმნა
ნანა ზარდიაშვილმა





პატრიკ ჯ. ბუქენანი

ეთნონაციონალიზმი მართავს

პრუსიის დანიასთან, ავსტრიასა და საფრანგეთთან მოპოვებული — მეორე რეიხის დასაბამის მომანამდებელ — გამარჯვების აღსანიშნავად აღმართული სივსოილეს სვეტის წინ მდგომმა ბარაკ ობამამ თავი მსოფლიო მოქალაქედ გამოაცხადა და ისაუბრა "ერთიანი მსოფლიოზე". გლობალიზებმა გაიხარეს. ამრიგად, ამ, თერთკანინი კანზასელი თინეიჯერისა და მაკკინანი კენიელი პედაგოგის გაეის, არჩევამ კარი გაკვილო ახალი "პოსტრასობრივი" ეპოქისა.

თავს ხომ არ ვიტყუებთ? ნუთუ ცხადი არ არის, რომ მეოცე საუკუნის უძლიერესი, ერებისა და იმპერიათა შემოქმედი და დამაქცევარი, ეთნონაციონალიზმის ძალა, ხალხებს ეროვნული სახელმწიფოების შექმნას რომ შთააოწმებს და საკუთარი რწმენისა თუ კულტურის, რასისა თუ ტომის უზენაესობაში არწმუნებს, მიუღ მსოფლიოსაა მოედებულა.

არჩევნებმა რასობრივი დაყოფა წარმოაჩინა, გვეუბნება „ეკომიზგონ ტამისი“ სათაური და მოგვიხიბრობს, თუ რა მოხდა ბოლივიამში, სანტა კრუსში: ბოლივიელებმა ხმა მისცეს მემარცხენე პრეზიდენტის, ეეო მორალესის მიერ შეთავაზებული კონსტიტუციისა და გაფორმებს რასობრივი დამაყოფე ქვეყნის ინდიელ უმრავლესობასა და ევროპელთა შთამომავლებს შორის. პროვიციებმა, სადაც მტკიცები და ევროპელები ცხოვრობენ, უარყვეს კონსტიტუცია, მაგრამ დასავლეთის შთაინეთი მტკიცებობს ინდიელთა ტომებმა თავს ურთავლესობით გაიტყაბეს, რადგან ეს კონსტიტუცია ჯგუფების უფლებებს აკანონებს.

2005 წელს ბელისუფლებმა მოსულმა მორალესმა მტკიცედ გადაწყვიტა, გადაეხანოლებინა ქონება და ძალაუფლება ევროპელებიდან საკუთარ აიშარას ტომსა და სხვა "ძირძველ ხალხებზე", რომლებიც, მისი აზრით, 500 წლის წინათ კოლუმბთან ერთად ჩამოსულმა ევროპელებმა გაძარცვეს. ასე იბიებს შურს პისაროს მიერ ინკების იმპერიის დამარცხებულზე. ახალი კონსტიტუციის 190-ე მუხლის მიხედვით, ბოლივიის 36 ინდიელით დამარცხებულ მხარეს უფლება ექვლება „განახორციელო იურისდიქციის მიკუთვნებული საქმიანობა თავისი პრინციპების, ლერწმულებითა, კულტურისა, წიწმუნებისა და პროცედურების მიხედვით.“ ტომობრივი კანონი სამხარეო და სახელმწიფო კანონი ხდება. ტარობის გუბერნატორი მართო კოსიო, ვინც წინააღმდეგ მისცა ხმა, ამბობს, ახალი კონსტიტუციით ფუძნდება ეთნიკური ბიუროკრატიის დამორჩილებული, ტოტალიტარული რეჟიმიო. მორალესი პასუხობს, „ძირძველი ბოლივიელები, ვინც ათასწლეულია ცხოვრობენ აქ, ბევრი არ არის, მაგრამ ღარბები. აბლაბან ჩამოსული ბოლივიელები კი — ცოტანი, მაგრამ მდიდარი.“

ინებება ბოლივიის ბალკანებმა, იყუსა და ისტორიკება ტომებად, რასებად და კლასებად, და უფო ჩაეყვის მიერ ტრანზამსხული ბოლივია არ არის ერთადერთი ადგილი, სადაც ეთნიკურმა, ტომობრიობმა და რასობრიობმა იმარჯვებს უნივერსალიზმისა და გლობალიზმის ძალებზე.

გაყალბებული არჩევნების შემდეგ, კინიაში, ლუსო ტომმა კიკიუს ტომის ეთნიკური წმენდა მოახდინა. ზიმაბეტი თეთრკანიან ფერმერებს ქონება ჩამოათვისეს, წინაპრები გაუხსენეს.

ვლადიმერ პუტინის დროს, რუსებმა ჩინელები აიკუნეს, ესტონელებს ნაენუბენ რუს ჯარისკაცთა საფლავებისა და მემორიალური ადგილების გამო, ნაეკიდენე უკრაინელებს ყირიმზე და სისხლისღერა მოახყვეს საქართველოში.

პეკინი უოგურებსა და ტიბეტელებს არბებს, აღმოსავლეთ თურქესტანსა და ავტონომიას რატომ ითხოვო.

ევროპაში პოპულისტი ანტიემგრანტული პარტიები შემოფთებულნი არიან ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის გამო და პატივისცემასა და ძალაუფლებას ითხოვენ. ელასამ ბილანეს (ფლამანდური ინტერესი) ფლანდრიის დამოუკიდებლობას რომ ითხოვს, გველაზე დიდი პარტია ბელგიის პარლამენტში. სახალხო პარტია და თავისუფლების პარტია სიდდითია და პოპულარობით მეორე და მესამე პარტიებია ავსტრიაში. ქრისტიანურ მღოზერის შეეიკარის სახალხო პარტია ყველაზე დიდია ბერნში. ყველანი ეთნონაციონალისტები არიან. პრეტანელი დიპლომატი სერ ტომას მერიონ წერს: "უაზრობა იმის მტკიცება, რომ ნაციონალიზმსა და ეთნიკური ტრიაბალიზმს ადვილ აღარ დაარჩეია XXI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში." მაშინ, როდესაც გლობალურმა ინსტიტუტებმა, გაერო-მ, სსფ-მ და ევროკავშირმა დაეკარგეს თავთავისი მხრენივლება. ჩეხები ევროკავშირს თავმჯდომარეობენ, მათი პრეზიდენტი ვაცლავ კლავსი კი ევროკავშირს ერების ციხეს უწოდებს. ფინანსურმა კრიზისმა რომ იფიქთა, ირლანდიელებმა, ბრიტანელებმა და ევრმანელებმა სასწრაფოდ საკუთარი ბანკების დამხარება დაიწყეს; ამერიკელებმა ფორდი, კრისლერი და ჯენერალ მოტორსი გადაარჩინეს, ტოიოტა, პონდრაი და ჰონდა კი ბედის ანაზარა მიატოვეს. ეს ეკონომიკური ნაციონალიზმა.

ბარაკმა აფრო-ამერიკელთა ხმების 97 პროცენტი აიღო და მხოლოდ სამი პროცენტი დაუტოვა ჯონ მაკკეინს, მანამდე კი, პრამერებში, ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ, 90 პროცენტი აიღო და ათი პროცენტი დაუტოვა. მაკკეინი ჯორჯ ბუშზე უფრო ძლიერად მხოლოდ აპალაჩის მთების რაიონში, სკოტლენდელთა და ირლანდიელთა ბანაკში, წარმოიჩინა.

ჯეკრი ზ. მუელერი თავისი წიგნის, „ჩვენ და ისინი: ეთნიკური ნაციონალიზმის გამამლე ძალა“, თავში, საგარეო ურთიერთობაში, წერს:

ამერიკელებს სჩვევიათ დააკნინონ ეთნიკური ნაციონალიზმის როლი პოლიტიკაში. მაგრამ ნაციონალიზმი ადამიანური სულის მარადიული მიდრეკილებაა. ნაციონალიზმი გამოავლინა მოდერნიზაციაში და ... ნაციონალიზმი კვლავ წარმოაჩინებს გლობალურ პოლიტიკას თაობობა თაობამდე. და როდესაც ეთნიკური ნაციონალიზმი ადამიანთა გონებას იპყრობს მულტიეთნიკური საზოგადოებაში, მაშინ დაყოფა და დანაწევრება არ არის ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს.

დანაწევრება და დაყოფა, ამბობს ავტორი. და საკითხავია, მართლაც პოსტრასობრივი ამერიკაში ცეცხლივობთ, თუ ჩვენი, მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ამერიკა განწირულია ბალკანიზებისა და აფეთქებისათვის?



კონსტანტინე ჯოჯუა

რუსეთს დავშიტრება მართებს!

მისტიკური ჩანახატი

გარდს რომ ვარდი არ რქმევდა, მას ალბათ, სხვაგვარი სურნელი ექნებოდა.

შექსიანი

ბიბლია — ღვთის საჩუქარი ადამიანებს, ყველაზე პოპულარული, ყველაზე მრავალრიცხოვანი გამოცემა, ათასწლეულებია იყრობს კაცობრიობის გულსა და გონებას. ის სამყაროს შემოქმედთან ურთიერთობას გვიადვილებს. ივრთი კი, რომელზეც თავდაპირველად ბიბლია შეიქმნა, ენაა, რომელშიც არაფერია შემთხვევითი, მისი შემადგენელი სიტყვები, თვით ცალკეული ასოებიც შეიცავენ არა მარტო ზოგადად ნებისმიერი ენისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, არამედ უღრმეს სიმბოლოებს, ღვთის ენერჯის უნიკალურ ტრანსფორმატორს, რამაც შექმნა და რაც განაგებს ცხოვრებას.

სახელი — მისი მფლობელის მამობრივადელი ძალის ფუძეა. ბიბლიაში ნათქვამია: ადამიანის სახელი მიკვთითობს, რისთვის არის ის მოვლენილი, რა უნდა გამოასწოროს ამ სამყაროში".

ბიბლიურმა იაკობმა ღმერთისგან მიიღო სახელი ისრაელი მას შემდეგ, რაც დაამარცხა უფლის ანგელოზი. მაშინ ღმერთმა უთხრა მას: იაკობი არ იქნება შენი სახელი, არამედ შენი სახელი იქნება ისრაელი, რადგან შენ ებრაოდი ანგელოზს და ადამიანებს და გაიმარჯვე" (დაბად. 32:28).

სიტყვა იაკობი წარმოდგება ებრაული სიტყვიდან — ქუსლი, რაც მიანიშნებს ჩაგრულ მდგომარეობაზე, როდესაც ებრაელი ხალხი იმყოფებოდა ტყვეობაში, სხვა ხალხების „ქუსლის ქვეშ“.

კიდევ ერთი მაგალითი: 99 წლის აბრამს თავის ცოლთან სარასთან შეიღო არ ჰყავდა. ამის გამო დამწუხრებულ აბრამს ღმერთმა უთხრა: ამიერიდან შენი სახელი იქნება არა აბრამი, არამედ აბრაამი, შენი ცოლისა კი არა სარა, არამედ სარამა და გვეყოლება თუ ვადავი შთამომავლობა". რაც მართლაც აღსრულდა.

აქ მოვიყვანე მრავალთაგან ორი მაგალითი იმისა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას, სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს უფალი სახელებს და რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სახელში ერთი ასოს შეცვლასაც კი. სახელის თუ ამ სახელში ერთი ასოს შეცვლას მოსდევს მისი მფლობელის ბედ-იღბლის შეცვლა. ეს კი ერცელებდა არა მხოლოდ ადამიანების, არამედ ერებისა და, უფრო მეტიც, ცხოველებისა და ფრინველების სახელებზეც. თითოეულ

მათგანში იმდენად ზუსტად არის ჩადებული საკუთარი არსი, მიმართება ამ სახელის პატრონთან.

ებრაული ბრძენები მრავალი საუკუნის განმავლობაში იკვლევდნენ და იკვლევენ ამ საოცარ ენას ბიბლიასთან, თორასთან, თალმუდთან მიმართებაში. ისინი როგორც ებრაულ, ისე არაებრაულ სახელებს სწორედ ივრთიდან მიმართებით განიხილავდნენ და ამ ზნით ცდილობდნენ ამა თუ იმ სახელის მფლობელის ხასიათში ჩანდომას. ჩვენთვის ხელმისაწვდომი შესაბამისი ლიტერატურის გაციონებამ მრავალფეროვან და საინტერესო სამყაროში ჩამახდოდა. მათ შორის ივრთიში სახელისა და მისი გემატრიის (სუმეროლოგიის (ცნება კაბალაში) მნიშვნელობაზეც შემიქმნა გარკვეული წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, ერთ ჩვენთვის საგულისხმო მაგალითს მოვიხიბოთ: რუსეთი, როგორც ცნობილია, საერთაშორისო ენაზე გამოითქმის, როგორც „რამა“ — „Russia“. „რამა“ კი ებრაულად ნიშნავს ცოფელს, დამნაშავეს, ავციეს, შოროტმოქმედს. ხოლო ამ სიტყვის ფუძედ მიჩნეული ასო, რომელიც სამშტკოიანია, ადამიანის სასწრაფო თვისებას გამოხატავს: წვეინა-ნობა, დაუოკებელი მადა, პატივისცემაში ყოფნის ნაყრვილი. „რამა“ მიისწრაფის პატივისცემისკენ, მეთაურობისკენ, მუყერობილია ქედმაღლობით და ყოველნაირად ცდილობს განახორცილოს თავისი ზრახვანი (რამი დაზნურსკონი).

რამი შიმშილ რაფაელ პირნის თანახმად, „რამა“ ყველაფერს თავის ნებაზე აქცევს და ყველაფერს თავისი სურვილისამებრ აკეთებს. ის არ ემორჩილება ზეციურ და ზუნებრივ ძალებს და ამიტომაც ხდება ცოდვები და აუკაცი. ვარდა ამისა, სიბრძნის კიდევ ერთი ნივინ „თსუფეთ ბრამა“ ასე სხნის „რამას“: აღზუნებულ მდგომარეობაში მყოფი ცოდვილი, რომელიც პანიკაშია, ემინია, ხელდავან არ გაექცეს თავისი გაუზამლარი სურვილი, ნადილი, რადგან მას არ ძალუძს შეაკავოს თავისი გრძნობებისა და გატაცების ქარიშხალი.

ფიქრობენ, რომ სწორედ ამ გამოთვლებს უნდა მიეყვანა არისტარქე თავის დიდი აღმოჩენებით, რომლებსაც არქიმედეს (დაახლ. 287—212) გადმოცემით ვიცნობთ და რომლის თანახმადაც სამყაროს ცენტრად დედამიწა კი არა, მზეა დასახული. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შეუძლებელია პლატონის პელოპონესური ისტორიკოს ცნობილი არ ჯოფილიყო არისტარქესთვის: ყველაფერს რომ თავი ვაჩვენებ, მისი მასწავლებელი სტრატონ ლამპასაკელი, თავის მხრივ, პლატონისა და არისტარქეს მოწაფის თეოფრასტეს (372—288) შეგირდი იყო; იხ. დიოგენე ლაერტელი, V, 2, 36. მხოლოდ ეს კია, რომ არისტარქე, ეტყობა, გაცილებით უფრო ემპირიული გზით უნდა მისიუფრო პელოპონესური ისტორიკოსის დეამდე: მკვლევართა აზრებით, მას მიანდა, რომ უზარმაზარ მზეს შეუძლებელია პანანინა დედამიწის ირგვლივ ებრუნა. დედამიწის მხოლოდ მისი თანამგზავი — მთვარე უკლი-

და გარს, თვითონ კი დანარჩენი პლანეტებით მზის გარშემო დაქროდა წრიულ ორბიტაზე. პლატონისა არ იყოს, არისტარქეც ფიქრობდა, რომ დღე-ღამის მონაცვლეობას განაპირობებდა დედამიწის ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო, პლანეტების უცნაურ — „მარწყვისა“ თუ ტუნის „დუმაყისნაირ“ მოძრაობებს კი მზის ირგვლივ დედამიწის ბრუნვითა ხსნიდა.

ანასაგაოროდან არისტარქემდე გასული ორი საუკუნის მანძილზე ბევრმა წყაღმა ჩაიარა, საბერძნეთის ისტორიის ანტიკური პერიოდი ახალი — ელინისტური ეპოქის (ძვ. წ. ა. 336—30 წწ.) გარიგრაჟმა შეცვალა და ბერძნული კულტურის ნიაღშიც არაერთმა ახალმა ტენდენციამ იჩინა თავი. მაგრამ შეურყეველი ნინალმდეგობა რელიგიურ-მითოლოგიური მსოფლმხედველობის მრავალმხედველიანი ტრადიციით განმტკიცებულ კონსერვატივზმსა და შეცნირების ნოვატორულ ძიებებს შორის აბსოლუტურად უცვლელი დარჩა. არისტარქეს პელოპონესური იდეები ისევე მიუღებელი აღმოჩნდა ბერძნული საზოგადოებისათვის, როგორც ანასაგაოროს, სოკრატესა თუ პლატონის ანალოგიური კონცეფციები და „მეტაფიზიკული“ თეოლოგიური წარმოდგენები. მეცნიერების ისტორიაში კიდევ ერთი მსხვერპლი მიითვალა. არისტარქეს ღვთისმგებლობაში დასდეს ბრალად და აღექვანდებინა გააძევეს. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელის (356—323) ძვლამოსილმა ლამპარებმა ითხვეურ და უფრო მეტადაც განავრცეს და გაფართოვეს იმდროინდელი ბერძნული სათვისტომოს ცნობილი მსოფლიოს ფარგლები. მბრძანებლის მოულოდნელი სიკვდილის შედეგად მისი მხედრობითაიერეს (ე.წ. „ფიადობოსებს“ — „ნიკლეებს“) შორის დაიწყო ბრძოლა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, რაც ალექსანდრე მაკედონელის უზარმაზარი იმპერიის ცალკეულ სახელმწიფოებად დაშლით დამთავრდა. ანტიპატროსმა (გარდ. ძვ. წ. ა. 319 წ.) მაკედონა და საბერძნეთი დაიწარჩუნა; ანტიგონოს ცალთვალამ (დაახლ. 380—3-01) — ფრიგია, ლიკია და პამფილია; პტოლემეოს I სოტერს (მხსინელს); დაახლ. 367—283) ეგვიპტეზე ხედა ნილადა; სელევკოს I ნიკატორს („მძლეველს“; დაახლ. 356—281) — ბაბილონი და სირია; ლისიმაქემ კი (დაახლ. 360—281) პონტო და თრაკია დაისაკუთრა.

მოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ ეკონომიკური სიჭრელად და სხვადასხვაობის მიუხედავად, ბერძნული სულის დომინანტური გავლენის ქვეშ მოექცა ევროპული, აზიური თუ აფრიკული ცივილიზაციების უზარმაზარი სამყარო, რომლის ასომილიაციასაც მნიშვნელოვანდ შეუწყო ხელი ბერძნული ენის მანამდე არნახულმა ექსპანსიამ. კლასიკური ეპოქის ბერძნებისათვის ნიშნულმა პარტიკულარიზმმა, ელინთა ეროადერითობის შეგნება და კულტურული ჰეგემონიზმის საუკუნეობით ძვალ-რბილი გამყდარება რწმენამ თანდათანობით ადგილი დაუთმო კოსმოპოლიტიზმს, რაც მთელი გვიანდელი ანტიკურობის სპეციფიკურ თავისებურებად იქცა, ხოლო რომის მსოფლიო იმპერიის ძლევამოსილებამ, შემდეგ კი ახალი მსოფლიო რელიგიის — ქრისტიანობის გავრცელებამ არამცთუ შეასუსტა, პირიქით, ხელი შეუწყო ამ კოსმოპოლიტიური ტენდენციის გაძლიერებას.

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ 4



კულტურის ცენტრმა თანდათანობით ახალ დედაქალაქში, უნიარეს ყოვლისა კი ალექსანდრიაში განაგებდა. ათენი, არსებითად, ფილოსოფიური სკოლების საცენტრად დარჩა: პლატონის „აკადემია“, არისტოტელის „ლიკეონი“ (ლიკეუმი), ძენონი კიტონის (დაახლ. 335—262) მიერ დარსებული „ძველი სკოლა“, ეპიკურეს (342—271) „ბაღი“. რაც შეეხება ცალკეულ დისციპლინებად ჩამოყალიბებულ მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, ისინი უფრო ინტენსიურად ვითარდებიან აღმოსავლეთში. პტოლემეოსის I ალექსანდრიაში არსებს ბიბლიოთეკას, რომლის ხელნაწერთა ფონდი საუკუნუნახევრის შემდეგ დაახლოებით 700000 გრამინოს ითვლის (ელეიურის სამყაროში მას მეტოქეობას უწევს მხოლოდ პერგამონის ბიბლიოთეკა: 200000 ხელნაწერი), აგრეთვე „მუსეონი“ — სამეცნიერო დანესებულებას, პლატონის „აკადემიის“ ერთგვარ ანალოგს, სადაც მეცნიერებსა და ლიტერატორებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი შემოქმედებითი შრომისთვის, რასაც თვალნათლივ მონაშობს შედეგა: ალექსანდრიელ სწავლელთა ინტერესი, მათი შრომები ერთ რომელიმე დისციპლინას კი არა, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიუღმა სპექტრს მოიცავს. ძნელია ესა თუ ის სწავლული ამა თუ იმ სპეციალიზაციის ვინჩო ჩარჩოში მოაქციო. საკმარისია ჩამოეთვალათ რამდენიმე მათგანი:

დიკარზე (IV—III ს.) — არისტოტელესა და თოფარასტეს მოწაფე, გეოგრაფი, ისტორიკოსი, მათემატიკოსი, იმ დროისათვის ცნობილი ოიკუმენეს (მსოფლიოს) პირველი რუკის შემდგენი; ერატოსთენე (დაახლ. 282—202) — ფილოლოგი, გრამატიკოსი, მათემატიკოსი, ისტორიკოსი, გეოგრაფი, ასტრონომი; ალექსანდრიაში მოღვაწეობის პლატონის აკადემიაში აღზრდილი სახელგანთქმული მათემატიკოსი ევკლიდე (დაახლ. 365—300), ვისი „საწყისების“ მნიშვნელობა განუზომელია მათემატიკის ისტორიისთვის (გუტენბერგის გამოგონების შემდეგ ბერძნული მეცნიერების ეს უკუდავი ძველი ათასზე მეტჯერ გამოიყენა და საუკუნეების მანძილზე დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში საფუძვლად ედო მათემატიკურ განათლებას); ალექსანდრიაში მიიღო განათლება დიდმა ბერძენმა ფიზიკოსმა, მათემატიკოსმა და მექანიკოსმა არქიმედემ (დაახლ. 287—212); აქვე მოღვაწეობდა აპოლონიოს პერგელი (დაახლ. 260—170) — მათემატიკოსი და ასტრონომი; ყველას ჩამოთვალა შორს ნაკვეყვანდა.

ელინისტური მეცნიერების დარგებიდან, ჩვენი კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, სწავლელთა ყურადღების ცენტრში, უნიარეს ყოვლისა, მქცევა ასტრონომია, რომლის ირგვლივაც ყველაზე მეტწილად იჩენს თავს რელიგიური მოხელეგანებისა და მეცნიერული აზრის ტრადიციული ანტიგაონიზმი. ანაქსაგორას, სოკრატეს, პლატონისა თუ არისტარქეს ნინაღმდეგ მიმართულმა რეპრესიებმა თავისი დაღი დაასვა როგორც

ელინისტური, ისე მთელი შემდგომდროინდელი ბერძნული ასტრონომიის განვითარებას. ძველი ნეოლარციზმის II საუკუნის ასტრონომი სელევკოს ქალდეელი, რომელსაც ინგლისელი მეცნიერი ე. ტარნი „ენიგმურ ფიგურას“ უწოდებს, ჯერ კიდევ ბედავს არისტარქეს პელიოცენტრული სისტემის დაცვას, მაგრამ მისი თანამედროვე, ელინისტური გოქის ერთ-ერთი უდიდესი ასტრონომი ჰიპარქე ნიკეელი (190—125) უაყაყუს სამყაროს პელიოცენტრული სისტემის მოვლეს და, როგორც კოსმიური სტრუქტურის ასახსნელად უფრო ზუსტსა და ადეკვატურს, კვლავ გეოცენტრულ მოდელს უბრუნდება. ესაა ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ მეცნიერების ისტორიაში განვითარების პროგრესულ გზას არაერთხელ ცვლიდა რევრესი. უფრო გვიან სახელგანთქმული ალექსანდრიელი ასტრონომის კლავდიოს პტოლემეოსის (დაახლ. 100 — დაახლ. 165) უკიდურესად დაბეჭენილი და, იმავდროულად, უკიდურესადვე გართულებული გეოცენტრული სისტემა ნაადრევად დააზრობს და თითქმის ათას ხუთასი წლით დაასაბარებს ანტიკური და ელინისტური ასტრონომიის ნაღიდან აღმოცენებული პელიოცენტრული მოდერების ჯერ კიდევ უმეო და სრულად ნორმ ყლორტებს.

ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ასტრონომიის განვითარების გზაზე მთავარ დაბრკოლებად რელიგიისა და მეცნიერების ანტიგაონიზმი კი არ გვევლინება, არამედ ურთიერთსაპირისპირო ასტრონომიულ კონცეფციასა და უნდობელი ჭიდილი. როგორც ვხედავთ, ამ ჭიდილიდან გამარჯვებული გამოდის ძველი — გეოცენტრული კონცეფცია, რომლის მიმართაც ბერძნული რელიგია საკუბრით ტოლერანტულადაა განწყობილი და, ეგვიტ არ იყოს, პოლისური ცივილიზაციის დეკადანსა და კოსმოპოლიტური ტენდენციის გაძიერებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ოლიმპიური რელიგიის კრიზისი. „ოლიმპიული ღმერთები — შენიშნავს ე. ტარნი, — ქალაქ-სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ და მასთან ერთად ბარდებოდნენ წარსულს:



მოქანდაკე ნინო ციციშვილი

ფილოსოფიამ შემუსრა ისინი განათლებულთა შეგნებამი, ინდივიდუალიზმმა კი — უბირი ხალხის თვალში. ნოლიმეილთა ადგილს თანდათანობით იჭერენ აღმოსავლური ღვთაებები, რომელთა კულტივ უკვე დომინანტურ როლს ასრულებს ლიტერატურულ (საღვთისმსახურო) პრაქტიკასა და, საერთოდ, უკონსტრუქციო რელიგიამ...

ძველი წელთაღრიცხვის 146 წელს საბერძნეთი რომის კოლონი გახდა და დიდი ხნით შეწყვიტა არსებობა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. კაცობრიობის ისტორიაში ახალი ხანა იწყება: ხანა რომის ძველამოსილი სახელმწიფოს თორმეტსაუკუნოვანი ისტორიისა. მაგრამ რომის კულტურულ სინამდვილეში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზედერთი წილი იმდენად უწინმეველია, რომ, ჩვენი თემტიკის თვალსაზრისით, საგანგებო ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, და, არსებითად, იგივე იოქმის ადრეული შუა საუკუნეების მიმართაც. მართალია, დასავლურ სინამდვილეში პოლითეისტური პავანიზმის ადგილი მონოთეისტურმა ქრისტიანობამ დაიკავა, მაგრამ მეცნიერული აზრის ორიენტაციისადმი ახალი რელიგიის დამოკიდებულება, არსებითად, უცვლელი დარჩა. მეტიც, ადრეული ქრისტიანობის საკრალური მრწამსი არა მარტო სერტიკურად, მტრულადაც კი იყო განწყობილი სეკულარული მეცნიერებისა და მისი ძალისხმევით მიღწეული ცოდნისადმი: „რამეთუ წერილ არს: წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძნეთა და მეცნიერება იგი მეცნიერთა მურაყცხ-გყო. სადა არს ბრძენი? სადა არს მწიგნობარი? სადა არს განომეცხებელი იგი ამის სოფლისა? ანუ არა განაცოფაა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისა?“ (1 კორინთელებსა მიმართ, I, 19—20).

ანალოგიურ სურათს ვხედავთ გვიანდელი შუა საუკუნეების ევროპულ სინამდვილეშიც; სადაც კვლავ ერთპირენულად მბრძანებლობს არისტოტელეს, პტოლემაიოსისა თუ მათი ინტერპრეტატორების მიერ დასრულებულ კოსმოლოგიურ სისტემაზე ჩამოყალიბებული და არა მარტო დიდი ქრისტიანი თეოლოგების — ალბერტ დიდისა (1193—1280) თუ თომა აკვინელის (1225—1274), არამედ თვით გენიალური იტალიელი პოეტისა და სწავლულის ადნტე ალიგერიის (1265—1321) საზაროვნე სერიოზო ღრმად ფესვგადგმული გეოცენტრიზმი. ინდროინდული ადამიანის წარმოსახვაში არსებული საშარო გაცილებლობით უფრო ვინჩო, პატარა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მონატურული“ კი იყო დღევანდელ უსაზღვრო, უსასრულო და გონებაშიუწვდომელ სამყაროსთან შედარებით, რომლის „პერიფერიამდეც“ დაკვირვების თანამედროვე საბუნებრივებით გამოთვლილი 15 მილიარდი სინათლის წლის მანძილი ძვს.

დანტეს დროს ადამიანთა სამკვიდროდ და საუფლოდ შემქმნილ დედამიან კვლავინდებურად სამყაროს ცენტრი იყო, რომლის ირგვლივაც ბრუნავდა ცხრა პომპიცენტრული სფერო. «ცათა განლაგების რიგი ისეთია, — წერს დანტე თავის „ღვინიში“ ("Il Convivio", II, 3), რომ სათვალავით პირველად მიიწვევენ მთავარს ცას; მეორე — მეტეორის ცა; მესამე — ვენერისა; მეოთხე — მზისა; მეხუთე — მარსისა; მეექვსე — იუპიტერისა; მეშვიდე — სატურნისა; მერვე — ვარსკვლავებისა (იგულისხმება „უძრავ ვარსკვლავთ“ ცა, — ბ. ბ.). მეცხრე კა

გრძნობებით კი არ აღიქმება, არამედ იმ მოძრაობით, რაზრადც ზემოთ ითქვა. მეორე ამ ცას „ბროლისას“, ანუ ნოლიმეილთა თანდათანობით თუ გამჭვირვალეს უწოდებს. ამ ცათა მიღმა კათოლიკეები ათავსებენ კიდევ ერთ ცას — ემპირიას, რაც „აღისას“, ანუ ნათელმოსილს ნიშნავს. მათი აზრით, ის უძრავია, რადგანაც თავის თავსა და თავის ყველა ნაწილში შეიცავს ყველაფერს, რაც საჭიროა მისი შედგენილობისათვის. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ პირველი მამოძრავებელი ყველაზე სწრაფად მოძრავია, რამდენადაც მწველი სურვილი, რომლითაც მეცხრე ცის, ანუ პირველი მამოძრავებლის ყველა ნაწილი ისე გაშმაგებით მიელტვის შესაერთებლად ღვთაებრივად მშვიდი და უძრავი ემპირიის თვითულ ნაწილს, რომ მის შიგნით მოუწველოდელი სისწრაფით მბრუნავი ლამის უძრავი ჩანს. ხოლო ეს მშვიდი და აუზღვრეველი ცა არის ადგილი იმ უზენაესი ღვთაებისა, მხოლოდ თავის სრულქმნილებას რომ ჭვრეტს. წმინდა ეკლესიის აზრით, რომელიც შეუძლებელია ცრუობდეს, ესაა ნეტარ სულთა სახავანი. (მდრ. სულხან-საბა ორბელიანი: «ვა — ზე ანასებდი (I, I დაბადი). ცაარს ესე — შემეველი ყოველთა დაბადებულთა და შექმნილთა ნივთიერთა, ხოლო ცანი შეცულუ არიან სასუფელისაგან, სადა არს საყოფელი ანეელოზთა და ნიშნათა, ხოლო მხოლოდ ღმერთი არს ყოველთა შემეველი და გარე-შემოუწველი“. (სულხან-საბას „სასუფველი“ იგივეა, რაც „ემპირია“, — ბ. ბ.)...

თუ შუა საუკუნეების ასტრონომიულ აზრს კვლავაც ანტიკური და ელინისტური ეპოქების ასტრონომიის ასაზრდოვდა, ეს ნაიხლავდ ესება მეცნიერების სხვა დარგებს: შუა საუკუნეების ევროპულ სინამდვილეში ანელოზთა მოიცავდა და თვალდა ცხოვრების ყველა სხვა მხარეს. — წერს გერმანელი მეცნიერი კარლ ფედერიკი, — რწმნა მიაჩნდათ უმთავრეს სათნოებად და საესებით ბუნებრივი იყო, რომ რელიგიური საკითხების კვლევა თითქმის ერთადერთ გონებრივ საქმიანობად იქცა. დრო, რომელიც სახელმძღვანელო პრინციპად აფუძნებს ერთფეროვან, თავისი მთლიანობით ორთოდოქსულ რწმენას, შეუძლებელია ხელსაყრელი იყოს კრიტიკისა და ეჭვისათვის. კრიტიკისა და ეჭვის გარეშე კი შეუძლებელია ჭეშმარიტი მეცნიერება. მოაზროვნე, რომელსაც აიძულებენ გარკვეულ დასკვნებზე თუ შედეგებამდე მივიდნენ, შეუძლებელია თავისუფლად აზროვნებდეს. ადამიანი, ვისთვისაც ჭეშმარიტიება ნინასანარ განსაზღვრულია სხვების მიერ და ვისაც არ შეუძლია ჭეშმარიტიებად სახადდეს იმას, რაც თვითონ მას მიაჩნია ჭეშმარიტიებად, შეუძლებელია პატიოსანი მეცნიერარი იყოს. ასე რომ, შუა საუკუნეობრივი მეცნიერების ნაყოფი მართლად რომ ნულის ტოლია. აღორძინების ეპოქაში ხელახლა გამოიღვიძებული მეცნიერება ყველაგან იწყებოდა, რაზრადც შეჩერდა ანტიკურობა. უკიდურესი პარბაროსობის ეპოქაში, მეექვსეადაც მეეთრამეტე საუკუნემდე, რა თქმა უნდა, არც პოზიტიური ცოდნა არსებობდა და არც მეცნიერება. მონასტრებში არსებული ცენტრალურადული მეცნიერება ამ სახელს არ იმსახურებდა, თუმცადაც მონასტრებს, რა თქმა უნდა, დიდი დამსახურება მოუძღვით იმდენად, რამდენადაც ინახავდნენ ცოდნის იმ ნაპერწკლებს, ოდესმე რომ უნდა აპრიალბებულყენენ ცოცხალ ალად».



მეცნიერების საღატაო ძალი, კულტურის თვღვმა შეუძლებელია სამუდამოდ გაგრძელებულიყო. საუკუნეების მანძილზე დაგუბებული და კათოლიკური ეკლესიის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ გათავადილი ინტელექტუალური ენერჯია გამოსავალს ეძებს და, ბოლოს და ბოლოს, პოულობს კიდევ. ძღვევამოსილი კულტურული აღმავლობის ახალი ერა იტალიური რენესანსით იწყება.

ევროპული კულტურის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მეორე პერიოდი, თავისი მნიშვნელობით რომ შეედრებოდეს იტალიური აღორძინების ეპოქას. — ვენერდი მეთხედვი საუკუნის წინათ ერთ ჩემს გამოკვლევამ. — ამ ეპოქის კარიბჭესთან დგას დანტეს (1265—1321) გოლიათური ფიგურა, ვისი შემოქმედებაც ავიროვინების მრავალსაუკუნოვანი სამყაროს და, იმავედროულად, ახალი დროის მარწყებლადაც გვეკვლინება. საკუთრივ აღორძინებას კი იწყებენ ფრანჩესკო პეტრარკა (1304—1374) და პუბლიცისტი ერუდიტების მთელი მულაა, რომელთა გრანდიოზულმა ინტელექტუალურმა ქმედითობამ ესოდენ მოკლე ხანში შექმნა მუსასაუკუნეობრივ ფასეულობათა მთელი სისტემის გადაფასება და ახალი გენი მისცა იტალიური და არა მარტო იტალიური კულტურისა და ცივილიზაციის შემდგომდროინდელ განვითარებას. ცხოვრებისა და სინამდვილის ყველა სფეროში ერთიმეორის მიყვლებით ემბოზიან დრომოჭული ტრადიციები, ძველი ფორმები თუ დაწესებულებები ადვილს უთმობენ ახალს. ფილოსოფია თანდათანობით ზღუდავს და აძევებს სქოლასტიკას, ხალის საღმრთო ნერილის ცქცქმევიდაც ავტორიტეტს, თავისუფალი აზროვნება ეტყვის. იწყება ზუსტი და საზუნებისმეტყველო მეცნიერებების მანამდე არანახული განვითარება. საკმარისია დავასახელით ზათემატიკოსები

— პაოლო ტოსკანელი (1397—1482), ნიკოლო ტარტალია (1500—1577), ფიროლამო კარდანე (1501—1576); ანატომისტები — ანდრეა ვეზელიო (1514—1564), რეალდო კოლომბო (1516—1559); ნატურფილოსოფოსები — პეტრო ზომპონაცი (1462—1524), ბერნარდო ტელეზიო (1508—1588), ლეონ ბატისტა ალბერტი (1404—1472) და ლეონარდო და ვინჩი (1452—1519) საფუძველს უდრინ კლავის ექსპერიმენტულ მეთოდს. სწრაფი ტემპით ვითარდება ვაჭრობა და მრეწველობა, რაც, თავის მხრივ, ახალი საზღვაო გზების ძიების სტიმულად და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების განსაზღვრებელ ფაქტორად იქცა. კოლუმბი (1451—1506) ამერიკის კონტინენტს აღწევს. გუტენბერგის (1397—1468) გამოგონება იტალიაში უფრო ფართო ვასაქანს პოულობს, ვიდრე მის სამშობლოში ან ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. მკვდრეთით აღმდგარი ანტიკური კულტურის საფუძველზე იქმნება პოლიტიკური მეცნიერება; ქრონიკა ადვილს უთმობს სამოქალაქო ისტორიას; იბადება სარაინდო პოემა. XIII—XIV საუკუნეების დიდი იტალიელი მწერლების საქმეს თანამიმდევრულად აგრძელებენ კვატრორენტოსა და ჩინკვერენტოს პოეტები, ისტორიკოსები, პუბლიცისტები: ლეონიკო აროსიო (1474—1533) და პიეტრო ვებეტი (1470—1547), ფრანჩესკო ბერნი (დაახლ. 1497—1536) და აკერინიო ფოლენგო (1491—1544), ნიკოლო მაკიაველი (1469—1527) და

ფრანჩესკო გვიჩარდინი (1482—1540), პიკო დელა მირანდოლა (1463—1494) და მარსელიო ფორინო (1433—1499). ბრუნელესკი (1377—1446) ქმნის ახალ არქიტექტურას, დონატელო (1338—1446) — სკულპტურას. მაზაჩისა (1401—1428) და ურიცხვი ტრასკანცი თუ უმბრიელი მხატვრის შემოქმედება გზას უსწის მალალი რენესანსის გიგანტებს — ლეონარდოსა და მიქელანჯელოს (1475—1564), რაფაელს (1483—1520) და ბოტიჩელის (1447—1510), ტიციანს (1477—1576) და ტინტორეტოს (1512—1594). იტალია ევროპული კულტურის მედროდ ხდება. დანარჩენი ქვეყნები ისეთივე განვითარებითა და შურის თვალთ უყურებენ იტალიური ხელოვნებისა და მეცნიერების ტროფუსს, მის სიმდიდრეს და ფუფუნებას, როგორც თავისეულ გერმანულ ბარბაროსები უთვალავლედებენ რომის დიდებას.

ხელოვნებისა და მეცნიერების ამ ტროფულად ნინსვლამო თავისი მნიშვნელოვანი ნელოლი შექცა ახალ ასტრონომიისა, რომელიც იტალიაში კი არა, პოლანდეთში იღებს დასაბამს, და მისი მებარბაროსი ნიკოლო კოპერნიკი (1473—1543), ვისმა ფუნდამენტურმა შრომამაც „ცოტრ სხელთა მიმოქცევისთის“ („*e revolutionibus orbium coelestium*“) საფუძველი გასთავალა პტოლემეოსის გეოცენტრულ სისტემას და ახალი კოსმოლოგიური მსოფლმხედველობის სათავედ იქცა. ისევე, როგორც ქრისტიანული კოლეზიების, ცოტა უფრო გვიან კი ფერინდო მაგელიანისა (1480—1521) და ვასკო და გამას (1469—1524) დიდმა საზღვაო ექსპედიციებმა უჩვენოოდ განავრცეს ადამიანის გეოგრაფიული თვალსაზრისი, კოპერნიკის, ჯორდანო ბრუნოს, გალილეო გალილეისა და იოანე კეპლერის პელიოცენტრულ სისტემებს ნარმოუდგენად გააფართოვეს სამყაროს ფარგლები და კაცობრიობის წინაშე სრულიად ახალი — გრანდიოზული კოსმოური სინამდვილე გადამიშალა.

1512 წელს, როცა კანონიკოსმა (ასე იწოდებოდა საეპისკოპოსოს უმაღლესი სასულიერო და ადმინისტრაციული უკრის ნეერი) ნიკოლო კოპერნიკმა ფრანკფორტის მიძინების ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კოპიდან ვარსკვლავებით მოძველი ცისაკენ პირველად მიმართა თავისი ჭოგრები, ევროპული კოსმონომია კვლავინდებურად ეყრდნობოდა პტოლემეოსის ავტორიტეტს და მის გეოცენტრულ სისტემას ფუნდამენტად თავის აღმოჩენებას თუ გამოთვლებს. ამ ისტუმის თანხმად, სამყაროს უძრავი ცენტრის — დედამიწის გარშემო შემდეგი თანამიმდევრობით ბრუნავდებენ პლანეტები: მთვარი, მერკური, ვენერა, მზე, მარსი, ოპიტიერი, სატურნი. პტოლემეოსის გეოცენტრული მოდელი, არსებითად, სხვა არა იყო რა, თუ არა მის წინაშობრედ ბერძენ ასტრონომიოთა (ველეუსე, პლატონი, კლავდი, არისტოტელე და სხვ.) ანალოგიური გეოცენტრული სისტემების გაუმჯობესებული ვარიანტი. თუ ზემოხსენებული ასტრონომიები პოპოცენტრულ სფეროთა ბრუნვის, მათი ღერძების დაბრლილობის კუთხეთა და ბრუნვის სიჩქარეთა კომბინირებით აღწერდნენ პლანეტების მიწველ მოძრაობას, პტოლემეოსის გეოცენტრული მოდელი მისხედვით მხოლოდ მზე ბრუნავდა ნროულად, მამინ როდენაც მთვარი და დანარჩენი პლანეტები უშუალოდ დედამიწის კი არ უღლიდნენ გარშემო, არამედ თანდაბარი



სიძქვართი მოძრაობიდან ერთგვარი წარმოსახული თუ ფიქტორი ცენტრის ირგვლივ მჭირე რადიუსიან ასევე (ეპიცკლი), რომლის ფიქტორი ცენტრიც, სხევე თანახმად სიძქვართი, უკვე დედამინის გარშემო შემოსწრად დეფერენტად წოდებულ უფრო დიდ წრეს.

ეპიცკლითა ზომების სათანადო გამოანგარიშების წყალობით შესაძლებელი გახდა წინასწარ გამოთვალათაც შეიძლებოდა, ეთქვათ, მთვარის მომავალი მდებარეობის განსაზღვრა რკალის 10 წუთის სიზუსტით, რაც იმ დროისათვის განსაცვიფრებელ მიღწევას წარმოადგენდა. მაგრამ ასტრონომიულ დაკვირვებათა შედეგად დადგენილი ახალ-ახალი ფაქტები გამომდებოდა აუცილებლად ხედიდან პტოლემიანის სისტემის სათანადო კორექტირებისა. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ თვით პტოლემიანის პლანეტა მარსის მოძრაობაში მის მიერ შემჩნეულ უფსრვიობათა ახასნულად პირველ ეპიცკლზე მეორე — დამატებითი ეპიცკლი ავგო, ხოლო მას შემდეგ, რაც არაბმა ასტრონომებმა ციურ სხეულთა მოძრაობაში ბევრი ახალი შესაბამისი აღმოაჩინეს, საჭირო შეიქნა სხვა დამატებითი ეპიცკლების შემოღება და, იმავედროულად, ერთობის მიმართ მათი მოძრაობის დახრას სხვადასხვა კუთხით. XII საუკუნეში მარსოიდენ პლანეტა მარსის მოძრაობის წარმოსადგენად შემოღებულ ეპიცკლთა რიცხვმა ოცდაორს მიაღწია. ყოველივე ეს უკიდურესად ართულვად სამყაროს აგებულების პტოლემიანისეულ სურათს და ეჭვს ბადებდა მისი სისწრაფის მიმართ. ამიტომაც იყო, რომ ტოლემიანის ქრისტიანული სამეფოს ბრძენთა-ბრძენმა მმრძანებელმა ალფონსო X-მ (1220—1284) სწორედ პტოლემიანის ცენტრების რედაქტირებისას წარმოასთქვა თავისი ისტორიული ფრაზა: „უფალ ღმერთის სამყაროს შექმნისას ჩემთვის რომ ეკითხა რჩევა, ცოტა უკეთეს ნიშნულს შევთავაზებდი“.

სწორედ ეს სირთულე აცხუნებდა კოპერნიკს, ისევე, როგორც პლატონს 19 საუკუნის წინააღმდეგ, თვისი დიდი წინამორბედისა არ იყოს, თვითონაც ღრმად იყო დადიმუნებული, რომ სამყაროს გაცილებით უფრო მარტივად და ეკონომიურად სქემა უნდა სდებოდა საფუძვლად. ამიტომაც გულმოდგინედ სწავლობდა ძველ ბერძენ თუ რომაელ სწავლულთა შრომებს და მათი ძიებების შედეგებს ლამელი ცის თაღზე საკუთარი დაკვირვებებიდან გამომდინარე დასკვნებს უდარებდა. 1520 თუ 1530 წელს (ზუსტი თარიღი უცნობია) ასე დაიწერა მისი ამოკლებული „ნიკოლოზ კოპერნიკის მოკლე კომენტარები მიმოთხუებისა, ციურ მოძრაობებს რომ ეხებიან“, სადაც მან ჩამოაყალიბა თავისი მოძღვრების ძირითადი დებულებები თუ აქსიომები, რომლებიც შემდეგ შევიდა მის მთავარ შრომაში — „ციურ სხეულთა მიმოქცევისთვის“, 1543 წელს რომ გამოქვეყნდა ნორინბერგში, კოპერნიკის სიყვლილად სულ ცოტა ხნით ადრე (ერთი ეგზემპლარი სწორედ ასაკიდლო სარეცელზე მიაღწევს სულთმოზრმად ავტორს).

ზოგიერთი ეს აქსიომი შეიძლება შემდგენიარად იქნეს რეზიუმირებული: დედამინის ცენტრი სამყაროს ცენტრი კი არა, მთვარის ორბიტისა და დედამინაზე მდებარე

ყოველი სხვის ცენტრია; ყველა პლანეტა მზის ირგვლივ მოძრაობს, რომელიც ყველა ორბიტის ცენტრად დაგას, ამიტომ მზე უნდა მიგვაჩინდეს სამყაროს ცენტრად; მოძრაობები, რომელთაც ცის თაღზე ვაკვირდებით, თვით ცის მოძრაობები კი არა, დედამინის მოძრაობის შედეგია; მზის წლიური ხილული მოძრაობა ვარსკვლავიერი ცის ფონზე მზის ირგვლივ დედამინის წლიური ბრუნვით აიხსნება; პლანეტების ხილული „ბეტიალი“ ცის ფონზე კი ილუზიაა, რასაც დედამინის წლიური წრეწრუნვა იწვევს.

ცალკეული ხარვეზებისა და, დღევანდელი ასტრონომიული თვალსაზრისით, აშკარა უზუსტობებისა თუ შეცდომების მიუხედავად, კოპერნიკის კონცეფციამ მკაფიოდ იქნა ჩამოყალიბებული სამყაროს პელიოცენტრული სისტემის კონტურები, რუსი ასტრონომის, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ს. ნ. ბლაგოვის მიხედვით, „კოპერნიკის მოსახრებებს საფუძვლად უდევს აზრი, რომლის თანახმადაც, სფეროსებური დედამინა, ისევე, როგორც პლანეტები, მზის ირგვლივ მოძრაობს და თავისი ერთ-ერთი დიამეტრის გარშემო ბრუნავს. მოვარე დედამინის ირგვლივ ტრიალებს და, როგორც თანამგზავრი, თან ახლავს მას მზის ირგვლივ მოძრაობისას. დედამინის ბრუნვა განაპირობებს ციური სფეროს სადღეღამისო მოძრაობას. მზის გარშემო დედამინის ბრუნვის დამებება შესაძლებელი გახდა პლანეტების ხილული მოძრაობათა, უწინარეს ყოვლისა კი, წინსვლითი და უკუქცევილი მოძრაობების გაცილებით უფრო მარტივად ახსნა, ვიდრე პტოლემიანის გეოცენტრულ სისტემაში. თუმცა მზის ირგვლივ პლანეტების და, მათ შორის, დედამინის არათანახარზომიერ მოძრაობათა ახასნულად კოპერნიკმა შეინარჩუნა წიროლი მოძრაობები და ეპიცკლები. მას სურდა დაესაბუთებინა თავისი თეორიის ძირითადი იდეა — დედამინის წრეწრუნვა და მისი მოძრაობა, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მისი არგუმენტები ისევე ნაკლებ დამაჯერებელი არაა, როგორც დედამინის უფრობის პტოლემიანისეული მტკიცებანი. კოპერნიკის დროს ფიზიკას და მექანიკას დიდი პროგრესი როდი განუცდიათ ძველი ბერძენების წარმოდგენებთან შედარებით. არგუმენტაცია კვლავაც უწინდელი რჩებოდა. თუმცა კოპერნიკის მტკიცებანი ზედმინებით შეესაბამებოდნენ იმდროინდელი მეცნიერების წარმოდგენებს ფიზიკურ მოვლენათა შესახებ; ამიტომაც საესახებო საკებარის ჩანდნად და დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მისი თანამედროვეებისათვის, ასე რომ, კოპერნიკის თავისი თანამოაზრებიც ყუადნა, რომლებიც თანდათანობით ავითარებდნენ მის მოძღვრებას და დღევანდელ დონემდე მიიყვანეს ასტრონომია. კოპერნიკის მოძღვრების მკაცრი დასაბუთება მხოლოდ უფრო გვიან გახდა შესაძლებელი. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მნათობთა ხილულ მოძრაობას კოპერნიკის სისტემა უფრო მარტივად ხსნიდა, ვიდრე პტოლემიანისა“.

მაგრამ მისმა პელიოცენტრისტულმა თეორიამ კოპერნიკს მარტო თანამოაზრნი კი არა, მრისხანე მტრებიც შესძინა, რომელთა შორისაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ გერმანული პროტესტანტიზმის ლიდერი მარტინ ლუთერი (1483—1546), გადაჭრით რომ, აღუდგა წინ ამ „მკაცრ მოძღვრებას“. „როგორც ამბობენ,



ერთ ახალ ასტროლოგს მოუწოდებინა დამატკიცოს, თითქოს ცა, მზე და მთვარე კი არა, დედამიწა ბრუნავს თავისი თავის ირგვლივ... ბრიყვს უნდა თავდაყირა დაეყენოს ასტრონომიის მთელი ხელოვნება. მაგრამ როგორც გვიმომეგბეს საღმრთო წერილი, ისე წარმანმა დედამიწის კი არა, მზეს უბრძანა — შექრდიო!... სად საღმრთო წერილის ქვეშევსავალი ავტორიტეტი და სად უცნობი ასტროლოგის თუ ასტრონომის ესოდენ „ბრიყველი“ მტკიცება? დიდ რეფორმატორს მკრეხელთავე მიანდა თვით მათი დაპირისპირება. კოპერნიკის მოძღვრების მიმართ არანაკლებ დაუნდობელი იყო ლუთერის თანამოაზრე, სახელგანთქმული გერმანელი თეოლოგი ფილიპე მელანხთონი (1497—1560), ხელაღებით რომ მოითხოვდა, საერო ხელისუფლებისაგან, ჩანასახშივე ამოშთილი და გასაქვნი არ მიეცეთ ამ „სულიერი აღვირ-ბისწინაობისათვის“.

კათოლიკური ეკლესია ვატიკლებით უფრო გვიან — კოპერნიკის გარდაცვალებიდან მხოლოდ 73 წლის შემდეგ „მოეგო გონს“ და ე.წ. „კონგრეგაციის ინდექსით“ დაეკმარა პოლანდელი ასტრონომის, მკავე მოძღვრება: „უწმინდეს-მა კონგრეგაციამ შეიტყა, რომ პოთაგორელთა ცრუ და საღმრთო წერილის სანიხალმდეგო მოძღვრება, როგორც მას გადმოგვცემენ კოპერნიკი და სხვები, ბელანსა ვრცელდება და ბევრისთვის მისაღებ ხდება ჩვენს დროში. იმისათვის, რომ აღუკვეთოთ ამწარნი მოძღვრების გავრცელება საღმრთო ქრისტიანობის საზიანოდ, უწმინდესმა კონგრეგაციამ დაადგინა მათ გამოსწორებადგე აიკრძალოს კოპერნიკისა და მის თანამოაზრეთა წიგნები, ასე რომ, ყველა ეს თხზულება იკრძალება და იგმობა ამ ბრძანების ძალით“. კოპერნიკის მითვარი შრომა დაწვეს და, იმავდროულად, ე.წ. „აქრძალულ წიგნთა ინდექსშიც“ შეიტანეს [ეს „ინდექსი“ 1559 წელს იქნა შედგენილი და თანდათანობით იესებოდა ისეთ ავტორთა წიგნებით, როგორცაა დანტე, ბუკონი, პოპო, ლიბანიცი, სპინოზა, კანტი, ლოკი, ვოლტერი, რუსო, დარენი, ფილბონი, ფრანსი, პაინე, სტენდალი, ზოლა, ტოლსტოი, გორკი და სხვ.]

თუმცემტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც წარ-სულს ჩაბარდა ძველი პავანისტური რელიგია და თან გაყოცა თავისი ანთროპომორფული დვაბებები, რძელთა ადგილიც აღმოსაპოებით მოვლენილმა ჯვარ-ცხელმა ღმერთმა და მისმა მონათესაებურმა რელიგიამ დაიკავა. მეორეს მხრივ, სამყაროს საიდუმლოებათა ინ-ტეგრირი ნვლობა, რაც ნიმნეული იყო ანტიკური მეცნიერებისათვის, ბუნების მოვლენებზე სისტემატურმა დაკვირვებებმა, მათმა კრიტიკულმა ანალიზმა და მათემა-ტიკურ აპარატზე დაფუძნებულმა კვლევის ექსპერიმენ-ტულმა მეთოდმა შეცვალა, რითაც ახალი მეცნიერება არსებობდა განსხვავდებოდა ძველისაგან. მაგრამ ამ რა-დიკალური ცვლილებების მიუხედავად, რელიგიისა და მეცნიერების ანტიგონიზმი თითქმის მთლიანად უცვლელი დარჩა, ხოლო ორივე მხარისათვის ამ საბუნ-სწერო ანტიგონიზმში „განხეთქილების ვაშლის“ როლს კვლავინდებურად ასრულებდა სამყაროს პელიოცენ-ტროლი სისტემა. გოეთე განცვიფრებით ლაპარაკობდა იმ მსხვერპლზე, რაც ცაცობრიობისათვის მოითხოვა კოპერნიკის მოძღვრების აღიარებამ:

„მთელ ამ ახალ წარმოდგენებათ თუ აღმოჩენებთ შორის აღამიანის სულზე იშვითადა თუ მოუხდენია რამეს კოპერნიკის მოძღვრებაზე უფრო მძალადი ზემოქმედება. როგორც კი წრეულად და დასრულებულად ცნეს სამყარო, მამრეც იმულებული შეიქნენ უარო ეთქვი ამ წარმოდგე-გენულ უპირატესობაზე, რასაც კანაპირობება სამყაროს ცენტრად ყოფნა შესაძლოა, ვაცანობისათვის არას-დროს ნაუყენებიათ ესოდენ გრანდიოზული მოთხოვნა; მასზე დათანხმებისთანავე ყველაფერი კვამლად და ნის-ლიად იქცა: ახალი სამოთხეც, უბნოების, პოეზიისა და ლევისსმოსაობის სამყაროც, გრძნობების მოწმობაც, რელიგიურ-პოეტური რწმენაც. რა გასაკვირია, რომ აღამიანებს არ უნდოდათ უარეყოთ ყოველივე ეს და მთელი არსებით ცდილობდნენ წინ აღდგომოდენ იმ მოძღვრებას, უფლებას რომ აძლევდა თავის მომდევრებს და, იმავდროულად, მოითხოვდა მათგან, წარმეშურებულად ესარტყლათ იმ არნახული თავისუფლებითა და აზრის სიმბალით, რასაც უნინ მიახლებითათუ კი ვერ წარმოი-დგენდნენ“.

ერთი პირველთაგანი, ვინც უყუყუამანო მიემბო კოპერნიკის „ახალ მოძღვრებას“, დიდი იტალიელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი და კოსმოლოგი ჯორდანო ბრუნო (1548—1600) იყო. 17 წლისა დაბრისკვლა მონასტერში ბერად აღიკვეცა, სადაც იმ დროის ეკლეს-იაზე საფუძელანი განათლება მიიღო, ასე რომ, თვით პაპი პიუს V-ს (1566—1572) ნარუდენებს როგორც კათოლიკური თეოლოგის მონახელი მნათობა. მაგრამ მალე მიატოვა მონასტერი, რადგანაც მიხედა, რომ საეკ-ლესიო სარბიელი მისი ასპარეზი არ იყო. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მწვალებლად გამოეცხადებინათ და 28 წლის ჯორდანო ბრუნო იძულებული შეიქნა შეეცარიამი გაქციულიყო. შეეცარიამიდან საფრანგეთში მიემგზავრება, სადაც პრო-ფესორის ადგილს სთავაზობენ სორბონის უნივერსიტეტში, მაგრამ ის უარს ამბობს ამ საპატი-ობისზე, რადგანაც სორბონის პროფესორი ვალდებული იყო ლევისსახებურებას დასწრებოდა ეკლესიაში. 1583 წლიდან ბრუნო ინგლისშია და ლექციებს კითხულობს ოქსფორდის უნივერსიტეტში. აქ დაიწერა მისი მითვარი ფილოსოფიური თხზულებები „უსასრულობის, უნივერ-სიუმისა და სამყაროთათვის“, „მოხეიმე მხევის განდევნა“, „პერიოკული ენთუზიაზმისათვის“.

1591 წელს, გერმანიაში ყოფნისას ბრუნომ მიიღო ენციკლიკი ნობლის ჯოვანი მოჩინეოს წერილი; მოჩინეოს სურდა მთელს ევროპაში სახელგანთქმული სწავლების ხელმძღვანელობით დაფუძნებულა „პერიმე-ტულ მეცნიერებათა“ საფუძლებს, რისთვისაც უნებ გასაპრეჯლოს სთავაზობდა ბრუნოს, რადგანაც იმედი ჰქონდა, რომ აღქიმიამი განაფვის წყალობით ისრულებ-და თავის სანუკვარ სურვილს: ქიმიური გარდაქმნების გზით ფერადი ლითონებიდან მიეღო ოქრო. გარდა ამისა, ის ხელმეუხელობის გარანტიასაც აძლევდა ბრუნოს, რომელიც ენდო მის სიტყვას და იტალიიდან მეთოხედი საუკუნის წინათ გადახვენილი 1592 წელს დაბრუნდა სამშობლოში. დაბრუნდა, მაგრამ სულ სხვა განზრახვით, ვიდრე მოჩინეოს სურდა: გადამხვენილი ჰქონდა „პერიმე-ტული“ კი არა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების



დაუფლებამო დახმარებოდა „სწავლასმოწყურებულ“ შვიტრდს. ამიტომაც იყო, რომ დაბრუნებისთანავე შეუდგა თავისი განზრახვის ასრულებას, მაგრამ მოჩენივოს მალე აეცსო მითმინების ფილა და იმედგაცრუებულმა ინკვიზიციას გადასცა აბეზარი მასწავლებელი, როგორც კი ბრუნოს შეპყრობის ახალი ვაგიო, პაპმა კლემენტე VIII-მ (1592—1605) კატეგორიულად მოსთხოვა ვენეციის ხელისუფალთ რომისთვის გადაცემა იგი.

საგულისხმოა დახასიათება, რომელიც ბრუნოს მისცა ვენეციის რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლებამ: „უძიმესიანა მწვალუბლობის მხრივ მის მიერ ჩადენილი დანაშაული, მაგრამ ესაა ერთი უთვალსაწიროესი და უშეკითესი გენია, როგორიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ; განსაკვირვებელი ცოდნის პატრონი და შესანიშნავი მოძღვრების შემქმნელი“. მოუხდავად ამისა, 1593 წელს ბრუნო მანცე გადასცეს რომის საეკლესიო ხელისუფალთ.

ასე შეუდგა მეცნიერების დიდი მარტვილი წამების შვიდწლიან გზას. მისგან მოითხოვდნენ უარყო „ერიტიკული მოძღვრება“, იმ დროის კვლავობაზე განსაკვირვებელი სითამითი რომ ამტკიცებდა სამყაროს უსასრულობას. თვით კომერციის მიხედვითაც კი, სამყარო სასრული იყო, თავის თავში ჩაქცეული და ე.წ. „უძრავი ვარსკვლავთა“ სფეროთი გარემოცული. ბრუნომ კი თავის თხზულებებში — „უსასრულობის, უნივერსუმისა და სამყაროთათვის“ წამოაყენა თავბრუდამხვევი იდეა: უნივერსუმი უსასრული და უსაზღვრო სივრცეა, რომელიც მოიცავს სამყაროთა ურიცხვ სიმრავლეს, მეტ-ნაკლებად რომ ჰგვანან ჩვენსას; ამასთან, ვერცერთის ვერ დაფასავთ უნივერსუმის ცენტრად, რადგანაც მას არც საზღვარი აქვს და არც ცენტრი: ერთი და მეორეც შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ უნივერსუმის უსასრულო სივრცეში მომთაბრეტლ ცალკეულ სამყაროებს. ყველა ეს ცენტრი უზარმაზარი ციური სხეული — იგივე მზე; მზეები თავიანთი საკუთარი სინათლით ნათობენ, ხოლო მათ ირგვლივ საკუთარ ორბიტებზე მიმოიტყვევიან პლანეტები და ნოდებელი უფრო პატარა სხეულები, მზეებისგან რომ სესხებულობენ თავიანთი სინათლეს.

ბრუნოს მიხედვით, გაენითარების პროცესში ჩართული სამყაროები — პლანეტები და მზეები — გამოუღებულ ცვალებადობას განიცდიან; ისინი იზიდაებიან და ეკედებიან. იცვლებს ჩვენი პლანეტის ზედაპირიც. დროის ხანგრძლივ მუალეებში „ზღვები კონტინენტებად იქცევიან, კონტინენტები კი — ზღვებად“. დედამიწა სიცოცხლის ერთადერთი კერა როდია; უსასრულო კოსმოსში შეიძლება არსებობდეს ურიცხვი ასეთი კერა, ხოლო თვით სიცოცხლის ფორმები უსასრულოდ მრავალფეროვანია, ისევე, როგორც საარსებო პირობები სხვა პლანეტებზე. სიცოცხლე კი გარღვეულად წარმოშობს გონიერებას, თუმცადა სხვა პლანეტების ბინადარი გონიერი არსებები შეიძლება სულაც არ ჰქავდნენ ადამიანებს, რადგანაც კოსმოსის უსასრულო და მასში არსებობის ყველა ფორმისთვის მოძებნება ადვილი.

კოსმორი ევოლუციის კონცეფციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე ასტრონომიაში, რომელმაც გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ კომერციისა და ჯორდანო ბრუნოს შემდეგ. არსებობდა თანამედროვე

ასტრონომიის მიერ მატერიის სტრუქტურულ დონეთა თვითორგანიზაციისა და ევოლუციის კონცეფციის თანამედროვე ასტრონომიის მიერ შეტანილი წვლილი. — წერს რუსი სწავლული, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი ა. მ. პეტროვი: — ვერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ევოლუციის სხვადასხვა ეტაპებს — კოსმოგონიურს, ასტროფიზიკურს, გეოლოგიურსა და ბიოლოგიურს — არსებობდა, და საქმარის ურთიერთკავშირის გაგრევე იკვლევდნენ: სამყაროს მეცნიერული სურათის დონეზე, რა თქმა უნდა, კემორი კი მყარდებოდა, მაგრამ ის ყოველთვის როდი იქცეოდა ორიენტრალ ევოლუციურ პროცესთა კონკრეტული კვლევისას. დღეს კი ასტრონომიაში საყოველთაოდ მიღებულია სამყაროს განიხილადნენ როგორც თვითორგანიზებად სისტემას, კოსმორი ევოლუციის პროცესებს კი დედამიწის ევოლუციის უკავშირებენ და ცდილობენ თვალს გააფიქრონ, რა კავშირა მგვა-, მაკრო- და მიკროეოლოგიათა შორის, რომელთაც განიხილადნენ როგორც სამყაროს სულ უფრო და უფრო გართულებად თვითორგანიზაციისა და ევოლუციის კართორ პროცესის კერძო ასპექტებს“.

მაგრამ ვიდრე ასტრონომიული მეცნიერება ამ თვალსაზრისადვე მივიდეთ, მას ურიცხვი დაბრუნებლობა და სასტიკი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. აზროვნების ინტენსიურ რომ აღარაფერი ექცეოდა, ზემოთ ავარტოხელ ადინიზმული ანტიკონიზმი რელიგიური მსოფლმხედველობის კონსერვატიზმსა და მეცნიერების ნოვატორულ მისწრაფებასა თუ მიგნებებს შორის უამრავი მსხვერპლის ფასად დაუგდა ადამიანის მადებელ აზრს.

ამ ანტიკონიზმს, ზეციურ და მიწიერ სამყაროთა დაპირისპირებიდან რომ იღებს დასაბამს, ფესვები მოიკრუნ წარსულში აქვს გადებული. ცა ძველ ცივილიზაციებში ყოველთვის მოიაზრებოდა უკეთადი ღმერთების საფანედ, სინათლის, სინმინდის, უხრწნელობის და წარუვალობის საფულოდ, მამინ როდესაც დედამიწას, ვერ კიდევ ანტიკურბიდან მომდინარე ტრადიციის თანახმად, დამატრალად საპირისპირო ატრიბუტები მიენერებოდა და მოკლედ ადამიანთა ამქვენიურ სამყოლად და საპრძანებლად იყო მიწნეული. არისტოტელეს (384—322 ძვ. წ. ა.) მიხედვით, ცა არამატერიალური, მარად უცვლელი „ეიურისგან“, ანუ ე.წ. „ეიურისტენიციისგან“ (მზეთუ არსისგან) იყო შექმნილი, მკვეთრად რომ უპირისპირდებოდა დანარჩენ ოთხ მატერიალურ „სტიქიონს“ ან „ელემენტს“ — მიწას, წყალს, ჰაერს და ცეცხლს, რომელთაგანაც თიხზოლდა მთელი მიწიერი სამყარო. იმავე არისტოტელესა და პტოლემაიშის ასტრონომიული კონცეფციას, რომელიც მთლიანად გაიზიარა ქრისტიანობამ, დედამიწას სამყაროს ცენტრებად მიიჩნეოდა. ეს გეოცენტრული კონცეფცია კი ბიბლიური ანთროპოცენტრიზმის დასტურად იქნა აღქმული: „მსგავსად იმისა, — წერს ცნობილი ფრანგი თეოლოგი პეტრე ლომბარდი (გარდ. 1164 წ.) თავის თხზულებებში „სენტენციათა ოთხი წიგნი“, — როგორც ადამიანი მდურთისათვის არის შექმნილი, რათა მსახურებდეს მას, ისე სამყაროც ადამიანის სასახარად არის შექმნილი. ამიტომ ადამიანი სამყაროს ცენტრშია მოქცეული, რათა შეედლოს თვითონ მსახურებდეს და მასაც მსახურებდენ“. ანტიკური თუ ულინისტური ეპოქის ანალოგიური წარ-

მოდგენები ისე ღრმად შეითვისა და შეისისხლნორცა ქრისტიანობამ, ისე სრულად მიუსადაცა საღმრთო წერილით ნასაზრდოებ თვის საკრალურ მრწამსს, რომ კოპერნიკის, ისევე, როგორც ჯორდანო ბრუნოს ურტყიკული მოძღვრებამ მონმნდილ ცაზე მეტის გავარდნას ჰკავდა. პელიოცენტრულმა სისტემამ დედამიწას ერთბაშად „ჩამოართვა“ სამყაროს ცენტრის პრივილეგირებული როლი და ის კოსმოსის უსასრულო სივრცეში მიმოფანტულ ურიცხვ განადიოებულ ვარსკვლავთა შორის ჩაკარგულ ქროლის უზარდულ მარცვლად აქცია.

კოპერნიკსა და ჯორდანო ბრუნომდე დედამიწა თითქოს ის უზარმაზარი არენა იყო, სადაც დამიანის უკუდავი სულისათვის ერთმანეთს ერკიდებოდნენ ზესკნეღლისა და ქვესკნეღის, სინათლისა და ბნელეთის ძაღნი; სადაც ზორცის ისხამდა საკუთრი დედამიწის მიღამ დასახლები მისტორი გეგმა (ყოფითი დაცემისა და გამოსყიდვის, ანუ ადამის დაცემული ძის აღდგინების, რისთვისაც თვით მაცხოვარმა დასთია თვისი ღვთაებრივი სისხლი. გეოცენტრული სისტემა, რომლის მიხედვითაც დედამიწა სამყაროს ცენტრად იყო დასახლებული, კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩენდა ადამიანთა საცხოვრისის საკრალურ როლს, მაშინ როდესაც პელიოცენტრულ სისტემას, ასტრონომიული განმარტვისის ერთ უზარდულ სხეულად რომ აქცევდა დედამიწას, გასული საუკუნის ინგლისელი თეოლოგისა და ფიზიკოსის პ. უაითეუერის სიტყვით, „ჰეილბრედა მიგეყვანეთ იმ დასკვნამდე, რომ დედამიწისებულ „გამოცემამ“ კომპიურნი კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობის მოვლენა იყო“. პელიოცენტრული არა მარტო გეოცენტრუზმს, ანთროპოცენტრუზმაც უთხრავდა ძირს.

ჯორდანო ბრუნოს (ისევე, როგორც — უფრო ადრე — კოპერნიკის) ასტრონომიული კონცეფციის გასახილთებლად კათოლიკურმა ეკლესიამ შეიმუშავა ფორმულა, რომლის მიხედვითაც, იტალიელი სწავლულის მოძღვრება თითქოს „სწორი იყო მათემატიკურად, მაგრამ მცდარი — ფილოსოფიურად“; სწორი იყო იმდენად, რამდენადაც მტოლემეაოსის გეოცენტრულ სისტემასთან შედარებით უფრო მარტვავად ხსნიდა ასტრონომიულ მოვლენებს, მაგრამ, იმავე დროს, მკვეთრად უპირისპირდებოდა სკოლასტიკურ ფილოსოფიას, ანუ, რაც იგივეა, კათოლიკურ თეოლოგიას; ეს კი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის წყალობით დამკვიდრებული და ურყვე დღემდე ქცეული საკრალური წარმოდგენების ნივალმდეგ მთავართულ აპკარს ჯწყას ნიშნავდა. ამიტომაც იყო, რომ ათვისტად შერაცხეს დიდი პანთეისტო, რომლისაც, საკუთარი მრწამსიდან გამომდინარე, მარიალას, თავისებურად, მაგრამ მაინც გულმხრავლად სწამდა ღმერთი: „ჩვენ ვეძებთ ღმერთს ბუნების უკვლავლასა და ურყვე კანონში, ამ კანონით მართული მისის მონიშნებით საუკე განწყობაში; ჩვენ ვეძებთ მას სულის ბრწყინვალეებაში, ჩვენი მთხოლოური დედამიწის ნიაღში, ლეთაბრივი არსის შემმარტივ ათინათში, ცის უსასრულო სივრცეში მიმოფანტულ ურიცხვ თანავარსკვლავთა ცივამე, თავიანთი გალობით რომ აღიდგებენ ზეკეთილს, ერთადერთსა და ზესთა-ზესს“.

მაგრამ კათოლიკური ეკლესია ზიზღით უარყოფდა მის პანთეიზმს, პელიოცენტრუზმს კი მომკვიდრებულ ცოდა-

ვად უთვლიდა, რამაც თავისი საბოლოო გამოხატულება პპოვა ინკვიზიციის განაჩენისა: „...ვგომობ, შეგაყვენებით და ვერძალავთ შენს წიგნებსა და წიწურებს, თავიანთ ფურცლებს რომ უთიშობენ ურიცხვ ერებსა და ღვთისმშობას. გზამანებთ: ამიერიდან ყველა შენი წიგნი, რაც კი ხელში ჩაუვარდება ღვთისმსახურს, საჯაროდ დაბირო, მწიდა პეტრეს მოედანზე დაწვან... და, როგორც ღვთისმშობის, აკრძალულ წიგნთა სიაში შეიტანონ“. ამ სიტყვების მოსმენების, მონათულის ფეხასებით მოსილი და ყვლზე თოქტეშეული მსჯავრდებული, კარდინალ გადრუვის სასახლეში ძალით რომ დააჩოქა ჯალათმა, ფეხზე წამოგდა და თქვა: „თქვენ უფრო შიშით წარმოიტყვამთ ამ სიტყვებს, ვიდრე მე მათ ვისმენ“. განაჩენი ბრძანებდა: „ჩუმპაუროდ და უსისხლოდ!“, რაც კოცონზე ცოცხლებ დაწვეას ნიშნავდა. 1600 წლის 17 თებერვალს „ყვევთლების ველზე“ (ჩამოი დეი ვიწმენი). განაჩენი სისრულეში იწნა მოყვანილო.

„დდი დეგემი უღმობუნლი არიან“, — ამბობს გასული საუკუნის ცნობილი ამერიკელი მათემატიკოსი, ლეგეოსი და ფილოსოფოსი ალფრედ ნორთ უაიტჰედი. პელიოცენტრუზმის იდეა იტალიური (და არა მარტო იტალიური) მეცნიერების კიდევ ერთი სიაშაყუს, თანამედროვე ბუნებისმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებლის გალილეო გალილის (1564—1642) ბედისწერად იქცა. გალილეის შრომების მშრალი შემოკლებაც კი საკმაოდ ვრცელ ადგილს დაიჭერდა: მისი თხზულებების 20-ტომიანი იტალიურ გამოცემამ (1890—1909); იგივე გამოცემა განმარტდა 1929—1939 წლებში საკუთარი გალილეის შრომებს I—IX ტომები უჭირავს; X—XVIII ტომები დიდი სწავლულის მიმორჩას შეიცავს; XIX ტომი ბიბლიოგრაფიულ და საცნობარს მასალას ეძენება; XX კი — დასათარებებსა და დამატებებს. რაც შეეხება გალილეის შრომების თუნდაც ყველაზე ზერულ და მოკლე ანალიზს, ამისთვის ნამდვილად არ იკმარება ჩვენი გამოკვლევის ფორმატი. ამიტომ, მოდიოთ, ჩვენი უშუალო თემის ფარგლებში დავრჩეთ და ვცადოთ ახალი კუთხით შევეფიქრო რელიგიისა და მეცნიერების ტრადიციულ კონფლიქტს, რასაც მთელი სამოცდაათი წლის მანიღლებ პიროტრესისა და რეკრესის, სიკეთისა და პიროტრესის ძალთა სამკედრო-სასიციცილო ჭიდილად აღიქვამდა „მსოფლიოში ყველაზე მონიშნეუ საბჭოთა მეცნიერებმა“, თუმცა სინამდვილეში ეს იყო მხოლოდ ორი ურთერთსამარისპირო მრწამსის, თავის საკუთარი სიმართლეში ღრმად დაწმუნებული ორი სხვადასხვა სოფლმხედველობის კოლიზია, რაც ასწავლულების მანიღლებ ეამოდ ელოდა ობიექტურ მსჯავრს და პირუთენელ შემფასებელს. ქვემოთ მკითხველი გაეცნობა ორცელ ამონარიდს გასული საუკუნის დიდი გერმანელი ფიზიკოსის, კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ვერნერ ფონ ჰაიზენბერგის ესსედან „საბუნებისმეტყველო და რელიგიური შემმარტივება“, როგორც ღრმად მეცნიერიული და ობიექტური კრიტიკის ნიმუშს:

„...საბუნებისმეტყველო მეცნიერებთა წარმომადგენელი, ცხადია, უნდა ითვალისწინებდეს რელიგიის ყოვლისმომცველ მნიშვნელობას ადამიანთა საზოგადოებაში, თუკი ცდილობს გაიაზროს რელიგიური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებთააა შემმარტივების



თანადოა ნაოლა. ამ ორი ქვეშაირების ურთიერთშეჯახებამ, XVII საუკუნიდან მოყოლებული, გადაწყვეტილ შემოქმედება მოახდინა ევროპის სულიერ ისტორიაზე. ამ მოვლელტში პირველ ნაბიჯად, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ რომანული ინკვიზიციის მიერ 1616 წელს გალიციის წინააღმდეგ წამოწყებულ პროცესს, როცა ეკლავ წამოიჭრა საკითხი კოპერნიკის მოძღვრების შესახებ... ამ მოვლენაზე ცოტა უფრო დანერგებით უნდა ელაპარაკოთ. გალიციე იცავდა კოპერნიკის მოძღვრებას, რომლის თანახმადაც — სამყაროს პტოლემეოსისიეული სურათის საპირისპიროდ, ერთპიროვნულად რომ ბატონობდა იმდროინდელ სინამდვილეში, — მზე უძრავად დგას პლანეტარული სისტემის ცენტრში, დედამიწა კი მზის გარშემო მოძრაობს და, გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში ერთ სრულ ბრუნს ასრულებს თავისი თავის ორგავლი. გალიციის მონაფეოქ კასტელიომ წამოაყენა შემდეგი თეზისი: თეოლოგები ამერიდან იმაზე უნდა ზრუნავდნენ, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიერ მკაცრად დადგენილი ფაქტების მიხედვით განმარტონ ბიბლიაო. ამნაირი განცხადება შეიძლება დასაძმორი ნერილზე თავდასხმადა მიეჩნიათ და დომინიკელმა მამებმა — კაზინიმ და ლორინიმ საქმე აღძრეს რომის ინკვიზიციის წინაშე. 1616 წლის განაჩენით, ორი თეზისი, რომლებიც კოპერნიკს მიეწებოდა და რომელთა მიხედვითაც მზე სამყაროს ცენტრშია და ამიტომ უძრავია, ხოლო დედამიწა არც სამყაროს ცენტრშია და არც უძრავი, არანმედ დღე-ღამის განმავლობაში თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს, — ფილოსოფიური თვალსაზრისით მცდარად და მწვალებლურად იქნა მიჩნეული. პაპ პავლე V-ის თანხმობით, კარდინალ ბელარმინის დაეველა გალიციე ეიძულებინათ უარეყო კოპერნიკის მოძღვრება. წინააღმდეგ მუხმხვევაში, კარდინალს უფლება ეძლეოდა გალიციისთვის აუკრძალა როგორც ამ მოძღვრების გავრცელება, ისე მისი დაცვაც და განხილვაც. წლების განმავლობაში გალიციე ემორჩილებოდა ამ ბრძანებას, მაგრამ პაპის ტახტზე ურბანუს VIII-ის ასეღის შემდეგ მან გადაწყვიტა, რომ ახლა უკვე შეიძლებადა ამკარად გავერძილებას თავისი კლავეა თეზისი. 1632 წელს ცნობილი პაპულეტის — „Dialogo“-ს გამოქვეყნების შემდეგ საქმე მეორე პროცესამდე მივიდა, რომელზედაც გალიციეში ფიცი უარეყო კოპერნიკის მოძღვრება მისი ნებისმიერი ფორმით. პროცესის დეტალბად დღეს შეიძლება ადარ გვანიტრეფებდეს, ისევე, როგორც ადამიანური შედგომები, რომლებზედაც თავიანთი როლი შეასრულეს ორივე მხარეს. სამაგვიროდ საჭიროა და გვემართოს კიდევაც ჩაუფიქრდეთ სტრუქტურის უფრო ღრმა მიხეზებას.

უნინარეს ყოვლისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს გვესმოდეს, რომ ორივე მხარეს მართალი უნდა ჰქონებოდათ. თავი. საეკლესიო ბელისუფლება და გალიციეც თანაბრად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ საფრთხე ემუქრებოდა მაღალ ფასულობებს და ამიტომ მათი უშუალო მოვალეობა იყო დაცვათ ისინი. გალიციემ იცოდა, რომ მოვლენებზე გაუმოდგინე დაკვირება დადამინაზე და ცის თაბუდაც, ეს იწებოდა ქუების ვრცელ თუ პლანეტების მოძრაობა, მკვლერის თვალწინ ავლენდა მათემატიკურ კანონზომიერებებს, რაც მას საშუალებას

აძლევდა ამ მოვლენებში სიმარტივის მანამდე ტყუილი ხარისხი ადმოქონა. მას ესმოდა, რომ ეს სიმარტივე ასხივებს გაგების ახალ შესაძლებლობებს, რაც ჰქენს აზრს საშუალებას აძლევს მოახდინოს მოვლენათა სამყაროს მარადიული წესრიგის ცალკეულ კერძ სტრუქტურათა რეპროდუცირება. პლანეტარული სისტემის კოპერნიკისეული ინტერპრეტაცია პტოლემეოსისიეულ ინტერპრეტაციაზე გაცილებით უფრო მარტივი იყო: მას თან ახლდა აბლბური გაგება, და გალიციის არასდღეობით არ უნდოდა შეღეოდა ღვთაებრივი წესრიგის წვდომის ამ ახალ საშუალებას. ეკლესიას კი, პირქით, მიაჩნდა, რომ ვიდრე არ აიძულებდნენ აბსოლუტურად ურყევი და ექვემუდავი არგუმენტები, არ შეიძლებადა უარეყო სამყაროს ჩვეული სურათი, რომელიც უკვე მრავალი საუკუნის მანძილზე თავისად მიაჩნდა ქრისტიანულ აზრს. მაგრამ ამნაირი ექვემუდავი არგუმენტების წარმოდგენა არც კოპერნიკს შეეძლო და არც გალიციეს. მართლაც, კოპერნიკის მოძღვრების პირველი თეზისი, რომელიც განიხილებოდა პროცესზე, უთუოდ მცდარი იყო. სხვათა შორის, დღევანდელი ბუნებისმცოდნეობაც ვერასდღეობით ეერ იტყოდა — მზე სამყაროს ცენტრშია და ამიტომ უძრავიაო. რაც შეეხება მეორე თეზისს, დედამიწას რომ ეხება, თავდაპირველად უნდა გაორკვეს, რას ნიშნავს სიტყვები — „უძრაობა“ და „მოძრაობა“. თუ მათ აბსოლუტურ მნიშვნელობას მივანერთ, როგორც იქცევა მიამიტური აზროვნება, მაშინ გამოიქემა — „დედამიწა უძრავია“, ამკარად განსაზღვრებას წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სწორედ ასე განიხილბო სიტყვას „უძრავი“ და არა სხვაგვარად. ხოლო თუ ეიკონობრებთ, რომ ზემოხსენებულ ცნებებს აბსოლუტური მნიშვნელობა არ გააჩნიათ, რომ ისინი ორი სხეულის ურთიერთმდებარეობას აღნიშნავენ, მაშინ სულერთია, რომედ მივიჩნევთ მოძრავად — მზეს თუ დედამიწას, ასე რომ, მართალი ვიფიხრათ, არ არსებობს არავითარი მიზეზი სამყაროს სურათის შესაბამელოდა.

ამასთანავე, შეიძლება ვიკარაუდოთ, რომ ინკვიზიტორული სასამართლოს წევრებს კარგად ესმოდათ, რამხელა ძალა იდგა სიმარტივის ცნების უკან, ცნებისა, რასაც აქ ცნობრებთ უარცხობრებდა წარმოადგენდა გალიციე, და რაც ფილოსოფიის დონეზე არის-ტრტულდნად პლატონისიეც მიქცევასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მათ არ უნდოდათ ბელი შეეშალათ გალიციისთვის მისი კლავის გაგრძელებაში; არა, მათ მხოლოდ ის სურდათ, რომ ექვი და ენებათადევედა აეროდებინათ სამყაროს ტრადიციული ქრისტიანული სურათისათვის, ესოდენ დიდ როლს რომ თამაშობდა შუასაუკუნეობრივი საზოგადოების სტრუქტურაში. მეცნიერულ შედეგებს, მით უმეტეს, პირველადომიჩნენია მიღწევებს იმეათადა თუ აქეთ იმთავითვე დასრულებული ფორმა: გადამწყვეტი მსჯელობა ამ მიღწევებზე შესაძლებელი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აბსლუტული გაილის მათ შემოწმებას თუ დაზუსტებაში. ჰოდა, ფიქობდნენ ერთგულბით, ვითომ რა დამაბეჭებამი, რომ გალიციის მსჯელობის მისე შეეკავებინათ თავი მათი პუბლიკაციისაგან. მოკლედ, უნდა ვეღიაროთ, რომ ინკვიზიტორი სასამართლო პირველ პერიცხზე კომპრომისულ გადაწყვეტილებას ემდებ და

ასე თუ ისე წინაღობა განაჩენენ გამოცემის. მხოლოდ უფრო გვიან, რვა წლის შემდეგ, როცა გალელიმ დაარღვია ადგიანობა, მისი შრომების გამოქვეყნებას რომ უკრძალავდნენ, მეორე პროცესზე თავისი გაიტანა იმ ხალხმა, რომელსაც სარწმუნოებისთვის გადაწყვეტილებას ძალმომრეობა ერჩია, და გალელის წინააღმდეგ გამოტანილი იქნა საყოველთაოდ ცნობილი მკაცრი განაჩენი, რამაც შემდგომ ასე ავსო ეკლესიას...

ახლა კი აუცილებლად უნდა ითქვას შემდეგი: რელიგიისა და მეცნიერების დაპირისპირება მართლმოდენ უარსკვლავთმორციხელობისა და, მეორეს მხრივ, ქრისტიანიზმის მიერ ერთადერთ სწორ ასტრონომიულ კონცეფციად მიჩნეული გეოცენტრიზმის ანტაგონიზმად უნდა ნაწარმოებოდეს. აღორძინების ეპოქაში ქრისტიანულ მსოფლგანცხადებას უპირატესად გამოდიოდა მედიცინაც და ბიოლოგიის ზოგიერთი ისეთი დარგიც, როგორცაა, მაგალითად, ანატომია და ფიზიოლოგია. ეს დაპირისპირება მით უფრო მწვავე ხასიათს იძენს იმის გამო, რომ „აღორძინების ეპოქაში ხელახლა გამოდიოდა მეცნიერება ყველგან იწყება იმით, რაზედაც შეჩერდა ანტიკურობა“ [გრემანელი სწავლულის კარლ ფედერნის ეს სიტყვები ერთხელ უკვე მოვიხმეთ ზემოთ].

ცნობილი რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი კ. მ. ბიკოვი ასე ახასიათებს ამ ეპოქას: „სწავლულება აზრი მთლიანად დათრავებული იყო ბერძნული და რომაული მეცნიერების ძველ შემოქმედთა — არისტოტელესა და გალენოსის (გალენოსის) ავტორიტეტით. ყოველივე ის, რაც არ ეთანხმებოდა მათ მოძღვრებას, სიცრუედ და მწვალებლობად იყო მიჩნეული. ამრიგად, ანტიკურობის დიდ სწავლულთა ავტორიტეტი, ოდესღაც რომ გამოდიოდა მეცნიერება, მისი წინსვლის გზაზე ახლა უკვე მუხრუჭად იქცა. ბუნებისა და ადამიანის ორგანიზმის შესწავლა ძველი დროის სწავლულთა შრომების, როგორც ქვეშეუფალი ქვემარტების, დახუპარებით შემოიფარგლებოდა. უგულვებელყოფილი იყო ბუნების უშუალო შემეცნება ცდისა და დაკვირვების გზით. აზროვნების პირინოზის სივინროვეს განაპირობებდა მოვედნებზე დაკვირვების საშუალებათა არარსებობა. ალექსანდრიულ ეპოქაში შექმნილი ყველა წიგნი და სახელმძღვანელო, ავტობიოგრაფი, განადგურებული იქნა. შუა საუკუნეების რელიგიური ფანტაზმა ჩანასახმივე ამხობდა და გასაქანს არ აღძვედა ყოველგვარ სწრაფვას ბუნების შეცნობისაკენ. სწავლას ძირითადი უფრობიძენდნენ. მიანჩნა, რომ ქაქანარისი იყო ბუნების ხიზისმიერ მცდელობაზე აელოთ ხელი და ყველაფერს მოვედნებოდა. ცის, ადამიანის აგებულებისა და გარემომცველი ბუნების შესწავლას შეუძლებელს ხიდა და წიგნებისა და სახელმძღვანელოების უქონლობა. ძნელი წარმოსადგენი, რაროვად დათრავებული იყო ადამიანის ცნობიერება. არ ქაქანებდა არავითარი ორიგინალური აზრი. თუთიუფებებით იმორებდნენ მხოლოდ იმას, რაც ძველი დროის მეცნიერებს შეექმნათ. ამ ეპოქის უდიდესი ბროლები იყო შეუწყნარებლობა და რელიგიური ფანტაზიზმი“.

ეს სიტყვები 1948 წელსა დაწერილი და მათში თვალნათლივ ვლინდება საბჭოთა მეცნიერებისათვის წინმართი ტენდენცია — ობსკურანტიზმის ბურჯად დასა-

ზონ რელიგია და, აქედან გამომდინარე, ბნელეთის ძალთა წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი ნათელი საწყისის მისია დააკისრონ მეცნიერებს. რა თქმა უნდა, არცერთი სიტყვა წარმართული მეცნიერებისა და ქრისტიანული სარწმუნოების იმ უცნაური სიმბოზის თაობაზე, რამაც ესოდენ დრამატული როლი ითამაშა შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის ინტელექტუალური თუ სულიერი ცხოვრების ისტორიაში. „კათოლიკურმა სარწმუნოებამ საუკუნეების მანძილზე ისე ორგანიზულად შეითვისა და

შეისისხლონდა არისტოტელეს მოძღვრება“, — ეწერდი ბელჯ პასკალისადმი მიძღვნილ ვრცელ გამოცხადებაში მეთხბედი საუკუნის წინათ, — ისე ზემდინენით მიუსადაგა ის საღმრთო წერილი, რომ ქრისტიანიზმისა და პავანიზმის ეს კონკორდანსი მდემდე გამოეფტის ევროპული კულტურის, მეცნიერებისა და რელიგიის არათავ მკვლევარს. მაგრამ ის, რაც თავის დროზე მართლაც გონების უზენაესი მიღწევა იყო, ორი ათასი წლის შემდეგ, მეცნიერების მანამდე გაუფიქრანი და არანაული განვითარების შედეგად, თანდათანობით დრომოჭმულ ცოდნად, სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის გზაზე ადამიანის მცდელო და მძიბებელი აზრის საბედისწერო მუხრუჭად იქცა... მეცნიერების განვითარების ახლებურმა ტენდენციამ, უწინარეს ყოვლისა, ეკლავა-ძიების ახალი, თვისობრივად განსხვავებული მეთოდი მომარჯვება და მისი რაციონალური დაფუძნება მოითხოვა. პერიპატეტეოსების პირწმინდა ფორმალისმს, მკვდარი ტექსტების გათავებულ ჩხრეკას, სინამდვილისაგან გაწყვეტილი ლოგიკური კონსტრუქციებისა და სოფისტური სილოგიზმებით თვითმიზნურ თამაშს სულ უფრო მკვეთრად უპირისპირდება ექსცხალ ბუნებაზე უშუალო დაკვირვების, სინამდვილის ცესპირიმენტული კვლევისა და თეორიული დასკვნების ცდით, პრაქტიკით შემონმების ანალიტიკური მეთოდი“.

ახალი მეცნიერული მეთოდის ერთ-ერთი ყველაზე თავგამომდებელი მიმდევარი იყო ესპანელი სწავლული, მედიკოსი და ბიოლოგი, გეოგრაფი და ისტორიკოსი, იურისტი, ბიბლიოლოგი და თეოლოგი ნიველ სერვეტი (1509—1553), თავისი ფიციხი ხასიათით, ზოპოზირდა და დაუცხვარებელი ბუნებით, ინტერესთა უწყველო მრავალმხრობითა და, ბოლოს, თავისი ტრაგიკული ხვედრით ასერიგავდა რომ გვაგონებს ჯორჯანო ბრუნოს. დიდი იტალიელისა არ იყოს, სერვეტსაც თავის სამოქმედო და სამოღვანეო ასპარეზად მინადა თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა: 18 წლის ქაბუკი ტულუზაში (საფრანგეთი) ჩადის, იქაურ უნივერსიტეტში იურისპრუდენციის შესასწავლად, თუმცა თემიდის მომავალი მსახური ბიბლისა უფრო გულმოდგინედ ჩაპირსიტებს; საფრანგეთიდან გერმანიის მიმგზავრება, იმის იძებთ, იქნებ რეფორმაციის სახელგანთქმული ლიდერი მარტინ ლუთერი გაციცნო; უფრო გვიან გერმანიისკენ ქვეყნდება მისი თეოლოგიური და ფილოსოფიური შრომები, სადაც რადიკალური პანთეიზმის მქადაგებლად გვევლინება. მაგრამ მოულოდენლად თავს ანებებს თეოლოგიას და

* იგივე ითქმის სპიოკრატეს, გალენოსის, პტოლემეოსის, პლინეოსისა და ანტიკური მეცნიერების სხვა კორფედა დექტრინის მიმართ.



პარიზისკენ იღებს გეზს, სადაც კვლავ უზრუნველა მედიცინის შესწავლას სახელგანთქმული ფრანგი ექიმების — სილეოუსის (ჟაკ დობუა; 1478 — 1555) და ჟან ფერნელის (1497 — 1558) ხელმძღვანელობით. აქ ის თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მედიკოსის სახელს იხვეჭს. თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით ბრძამ როდი ენდობა ანტიკური მედიცინის კლასიკოსთა — ჰიპოკრატესა თუ გალენოსის (გალენუსის) ავტორიტეტს და ინკრინიური სამედიცინო პრაქტიკისა და შრავალირიცხოვანი (ცდემის) წყალობით რენესანსის ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენის ავტორი ხდება: ეს გახლავთ სისხლის მიმოქცევის მცირე წრე. სერვეტი ცხადყოფს სუნთქვის როლს ვენური სისხლის არტერიულ სისხლად გარდაქმნისა და გულის სარქველების მნიშველობას სისტოლისა და დიასტოლის თანმიმდევრული მონაცვლეობის პროცესში.

მაგრამ, როგორც ჩანს, მედიცინის სიყვარულმა სერვეტის გულში ვერ ჩაქალა მისი მცირე ენება — ღვთისმეტყველება. მოკლე ხანში ამოაგონებს თავის მთავარ თეოლოგიურ თხზულებას „ქრისტიანობის აღდგენა“ („Christianismi restitutio“), სადაც უდავო ნიჭით ერთად თავს იჩენს მისი მენტალიტეტისა და, იმავდროულად, ფანტასტიკური კონსტრუირებისა თუ ქიმიურიულობისაკენ მიდრეკილება. ზედმეტი თვითრწმენა და თეოლოგიური დომინანსა თუ კონცეფციების ზერწყვე ცოდნა, რაც სულ მალე მავნე და საშიში მწვალებლის სახელს უხვევს, ფინიდან ხელაღებით უარყოფს „წმიდა სამების“ დოგმატს, ქრისტეს მხოლოდ ადამიანურ ბუნებას მიაჩნის, სული წმიდას კი მარტოოდენ სიმთავრედ სახავს და, იმავდროულად, გადაჭრით მოითხოვს ქრისტიანული რელიგიის განმწმინდას როგორც კათოლიციზმის, ისე პროტესტანტიზმის მავნე

მინარევებისაგან. 1546 წელს არალეგალურად გამოცემულ თავის ნიგნს ეწვევაში სასურქრად უგზავნის რეფორმაციის ერთ-ერთ ლიდერს ჟან კალინს (1509 — 1564). უფრო ადრე კი საჯარო პატივობში იხვევს მას. პატივობა არ შეუდგა, მაგრამ სერვეტის თავგასულობით აღმოუთქმული კალიენი დაუძინებელ მტრად ექცა მისთვის მანამდე სრულიად უცნობ „თეოლოგს“. მას აქვთ შერისხულს და „პერსონა ნონ გრატა“-დ ქცეულს თანაბრად სხედვინან კათოლიკეებიც და პროტესტანტებიც. ბოლოს, კალიენის კატეგორიული მოთხოვნით, ინკვიზიციის აგენტები აპატიმრებენ და დღევამდე უკარგვენ თავს, თუმცა გაქცევის ახერხებს და მალულად გადადის შვეიცარიაში. მაგრამ იქ ერთპიროვნულად მბრძანებლობს მისი მოსახლე მტერი, ვისი ბრძანებითაც ხელახლა აპატიმრებენ და სასტიკი წამების შემდეგ 1553 წელს კოკონზე წავევენ. სერვეტთან ერთად იგვერდლება მისი მწვალებლური თხზულებაც — „ქრისტიანობის აღდგენა“. ჩვენამდე მოაღწივს ამ ნაშრომი ნიგნის საში, სამად-სამი ეგზემპლარი, და სწორედ ეს იხსნის მისი ავტორის დიდი მეცნიერული აღმოჩენისა — „სისხლის მიმოქცევის მცირე წრის“ სხოვნას; აღმოჩენისა, დღემდე უცნობი და აუხსნელი მიზეზის გამო სერვეტის სრულიად მოულოდნელად რომ ჩაურთავს თავის თეოლოგიურ თხზულებაში. 1903 წელს სერვეტის ტრავიკული აღსასრულიდან 350 წლის თავზე კალიენის-მურე ექლესია ეწვევაში ძველს ალუმარაში წამებულს. სინანულის ნიშნად? შესაძლოა. მაგრამ ის მხოლოდ სინანულის სიმბოლოდ როდი ჩანს პროუთენული შთამომავლობის თვალში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჩვენი საღისეოსიო ღარბაზი

გიორგი გოგოლაშვილი

მე მისეილ ჯავახიშვილისა მჯერა...

ქეთევან ჯავახიშვილი ნიგნში „მოგონებები მამაზე“ აღნიშნავდა, რომ მიხილვ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნების“ გაგრძელებას აპირებდა. ეს განზრახვა მწერალს შალვა დადიანისთვისაც გაუშვებია. შ. დადიანს „ჯაყოს ხიზნების“ პიესად გადაკეთება ჰქონია გადაწყვეტილი და ავტორისათვის შეუთავაზებია, „პიესის ფინალი რამდენადმე საინტერესო გაუხადოთ“.

ქეთევან ჯავახიშვილი: „მიხილის საბასუხო წერილიდან ირკვევა, რომ მწერალი თვითონაც ფიქრობდა რომანის საფუძვლიანად გადაამუშავებას და გაგრძელებას“.

შალვა დადიანისადმი გაგზავნილი ბარათიდან: „ესლა ჯაყოსზე: რომანი არც სრულია და არც დასრულებული. აკლია რამდენიმე მომქმედი (თემიურაზის ანტიპოდი და სხვა). მეორე ვარიანტი თაქმი თავიდანვე მქონდა დაწერილი, მაგრამ ზომ იცით, ავჯიტო-სექტემბერი ვწერდი — 1924. ისე არ მოვეკვდები, სრული „ჯაყო“ არ დაწერო...“

დასასრული სულ სხვანაირი იქნება... აბა, მაშინ გეცნებათ თქვენ სადრამო მასალა. მანამდე კი უნდა მოითმინოთ“.

ამ უაღრესად საინტერესო ინფორმაციას ქ. ჯავახიშვილმა რამდენიმე ჩანაწერიც დაურთო მწერლის უბის ნიგნაკებთან, მაგრამ ჩვენთვის ეს მხოლოდ საფუძველი იყო ინტერესისა და უფრო კონკრეტული საუბარი ამ თემაზე შეუძლებელი გახლდათ... რას გულისხმობდა დაუსრულებლობაში, ანდა როგორ ესახებოდა სოფეტის შემდგომი განვითარება, არც ამის თქმა შეიძლება იმეამად, ცხადია... არადა „ჯაყოს ხიზნები“ დასრულებული რომანის შთაბეჭდილებას აშკარად ტოვებდა. უთქვამს კიდევ ოთარ ჩხიძემს, კომპოზიციური სრულყოფილებით ეს რომანი ანტიკური ტრავადიდების დარიაო...

ამიტომაც მკვლევარმა ლელა ნიქარაშვილმა დაასკვნა, მიხილვ ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნების“ დაუსრულებლობის ლეგენდა შექმნაო...



2005 წელს გამოქვეყნდა მ. ჯავახიშვილის „უბის ნიგეციანა. 1924 — 1935“. ამ ნიგნის გაცნობამ დამარწმუნა, რომ ავტორის აზრი „ჯაყოს ხიზნების“ დუსრულელობაზე არ იყო ლეგენდა.

ამ თემაზე კამათი არ მიიფიქრია. უბრალოდ, თავი მოუყვარე თითქმის ოთხას გვერდიანი ნიგნი გავნეულ ჩანანერებს „ჯაყოს ხიზნების“ შესახებ. მსურდა, მკითხველისათვის შემეძინა შთაბეჭდილება, რომ მ. ჯავახიშვილი 1925-1935 წლებში მუდმივად ფიქრობდა რომანის სრულყოფაზე, გაგრძელებაზე...

მაგალითისათვის, აი, ეს ჩანანერი 1925 წლით თარიღდება: „ჯაყომ მარცო გამაბავლო, რადგან უარი უთხრა, რუსეთში არ გაგვევბო. მხოლოდ ამის შემდეგ დაუახლოვდა მარგოს ნინია. შეშინალა და სიბრალული სიყვარულად გადაიქცა“.

ეს კი 1935 წელს ჩაუნერია: „მარგოს ნინია შეუყვარდა. მუდამ ინვა მარგოსა და ჯაყოს შორის. მარგოც მას აძლევდა თავის ტანს. დღისით არ შეეძლო ან თვალებს ხუჭავდა. სამი ჰყავდა: ჯაყო, ნინია, თიშურაზი. ნინია ჯაყოს გავრდილი იყო. სოფელშიც გავკეთილებს აძლევს. ურემშიც ნინიას ნიგნ უჭირავს. მარგოს სურს გავკეთილები სახლში აძლოს თიშურაზმა, მაგრამ ნინია ჯაყოს ერიდობს. ნინია ბოლოს აღმასკომად აურჩევიათ“.

ამ ორ ჩანანერს შორის რამდენიმე ათეული ჩანანერია ბლოკნეტებში ჯაყოს თემაზე. ბოლო თარიღი 1935 წელია (თითვე ჩანანერია ამ წელს გავკეთებული. სამწუხაროდ, 1936-1937 წლების ჩანანერები არ ჩანს). ამიტომ მგონია, მე კი არ „შემეძინა შთაბეჭდილება“, რომ მწერალი მუდმივად ფიქრობდა „ჯაყოს ხიზნების“ „სისრულესა და დასრულებაზე“, არამედ ჭეშმარიტად ასე იყო... სწორედ ამიტომ, ამ ნიგნის გაცნობის შემდეგ ის აზრი გამიჩნდა, რომ მწერლის სურვილი „სრული და დასრულებული“ „ჯაყოს ხიზნების“ შექმნისა არ იყო ლეგენდა. იმის სურვილიც გამიჩნდა, ერთად მომეყარა თავი ამ ჩანანერებისათვის, რომ დაგვეჩანახა, როგორ იცვლებოდა მწერლის ფიქრი, რა ვარიაციები იქმნებოდა რომანის გაგრძელებისას... ამბობს კიდევ ერთგან, „ჩემს თაგში საბოლოოდ ასეთი დასასრული ჩამოისახა...“, თუმცა მერე ესეც იცვლება... ჩემი წერილი ამ თემაზე „ჩვენი მწერლობაში“ დაბეჭდა (18, 2008).

ჩანს ბატონი როსტომ ჩხეიძისათვის სარწმუნოა „დაუმთავრებლობის ლეგენდა“ და საპასუხო წერილში ამის მტკიცება სცადა („ორმაგი ფინალის დრამატიზმი“, „ჩვენი მწერლობა“, 25, 2008).

რ. ჩხეიძე უპირველესად იმას შეგვახსენებს, რომ „ჯაყოს ხიზნებს“ თით ჩხეიძე „ანტიკურ ტრადიციას შეადარებდა კომპოზიციური სრულყოფილებით“. ამიტომაც ლოგიკური შეიძლება მოეჩვენოს კაცს საკითხის ასე დასამე: „ჯაყოს ხიზნების“ გაგრძელების, დასრულების შემთხვევაში —

- „კომპოზიციური სრულყოფილება შემოგვერღვევა“...
- „რომანის კომპოზიციურ სიმტკიცეს მოშლიდა“...
- „კომპოზიციური სრულყოფილება რომ დაირღვევა?“



„კომპოზიციური მთლიანობა“ რა ემეტილება... გაგრძელების, დასრულების შემთხვევაში —

გამოუვიდოდა „ორმაგი ფინალი: ნამდვილიც და ყალბიც“... „ხელოვნური ფინალი“ გამოუვიდოდა, „ხელოვნური ჩანამატკი“...

მაბატოს ოპონენტმა, მაგრამ ხელოვნურ ფინალზე, დარღვეულ კომპოზიციურ მთლიანობაზე ისე ესაუბრობთ, თითქოს ვინმე ახალბედა შემოქმედზე ვლაპარაკობდეთ და არა ქართული ლიტერატურის კლასიკოსზე... რა არის სოუფეტი, რა არის კომპოზიცია, როგორ უნდა იყოს დასაწყისი და როგორი — ფინალი, ქართულ მწერლობაში თუ ვინმეს ანუ ესნავლებს, ჩემი გათანაბრებოდა? — ეს ის კითხვაა, რომელზეც პასუხი ძნელი (უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, უხერხული) გასაცემია... შეიძლება ვინმე ასე უპასუხოს, მ. ჯავახიშვილი ვერ გრძობდა? მეუჭეება...

ოპონენტის მთავარი არგუმენტი სწორედ კომპოზიციური სრულყოფილებაა, სოუფეტის მთლიანობა, ფინალის ლოგიკრობა... ეს ყოველივე რომ მ. ჯავახიშვილს არ ესნავლებოდა, ამას მისივე ჩანანერები გვიანტყურებს. თუნდაც ეს: „განუკეთილი მთლიანობა — აი კიდევ ერთი მთავარი პრინციპი. ყველა ბილიკები მთავარ გზაზე უნდა იყრიდნენ თავს. თუ რომანში ამ მოთხრობაში ანერილია წევრი, ყვავის ჩხავილი, ქალის სევადა ამ დახეული თემა — ყოველივე სურათი და სიტყვა უშთაბრისსავნებ უნდა მიდოიღეს და ცხადად თუ წუთით დედაბაბოს უნდა უშიზნებდეს. ამ პრინციპს თავის თავად მოხდევს მთელი — დანურ-ვაწყლისგან, განტკირთვა ზედმეტისაგან. თუ მწერალი დაწვრილებით აღწერს უსტკიცებს, რომელიც არაფერი გადავარდა, იგი მუნუკია, ხორცმტკია. იგი უნდა ამოიქრას. მთლიანობა უშენდელსი რამაც ხელოვნებაში“... მე ვფიქრობ, მ. ჯავახიშვილი თავის ყველა ნაწარმოებში ამ მთლიანობას აღწევდა...

ამ თემაზე საუბრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ მ. ჯავახიშვილის წერილები „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების თაობაზე (იხ; მ. ჯავახიშვილი, წერილები, 2001 წ., გვ. 810-814, 816-829, 830-832). მწერლის პირად არქივში შემონახული ერთ-ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის საიუბილეო დღეებისათვის მიხილი ამხადებდა წერილს „შოთა რუსთაველი — სოუფეტის ოსტატი“ (ქ. ჯავახიშვილი). მხოლოდ ერთი მცირე ამონარიდი, სადაც მ. ჯავახიშვილი რუსთაველსავე ურჩევს, „ნამდვილი დაბოლოების მქებნელმა თავდაპირველად პოემის მკვიდრი ფაბლა, სოუფეტის ვახსინს ხერხები, კომპოზიციის მთლიანობა და პროპორციის აღნაგობა უნდა აღადგინოს“... როცა ამ წერილებს ვკითხულობ, ვფიქრობ, რომ მ. ჯავახიშვილმა იცის,



უფრო მეტიც, მას აქვს უფლება, სხვას ასწავლოს, რა არის სიეთვეტი, კომპოზიცია...

მეტივეტი, „ჯაყოს ხიზნების“ გავრძელების შემთხვევაში კომპოზიციის სრულყოფილება დაერღვია, მთლიანობა მოეშალა... დაუნერღვ ვერაინატიუ ასე შეჯავრობა არა მგონია საგლისხმოდ ფაქტი... მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებთა გახსენება არ მძალევეს იმის უფლებას, რომ ვიფიქრო, თუ მწერალი გაავრძილებდა რომანს, ნახებდნენ მას (დაარღვევდა კომპოზიციურ სრულყოფილებას; მიაბამდა ყალბ, ხელმოწერა ფინალს)... იქნებ იმაზე ვეფიქრო, რომ ნერს, „არც სრულია და არც დასრულებული“ რას გულისხმობდა ამბი... მე მაინც იმის მომხრე ვარ, ეჭვის თვალთი კი არ შევხედოთ ამგვარ განცხადებას და ჩანაწერებს, არამედ ინტერესის თვალთი... ეთქვით და, დაუსრულებლობაზე მიიწინააღმდეგებდა... მიზანი? რისთვის იქმნებოდა ეს ლექსები? ეს კითხვა როსტომ ჩხეიძემ დასვა და პასუხიც გარკვევით გასცა:

„უცხადია, თავის დასაზღვევად და ხელისუფლებასგან მისაღწეოდ გულისწყრომის შესამზებულებლად. იმათ მიანიშნებდა, „ჯაყოს ხიზნების“ მხატვრული კონცეფცია სწორედ ფინალურ ნაწილში გამოიხატება, ამიტომ მანამდე ამბებს მაინდაპირდა მკაცრად ნუ განსჯავ, რაკილა ეწინააღმდეგება ჩანაწერებს, არამედ ინტერესის თვალთი...“

შესქარის მაგალითიც მოიშველია ოპონენტმა: „გულბურჯილი მკითხველი და მკვლევარებიც მოტყუებდნენ ამ ფანდით – რაც მხოლოდ და მხოლოდ ცენზორისთვის გამიხსნულიყო...“

ამიტომაც, „მონდომებით იმეორებდა „ჯაყოს ხიზნების“ დაუმთავრებლობის ლექსებას, იქნებ მაცალონ და დასაბამო, ვინ იცის, რა მოხდეს, აღარ დამჭირდეს მიკერებული ფინალი...“

უდავოდ საინტერესო ვერსიაა, რომ არა უამრავი კითხვის ნიშანი...

მიზევი ჯავახიშვილის არცერთ ნაწარმოებს ისეთი გამომხატველობა არ მოჰყოლია, როგორც „ჯაყოს ხიზნების“. მრავალი წერილი დაიწერა, უფრო მეტი – ავი... მოეწყო საჯარო განხილვები, ლიტერატურული ვასამართლება... ინტერვიუებს იღებენ აქტიონისაგან და ეს გრძელდება წლების განმავლობაში. არსად მ. ჯავახიშვილის ოფიციალურად, საჯაროდ არ უთქვამს, არ დაფიქრია, რომ იგი ამიერბაშა ამ რომანის გავრძელებას. პირქვე, ყველაგან იცავს რომანის გამოქვეყნებულ ვერსიას, იცავს თავის პოზიციას და ამყოფებს კიდევ ამ რომანით.

რამდენიმე მაგალითი: 1928 წელი. მ. ჯავახიშვილი ესაუბრება დ. კასრაძეს: „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ მივყავი „ჯაყოს ხიზნები“, ეს ქურთა-თამარაშენი ყოფნის სახსოვარი. მარტალია, რომანმა აუარებელი მკითხველი გამიჩინა, მაგრამ აუარება დამანყვარცი კრიტიკაში ბევრი მაქვება გულახდილობისათვის, ბევრი მძაბვება. ზოგიერთებმა ისიც კი მითხრეს, თუ გინდა, რომ ძველბურჯად მივიღოთ და გულბურჯად მიგვეტყურო, შენი შემოქმედებებიან ჯაყო ამომბოლო. ვერც ერთი, რუსების თქმისა არ იყოს: „კალმით დაწერილს ნავახით ვერ ამოშლი“, და მეორეც, საკითხი მართლაც ასე რომ იყოს დაყენებული, მაშინ მე ყველაფერს დავთმობ, მაგრამ „ჯაყოს“ და „თეთრ საყვლის“ ვერავინ გამამტყულებინებს...“

1933 წელს „მნათობში“ გამოქვეყნებული წერილიდან: „უცნაურია, ყველაზე მეტი დაჯ. „ჯაყოს ხიზნების“ გამოწვევა, მაგრამ ყველაზე მეტი სიხარულიც ამ რომანის დასრულებამ მაგრძნობინა. იმ დღეს ნამდვილად ზალად გადავიტყვი, რომელსაც გულსაძლიის ბედნიერება დაატყვევდა. ვეღარც მე ვცნობ ჩემს თავს და ვეღარც ჩემი ცალმეული მცნობა...“

1925 წელს („ჯაყოს ხიზნები“ 1924 წელს დაიწერა) რუსთაველის სახელობის თეატრში დისკუსია გაიწერა „ჯაყოს ხიზნების“ თაობაზე. მწერლის მოხსენების სტენოგრაფია არ არსებობს. შემოგვევანა ამ მოხსენების საკმაოდ ვრცელი თეზისები (გამოაქვეყნა ქ. ჯავახიშვილმა)... ავტორი იცავს თავის ნაწარმოებს... არაფერია თქმული რომანის გავრძელების განხილვაზე... სხვათაშორის, ნიკა ავიაშვილის გადმოცემით, მწერალს ამ განხილვაზე უთქვამს: „ჯაყოს ხიზნები“ საბჭოთა სინამდვილეც დამანერვიოა...“

მაშასადამე, საჯარო გამოსვლებაში, ოფიციალურ პრესაში მ. ჯავახიშვილი არსად საუბრობს იმის თაობაზე, რომ „ჯაყოს ხიზნები“ „არც სრულია და არც დასრულებული“...

თუ მწერალი „დაუსრულებლობის ლექსებას“ თავის დასაზღვევად, ხელისუფლებასგან გულისწყრომის შესამზებულებლად, ცენზორების თვალის ასახვევად ქვინდა, რატომ არაფერს ამბობდა მათ გასაგონად? რატომ არ წერდა მათ ნასაკითხად? ცენზორი თუ ხელისუფალი მ. ლავინის პირად წერლის ნაიკითხავად, თუ მწერლის უბი წინგაკეტი ჩაიხვევდა?

მაინც რა არის ეს „უბის წინგაკეტი“? უბის წინგაკის ჩანაწერი შეიძლება თუ არა ყოფილიყო ის, რაც მწერალს „მუშაუბრებლად ხელისუფლებათაგან მოსაღწეოდ გულისწყრომას“? ოპონენტი წერს: „თუკი მკაცრად მოპკითხავდნენ პასუხს, განა ის რამდენიმე ფრაგმენტიც უთქვამდა ხელნაწილად, ავერ, გავრძელებას უთუოდ გაიჩერებო...“ ეს მამინ, როდესაც ძალიან ნაუჭერდნენ ყელში და იძულებული შეიქმნებოდა, ფინალური მონაკვეთი დაწერაო... ამიტომაც ტრიალებს მის „უბის წინგაკეტი“ ამდენი ფიქრით ამ რომანის დასასრულზე...“

არად 1924 წლის შემდეგ, 1937 წლამდე არაერთხელ „ნაუჭირეს ყელში“... არსად და არავისთვის უთქვამს, გავრძელებას დაწერო... ამას მხოლოდ „უბის წინგაკეტი“ ჩაინიშნავდა... უბის წინგაკეტი ვისთვის იყო განიზნული? ცენზორისთვის? ხელისუფლებათვის? – არა მგონია... მწერალი ამ ჩანაწერებს თავისთვის აკეთებდა, მხოლოდ და მხოლოდ თავისთვის...

მაინც რა იყო ეს „უბის წინგაკეტი“? ქ. ჯავახიშვილი იგონებს: „ნებადა მქონდა შემოვლბული, ყოველდღიურად წინგაკეტი ჩაინიშნა საქორ სიტყვა, სახე, გამოთქმა. სხვადასხვა წერილმანი ამბები, ყურმოკრული და საკუთარი თვალთი ნაწიანი... სადაც უნდა ყოფილიყო, ამ ჩვეულებას არ ღალატობდა. საიარული დროს ერთი წამით შეჩერდებოდა, პიჯაკის შიდა ჯიბიდან წინგაკეს ამოიღებდა, ფანტაზიაც მოიმაჯვებდა, რაც საქორ იყო, ჩაინიშნავდა და ისევ გას გაუდგებოდა...“ თვად მწერალს, როგორც ჩანს, აღიზიანება კიდევ სხვათა დამოკიდებულება ამ ბლოკონტენტისადმი. იმავე ბლოკონტენტი ჩაუწერია: „დღემი აიოდე აზრს, ნახულს და



გაგონილს ვინერ უზის წინგანკმი. ეს ამბავი ჩვენს მწერ-
ლებს სასჯელიოდ არ ჰყოფინოსთ. ანუ იცინიან ზულუსეკიმი
და ბუშმეხევიც, როცა ცვირობელი კბილებს იხეზავს..."

დაიბ, ეს იყო ჩვეულბერივი უზის წინგანკები,
თავისთვის რომ იგულედა, მხოლოდ თავად რომ
ნაიკითხავდა; ზოგჯერ გულის მოსაიხებელ რამესაც რომ
ჩაინიშნავდა, სხვას რომ ვერც ვაუმხელავდა, ისეთს...
მეტიც, საგულდაგულოდ რომ უნდა დეგამალა სხვისთვის...
ეს ჩანანერები რომ ცენზორს ან ხელისუფალს „ყელში
ნაჭერისას“ ჩავარდნოდა ხელში, ვერ უშველიდა იმის
თქმა, „ჯაყოს ხიზნების“ გაგრძელებას ვაპირებო...

მოდით, ჩავიკითხოთ ზოგიერთი მთავანი:

— 25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა
ტანში მჭვრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დლითი-დღე
უფრო ღრმად მერჭობა. გააფთრებული ვარ და ტანში
რუდმივი ვერჯოლა მივლს. ახლა სატერვისს ნერი უნდ
გულზე მაქვს დაბრუნებული და ვერაზობ, ოდნავ რომ
შევიძრე, ჩველსობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის
ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ.

— 25-11-ს უქმე პატივხაზილ დედაკაცის უქმეა,
რომელიც 25-11-ს იხმარეს ძალით.

— ბაზალეთის ტბის ძირიდან განგებამ ოქროს აკვანი
ამოლო. იმავე განგებამ სამი წლის შემდეგ წითელ ხმიტით
უკანვე ჩავადო.

— ერთი ამბობს: „მოვიღებ ოქტომბერს, თუ
თებერვლით გამოაკელით“.

— მე ვინიშობ საქართველოს მომავლის შიშით და
მეშინიან ჩემივე შიშის.

— მე მიყვარს საქართველოს წარსული, მე მძულს მისი
დღევანდელიობა, მე მწამს მისი მომავალი.

— მთელი საქართველო, როგორც ერთი კაცო, ხრი-
ალებს, ახვილებს, ცახცახებს.

— აღარ იცინის ქართველი ხალხი, აღარ!

— საქართველო გაივსო ქვრივებით, ობლებით,
ცრემლთ და ვალაით.

არც ასეთი ჩანანერებია საქებარი:

— ინილიების მიზანია, ყველანი ერთმანეთის შეაქულონ
და თავისთავიც შეაქულდნონ (ანტიკორისტეს ოცნებაც
ეს იყო)... „თქმა არ უნდა, ლენინი ანტიკორისტეა და სტალი-
ნი მისი ომარი“... — ამბობს ერთი.

— იყო და არა იყო რა, ლენინზე უკეთესი ვილა იქნებო-
და! — ასე იწყება თანამედროვე ზღაპარი.

— ასე მოკლა ფილიპემ ჯერ ილია და მერე ნოე...
ღმერთი არ მოსჩანს და არ ეკითხება მახარაძეებს: კაენ,
სად არს მშა შენი?

— არსნაწი გაძლიერდეს რუსების შეტევო.

— რა უფრო შეადუღებს ქალ-ვებს, მათი სახე და
სხეული (ერთი ღამე ლოკინში) თუ მარქსის-ლენინის
ყველა წინგები?

— 1925 დეკ. ყრილობაზე მარიამ ორახ-მა განაცხადა:
სხვა ენები მოქსობით და რუსულის სწავლა გავაძლიეროთ,
რათა ჩვენებს შეეძლოთ რუსეთში სამსახური. მეფის
მოხელეებს ამაზე მეტი არაფერი უთქვამთ.

— მაერაზმული რუსი მიარჩენიან გარუსებულ წითელ
ქართველს, — ამბობს ერთი.

— რუსული შოვინიზმი მთელ კავშირში რჩება მთავარ
ხიჯათად.

— საოცარია, კომ-ები ღმერთს პილიწვენენ, ანგრევენ,
ღმერთი კი მაინც მათ მხარეზეა: მყარად სხედან,
ცხვირობენ და ისევე ღმერთს აფურთხებენ (საოცარია).

— ერთი მუშა ამბობს: „ვეცივები დედ-მამას, ცოლ-
შეღს, პატრონებსა; ვინმე ურომ გამოვიყვანეს დიდ
მოუდანზე, გამბოდეს და ას ჯრის დამტრავდეს —
ნიკოლოზ მეფეს რად ვემძობოდო, დავუფვირებ: დამკა!
დამკა! კიდევ დამკარ! ახია ჩემზე, ახი!“

— ამვეყენად ისლა დაგერჩა სასუგემო, რომ „ისინიც“
ჩააღმებინან.

და მისთანანი...

ამ და მსგავს თემებზე ჩანანერების სიმრავლეს
ჩემთვის აქაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

ამ ჩანანერების ავტორს დაიხსინდა ცენზორისა თუ
ყველანიამჭერთა რისხვისაგან, „დაიფარავდა გილოტინ-
ისადგ“ იმის ჩანერა, რომ „ჯაყოს ხიზნები“ არ არის დასა-
რულგებლობის“ და უნდა დავამთავრო? — არა მგონია!

ასე რომ, არც აღვეყენდა „ჯაყოს ხიზნების“ დაუს-
რულგებლობის“ და არც სხვა ჩანანერი ამ ბლოკნოტში
სხვისთვის არ იწერებოდა... სხვისთვის ის იყო გამიზნული,
რაც საჯაროდ ითქმებოდა, ანდა გამოქვეყნდებოდა...

ამ მსჯელობის იმის თქმა მსურს, რომ თუ ლევენდაა
რომანის დაუსრულებლობის ამბავი, ვერ ცხედავ ამ ლეგ-
ენის შექმნის მიზანს...

ბატორი რუსტომი იმასაც ამბობს, თუ მართლა
გაავრძელებდა რომანს მწერალი, მაინც არ მივიღებდო
ახალ ვარიანტს: „ულმობელი აღსასული რომ არ მოსწეო-
და მიხეილ ჯავახიშვილსა და ხელოვნური ფინალი
დაერთო რომანისათვის, „ჯაყოს ხიზნებზე“ მსჯელობისას
მას მაინც ნაკლებ მნიშვნელობას მივანიჭებდი და მის
კომპოზიციურ აღნაგობას თავისი ერთბაშობითა და
მთამბეჭდაობით კვლავაც ანტიკურ ტრადიციებს
შეუფარებდით და ტყუილურად აღადგენ ნუარავინ ნაშოგვე-
დაცვლად, სრულყოფილება ამკარად ირღვევა, თორემ
მწერალს სიუჟეტური კერვის განმეორებას რა რჯიდა
რომანის ფინალი შეინაჯებო?“...

მოუხედავად ამგვარი კატეგორიული განცხადებისა,
მაინც ვაგებენ „ნაშობავება“ და საკმაოდ მრავალი
სიუჟეტოც დაგვიკ... ამის უფლებას მ. ჯავახიშვილის მწერ-
ლური ნიჭი, გამოცდილება და ოსტატობა მადლეს... და,
რა თქმა უნდა, მასალა... არ ვამტკიცებ, რომ ჭეშმარიტება
ისაა, რასაც მე ვამბობ. უბრალოდ ვდასტურებ, რომ მე
მიხილე ჯავახიშვილისა მჯერა... თუ დასწრე კითხვებზე
პასუხს მივიღებ და დამარწმუნებენ, რომ ვცდები, მაღ-
ლობას ვეჭყვი ოპონენტს...

და კიდევ, რუსტომ ჩხვიძე ბრძანებს: „ჯაყოს ხიზნები“
დამთავრებულაია, თუ მოდერნისტული რომანებით
დაუსრულებული, ამის თაობაზე შეთანხმებული უნდა
ვიყოთ... დაიბ, ასეა. დღეს ეს რომანი დასრულებულია...
არავინ დავობს, რომ ასე არ არის... სხვა საქმეა, თუ
ავტორი გაავრძელებდა, რა სახეს მიიღებდა ნაწარმოები...
ამაზე საუბარი უცნაურიც მგონია. როგორც მე არ
შეიმძლია ახლა ვთქვა, რომ ეს იქნებოდა გენიალური
ვარიანტი, გაწარვევება მწერლისა (ისე ეს უფრო მოსა-
ლოდნელი იყო); ისე ჩემს ოპონენტს არ შეუძლებდა ამტიკ-
ცოს, რომ ეს იქნებოდა ვაცრეუბელი იმედები, მარცხი
ავტორისა...

შოთა გაგარინი

საკოლო შთაბეჭდილება

ნავიკითხე „მეორე შთაბეჭდილება“.

ამ წერილის ავტორი ასე არჩევს ლექსის მხატვრულ ღირებულებებს: „ლექსი რომ ვარგოდავს, ყველაფერზე თვალს დახუჭავდა კაცი (იმაზეც კი, რომ ხსენებულ სტრიქონებს 23 წლის გოგონა წერს), მაგრამ ეს ხომ ლექსიც არ არის?! ეს არის ვითომ ორიგინალური და გაბეჭდილი ფრაზების ნეგაბ, რომელსაც ქუემმარიტ პოეზიასთან არაფერი აკავშირებს. ის კია: როცა კითხულობ პრეტექსტის გრძნობასთან ერთად იმის სურვილიც ვიპოვებ, რომ ბოლოს მაინც, მოულოდნელი რამ ითქვას, რაღაც განათედს, მაგრამ მოლოდინი არ მართლდება და თავში და ბოლოში ნათქვამი „ამინ“ ერთნაირად უდავლოა, რომ არა ვთქვათ, მკრეხელური“.

აღმეფოთი, ბატონი იოსებ ქუემმარიტე პარიტიკებს ლექსს, უნდადებს მას ფსევდოპოეზიას ისე, რომ წერილში საერთოდ არ ფიგურირებს ლექსის ანალიზი, რეცენზიაზე რომ არაფერი ვთქვათ. უბრალოდ ამბობს, რომ ამ „ფრაზებ-ტის ნეგაბს“ ქუემმარიტ პოეზიასთან არაფერი საერთო არ აქვს. ბატონი იოსებ, იქნებ გთუქვით კიდევ რა არის „ქუემმარიტი პოეზია“? ან რატომ არ აქვს არაფერი საერთო ამ ფსევდოლექსს — პოეზიასთან? იქნება და — გუთამხმებით? იგივე ნარმატივით მე ვიტყვი, რომ ეს ლექსი გენიალურია და ქეთი თუმბურთე ცოცხალი კლასიკოსია, რომელიც ცოცხალზე უნდა დაგმარხოთ დიდუბის პანთონში, ან რატომ უნდა დაგმარხოთ? პირდაპირ აფრინდება, რადგან იგი ყველა „ქუემმარიტი პოეტიკით“ ილღობის ქვეშ — ფრთხილ მალავს. აი ასე, თქვენსავე თარგმანებში ვიტყვი, თუ თქვენთან ასეთი მიღებული ლექსების გარჩევა. მაგრამ ორივემ ვიცით, რომ მართალი არ ვიქნები. ჯერ ერთი, მიიტომ, რომ „ქუემმარიტი პოეტიკ“ არარსებული ცნებაა და მეორე — ლექსებზე კომპეტენტური საუბარი თუ გვიყნად, იგი უნდა გაუარსოვოთ დეტალურად. თქვენი მხრიდან კი ერთადერთი ფრაზა რაც იმ „ფრაზების ნეგაბს“ პირდაპირ თუ ორიბად ეხება იყო: „ნათქვამი ამინ“ ერთნაირად უდავლოა, რომ არა ვთქვათ, მკრეხელური“. მინდა შევახსენო ბატონ იოსებს, რომ სწორედ ამ მიზეზით („მკრეხელური“) იღვენებოდა „ფეხვისტაკოსანი“ საუკუნეების განმავლობაში. გადახედეთ ტიპითუ გაბაშვილის, ანტონ კათალიციას, და ა.შ. ნააზრებებს“ (ახლა გიცი, რომ ვიღაცა სიტყვებზე გამომეკიდება, სად ქეთი და სად შოთაო. მინდა დაგამეფილო. ეს სიტუაციური ანალიზიცაა და არა პიროვნული).

სინამდვილეში, ბატონი იოსებ ლექსს კი არა, სოგადად ტენდენციას აკრიტიკებს, ამიტომ მეც ტენდენციას დაგიცავ, რათა დისონანსში არ მოხდეს თემატანა.

ქუემმარიტე გამიკვირდა, როდესაც ლიტერატურულ პერიოდიკამ ნავიკითხე „რეცენზიანტის“ პირით თქმული „პურისტი ვარ“. ჩემი მოკრძალებული აზრით, ეს „ალარება“ გაცილებით უფრო სკანდალურია, პოეზიასთან მიმართებაში

თქმული, ვიდრე ქეთი თუმბურთის ლექსი (თუნდაც ქეთი თუმბურთის კი არა, სულ ფორც ბატისი რომ ყოფილიყო). და თქვენ ნარმოადგინეთ ჩემი გაკვირება, როდესაც ჩემმა უნებურად აღმოვაჩინე, რომ „ქაცვისა დღეობებს“ ავტორიც (ბატონი გივი აღბაზიშვილი), ბატონი იოსების თქმით, თურმე პურისტი ყოფილა. აი ამ „პრაზების“ ამოკითხვის შემდეგ კი უკვე ყველანაირი საფუძველი მქონდა ეჭვი შემეტანა „მეორე შთაბეჭდილების“ ავტორის განცხადებების ადეკვატურობაში. მე არ ვიცნობ ბატონ იოსებს და აქედან გამომდინარე ვერ ვიმსჯელებ მის კომპეტენციაზე, მაგრამ ზემოთხსენებული სკანდალური ფრაზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეზე გვაქვს ორი სავარაუდო ვარიანტი:

ან ბატონმა იოსებმა არ იცის „პურისტის“ დეფინიცია. ან უარესი, ბატონმა იოსებმა იცის რას ნიშნავს პურისტი, მაგრამ მაინც პურისტიკა ლიტერატურულ კონტექსტში.

მოდით ერთად განვსაზღვროთ პურიზმი და შემოსწორეთ თუ რაზე მემულება: პურისტი არის პიროვნება, რომელიც მოხმრეა, რომ გარკვეულმა ცნებამ შეინარჩუნოს პირენადელი სახე, ჩანასახშივე მოკლას დინამიკის და დიალექტიკის ყველა შესაძლებლობა და თავი აარილოს ყველანაირ გაყვლენას, არ აქვს მნიშვნელობა როგორი იქნება ეს გაყვლენა, დადებითი თუ უარყოფითი. გამამდიდრებს თუ გააღარბებს ცნებას.

ხელოვნებით დაინტერესებული თითოეული ადამიანი ხედება რა ახსურდულიცაა ეს (სირაქლემის) პოზიცია ლიტერატურასთან და საერთოდ, ხელოვნების ნებისმიერ სფეროსთან მიმართებაში. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც გამოვიჩინე იდეათა ინფლაციით დაღდაპული მსოფც საუკუნე.

ყველამ ვიცით, რომ მსოფც საუკუნის ხელოვნებისა თუ ფილოსოფიის მოაგერი დაზნახსათხედელი ნიშანი აისო ყრსე-ბელი ფორმებისა თუ არსობრივი მიმართებების ირინოზე-გროტესკული დანახვა და მათი დაშლა, როგორც დიკმა-ტური სისტემებისა. 1960-იანი წლების ბოლოსათვის ეს მიზანი უკვე მიღწეული იყო. არსებობდა თეისტური, ათეისტური და თუნდაც ვოლტერისული თუ მანისტური დოგმები მთლიანად გააცნობიერებულ იქნა ინფესტრული საუკუნის ხელოვნათა და მოაზროვნეთა მიერ. მათ შერე „კრიტიკული თეორიის“ ლოკაური გაგრძელება აფირ-მატილედ თეორიაა“, რომელიც იმის მაგვირად, რომ გაა-ცამტკიცოს და დაანგმოს დოგმა, შემოგვთავაზებს მსოფციოს ახალ, არაფგმატურ და ამავე დროს მასსტაბურ და მეტ-სკალეზად პარამიოულ ხედვას.

პოსტ-სტრუქტურალისტური აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ვაე დერიდა საკუთარ უკანასკნელ ნაშრომში ფილოსოფია ტერორის დროს“ წერს თანამედროვე ინოვაციური იდეების კრიზისზე. მაშინ, როდესაც უკვე 60-იან წლებში ნათელი გახდა მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და ამავე დროს არაიერ-მეფილი სამყაროს შექმნის აუცილებლობა.

როგორც იტყვიდა ერთი შეკვიანი ადამიანი, ისტორია არის შემთხვევების სამეფო, ბოლის მეფეც — კანონ-სომიერება. ჰოდა ეს ჩვენი ხელოვნებაც ამ ისტორიული კანონზომიერებებით მივიდა იქამდე, რომ ავერ უკვე ნახე-ვარი საუკუნეა, რაც დღემა ესთეტიკური ფუნქციების არასეთეტიკურ ობიექტებთან და არასეთეტიკურ ფუნქ-ციების ესთეტიკურ ობიექტებთან შერევა. ნახევარი საუკუნეა, რაც პოეზია გამოიცდებოდა არა კითხვით



„შეიძლება ამის უკეთესად გაკეთება?“ (სახელმწიფო“ შეკითხვა. საუბარია უორქშოპზე) არამედ ასე: შეიძლება ამის სხვაგვარად გაკეთება? ან ალემთ დონეზე სხვაგვარად გაკეთება?

ირაკლი ჩარქვიანი ამბობდა, რომ ჩვენ დავეკარგეთ მსოფლიოსთან სალაპარაკო ენა. ვერაფერს იტყვი, ზუსტი დავიგნობია. ჩვენ კი იმის მაგიერ, რომ კიდელი დაგანგროთ და საერთოდ, კედლების მაგიერ — ხიდები ვაშენოთ, რას ვაკეთებთ ამ „პურიზმით“? ვდებთ კიდევ ერთ აჯურს პროფანზებულ სისტემის მიერ მარყუტად შემოჭრილი კულტურული ინტელუალის მოუდგომელი კედლის სამკნენიდად. თქვენთვის არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ხელეწინება გლობალურია. პოლიტიკურ სახელწერებს არ ექვემდებარება. ამიტომ, თუ ვსაუბრობ ხელეწინებაზე, ვსაუბრობ მსოფლიო კონტაქტზე და არა ეთნობოლოგებაზე (ამ უკანასკნელზეც შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგრამ საკითხებია რამდენად მომჭიდრობა ეს პურისტებისთვის, რადგან ქართული ეთნობოლოგია სავსეა ეროვნული მახასებებია, რომელთაც პურისტები რადომლაც შავი ქორივით ერძებია).

მოკლედ, ერთ რამეზე შევთანხმდეთ. ხელოვნება აბსოლუტურად ინტერდისციპლინარულია და ამ ინტერდისციპლინარობიდან გამომდინარეობს მთელი მისი პროგრესულობა. ხელოვნება საკუთარი კონცეფციითვე გამოირჩევა საპურისტო მიდგომებს და ვინც ამის ვერ ხედავს, მას არ აქვს მორალური უფლება ისაუბროს ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, რადგან ანბანურ დონეზეც ვერ ერკვევა

ხელოვნების განვითარების ისტორიაში (და მით უმეტეს არ უნდა „დავემოდღროს“ ლიტერატურული პერიოდიკის სახელებით, თორემ ვინაო ნრები საუბარს არაფერი უშვას, არაინ ვართ ულოდველნი) ისე, ცოტა გამომარჯობისთვის, „პურიზტულად“ რომ ნაწივით საინტერესო ადგომამდე მივალთ: პოეზია დაიბადა ბერძნულ-რომაულ სამყაროში. მაშინ პოეტი, ერთდროულად მომღერალიც იყო, რადგან ლექსი ინსტრუმენტის აკომპანიმენტით სრულდებოდა. ამ ინსტრუმენტს ერქვა ლირა (აქედან მოდის „ლირიკა“). ეს მეტრული პოეზია იყო, სადაც ძირითადად ხმოვნებით მანიპულირებდნენ. სხვათა შორის, პირველყოფილი ლექსი ბოლორითმოვან და კონვენციურ სტრუქტურებზე არ იგებოდა, ანუ ევრლბირთან და ვერბლანთან გაცელებით მეტი საერთო ჰქონდა. ხოლო სერიოზულად: პოეზია და ზოგადად კულტურა, ერთი სხეულია, ერთი ორგანიზმი; სხვადასხვა მიმდინარეობები კი მისი სხვადასხვა კიდურია. თუ მარყუტად ვეხი (ჩვენს შემთხვევაში პოეზიის მაკისტრალური ხაზი), მარყუტად ვეხებ (ალტერნატიული ხაზები ან ავანგარდი) დიდა, მაშინ სხეული კოჭობს. გამართულად სარეალისთვის ორივე კიდური ეკვივალენტურად განვითარებული უნდა იყოს.

ეს ჩემი პირველი და უკანასკნელი წერილია ამ თემის გარშემო. საერთოდ, არ ვირეები ხოლმე ამგვარ პოლემიკაში ჩაბმისთვის, რადგან ანბანურ შემართებებზე დებატი დროის უემ ვლახვავად მიმანჩია. მაგრამ არ შეშუძლო, ეს ხმაამალა არ მეთქვა.

ზაურ მკვანაძე

ასე ვვიქრობ

I
ნაკვითხე თუ არა იოსებ ჭუმბურიძის წერილი „ნიჭიდან ცამდე“ და („ქვენი მწერლობა“, 23) თათია ჯგუშიას ლექსი, მივწვდი კალამს სამადლობლო სიტყვის დასაწერად. ვერ შევძლო, გული შემეკუმმა და ცრემლი დამდინდა. რამ განაპირობა ეს? ალბათ იმან, რამაც მათ შეუკუმმა გული და დასხდენ წერად.

ღეთურია ამ ვერდებე ყველაფერი. ფოტოც, ლექსიც, სიტყვაც. მადლობა თათიას მადლობა იოსებს მადლობა რედაქციას, თქვენი მციავე, თორემ რამდენ რამ შემეუქრება სიყვდილოთ.

II
გულიდად ვამბობ, რომ „ჩვენმა მწერლობამ“ ფართოდ გაულო კარი ახალგაზრდობას და სიყვარულით, დიდი აკაცის სიტყვებით ევებება მას: „ახალგაზრდებო, ან კი თქვენ“ ეს მიდგობა სარედაქციო გუნდის და მისი თავკაცის გახედული და მართალი გეგაა. შედეგაც უშუქვად დადებითია და კვლავაც ასე იქნება. თანდთან მოდის ახალი ხედვა, ფრთიანი და ცვცხლოვანი სიტყვა, ახალი ფერი, ახალი სიცილი,

ახალი ცრემლი, ახალი შეფხება სიცოცხლისა და სიყვდილისაც კი. ცხადია სოცნებო სახეად იოლად და ერთბაშად როდი მოდის, იგი ნელა, ნეითნევადა მოიწვს, ცისკრის ვარსკვლავივით ჯერ მორცხვად ციმციმებს, მერე აღმოსავლეთის მტრედისფრად გაეჭვოს, მერე ოქროსფერებს გაიხრებს, მერე მენამულს შემამტებს, მერე სივრცეს ააკისფერებს და უშუქვლად ველოდებით ჩახანხა მზის ამობრწყინებას. ასეა დამწეები პოეტის გზაც.

ეს საქმე განუზომელ დროს, მსხვერპლს და რისკს მოითხოვს.

არ გვაინყვება ისიც, რომ ადამიანი ღმერთის ქმნილებაა და მინა მიერნა საცხოვრისადა, ხოლო ადამიანი — პოეტი მინახედვც ცხოვრებას და შეცვამაც, არც ეს მიმანჩია სწორ გზად, ახალ ხმას რაღაც კალაპოტი მიუყინით და ჩვენს საზოგადოში ჩამოვქმერთო, მაგრამ ისიც დაუმარტება, რომ შეცვლი სიახლე დამანის თუ არ ქუხალოვდა, რათა შევგუოს კაცმა, სიახლეს ღირებულება არ ექნება. თავისუფლებაზე უპირველესად სიტყვის ნებორ მქუქარებასა და ქროლაბა, მაგრამ ისიც მოავარია, როგორ მიიღებს მას ქვეყანა. ამდენი საუბარი ნამდვილად არ იყო საჭირო და მორიდების სვებატეც მომედო, რომ ყველაფერი ერთი პატარა პოეტი გოგონასაქენ არის მიმართული.

ქეთი თუბიერძემე მოვახსენებთ. ცხადია, მე ამომწურავად ვერ განვიხილავ მის ლექსებს, მაგრამ მივანიშნებ, როგორ ვითარდება ერთი პატარა ეპიზოდი და თან „როგორი დადეკაცის მოგონილი კულამოსილება მუჭუქათი დანურების ქვეითია, თუ როგორ ევლარლია დროებითი ფიქრი მერე მამაკაცზე, როგორ ინანილებდა უსიყვარულად დედამინის ბოლო ნარჩენებს და ისე დაშორდა. შერე, მეოთხე მამაკაცთან ერთად გადამალა თანავრძობა მის ვაგინამი

და თვალწინდენელი პორიზონტით დამორბდა მასაც. მიხუთი მამაკაცისგან მკერდის ნერწყვიან ლოწობში, რძევ კი გაუქრა. ახლა კი ვედარ ივიწყებს მტევქსე მამაკაცის ხელისგულიდან ლოყებზე გადადებულ სიცივეს”.

ბოლოს ერთ-ერთ მამაკაცს მიეკედლა და აღარ წამდა არცერთი ღმერთის”. ის ერთ-ერთი მამაკაციც ველარ ხედავდა მის „დაყვლებულ ბავშვურ შეგრძნებებს, უსისხლო ტანში რომ სუფევდა”, რომელსაც „ენის წვერს უწვავდა მისი უნ-მინდური სხეული, ეს იყო „ბოლო, უკანასკნელი წარმოსახვა მისი საშობის”.

ხალხო! გეკითხებითი ვის ჭირდება ეს სტრიქონები, ვის? ვის დაგიტკბათ გული და გონება მისი მოსმენით.

აღარც ღირს სხვა სტრიქონების მიდევნება, მაგრამ მაინც მოგიწინჯოთ კიდეე ორიოდე ტაეპი:

„მკითხომა“ ლექსი

როცა ბოლო ღერ სიტყვას მომანავას სულზე ზამთარი,

რაღაც მოხდება... და საფერფლები დარჩენილი შენი სიგარა

შვისგან დაძოძოქილი დილას დაფერფლავს.

უანგინაზ ონკანს ჭუჭყიანი წყალი თუ წასკდა, მჯავ ჩემი თმით გადაიხვიე. ასეთ ამინდში

გეჩევეია თურქე ორივეს. თვითმკვლელობაზე ფიქრი

ჩერებში გაკარი დუფმორული ყველა ტკივილი, ზღურბლზე მიაგდე და საფერფლები დარჩენილი

შენი სიგარა მვისგან დაძოძოქილი დილას დაფერფლავს.

რაღაც მოხდება... მართლაც მოხდება რაღაც.

მე ვერ ვებედავ იმის გამზებას, რასაც ეს ლექსი მკარნაბობს, მაგრამ იმას კი ვერ დაფურავ, რომ ავტორს განუზომლად ამაღლებული გუნება-განწყობა ეძალება და აჩქარებუ-

ლი ასოციაციები შემოჯავბია, უძნელდება მათი დალაგება კუთვნილ ადგილზე.

ბოლოს უნდა ეთქვა, რომ ამდენ შრომას სრულიად ფუქადაც არ ჩაუვლია: მათემატიკოსების ჯინაზე დავადგინე, რომ შესაკრებთა გადამაცვლებით ჯამი იცვლება.

აი მავალითი:

როცა ბოლო ღერ სიტყვას მომანავას სულზე ზამთარი, მერე მიღებში იქედება ჩემი სიზმრები და საფერფლები დადარჩენილი შენი სიგარა დაკლანელი კლდეებს ეფერება ხორკლიან ზურგზე, ბოლოს აღსილ კუთხებეად ჩვენ განუვადვებით. ჩამომინეეთ შენი სახე ყავის ფინჯანში და გამოვიცნობ, რომ შესამე კუთხე ჩემია, განლაგებული უადგილო ზამთრის ქუჩაზე, დედამინის ბოლო განაღზე ჩვენ ვიხლართებით უსინათლო ელემენტებად.

ეს სტრიქონები თუთბერიძის სხვადასხვა ლექსებიდან თვალდაბუჭულად ამოვკრიბე, შევაცონინე და ქეთისნაირი ლექსი მივიღე. წარმოიდგინეთ სტრიქონთა ასეთი გადაადგინელებით რამდენი ლექსის მიღება შეიძლება (ეს ვაი, ხუმრობით).

ბატონმა გივი აღხაზიშვილმა ააჩრდა თავი ლექსთა განხილვას ალბათ ავტორის მდებრობითობისა და ახალგაზრდობის გამო და საკადრისი პასუხი არ მისცა ავტორს. თუმცა, გარკვეულად განაცხადა „ავრსავეტიკეაც ნამდვილად არ მიეჩევეს, თუ იგი გულდასმით აითვისებს პოეტურ გამოცდილებას, რაც ქართულ სინამდვილას და ზოგადად მსოფლიო პოეზიაში არსებობს“ — ამით ყველაფერი გასაგებია. მაგრამ, ჩემი აზრით, სჯობს ეს ამბავი დაბეჭდვამდე ვუთხრათ ახალბედა ავტორებს, რათა არც მათ ეტკიონთ გული და არც საზოგადოება ჩავარდეს დამაბრმავებელ ბურუსში.

სამშაბათს, 10 მარტს
ჭურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში
მსახიობი

ნინელი ჭანკვეტაძე

ნაიკითხავს
ოთარ ჩხეიძის
ნოველას

„შპინ ჯოხი“

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ოთხშაბათს, 18 მარტს
ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტში
გაიმართება განხილვა

„ბალაკტიონოლოგიის“

მეოთხე კრებულისა
მომხსენებლები

ლალი დათაშვილი
მაია ჯალიაშვილი
იოსებ ჭუმბურიძე

დასაწყისი 13 საათზე
კოსტავას 5



ეკა ბუჯიაშვილი

ეს გზა უფლისკენ მიდის

„ნელინადი შემობრუნდა, ზამთარი მოვაგვდა კარსა, ზამთარი, შარშანდელზე ნაკლებად რო არ იმუქრება“, — ასეთი წერილი გაუგზავნია ოთარ ჩხეიძეს მეგობრისათვის, 1995 წელს, ფერიცვალეხა დღეს.

ეს სიტყვები გამახსენდა დიდუბის პანთეონში დეკემბრის იმ ერთ სუსხიან დღეს.

ნელინადი შემობრუნებულიყო.

ერთი გრძელი ნელინადი შემობრუნებულიყო იმ დღის შემდეგ, რომელსაც ერქვა ოთარ ჩხეიძის გასვლა ამ წუთისოფლიდან.

ყველა მუქარა აებინა ამ ომიან და ვარაზიან ნელინადს საქართველოსთვის და 2009-ე წლის ზღურბლთან ოთარ ჩხეიძის სულის მოსახსენებლად დიდუბის პანთეონში შეკრებილეს იმ საქართველოზე გვეფიერებოდა და გვეოცნებებოდა, რომლის კონტრეპიზიც თავისი ფიქრითა და შემოქმედებით მოეხაზა მწერალს.

მამა გაორგი (ზვიადამე) იხდიდა პარაკლისს.

და უჩვეულო მადლი ეფინებოდა მწერლის სამარეს, რომლის სისადავეც არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას შეექმნა და მასში გაესიმბოლოვებინა მწერლის ცხოვრებასული თუ შემოქმედებითი ბედისწერა და მრწამსიც.

ამ ბედისწერასა და მრწამსს ასახავს როსტომ ჩხეიძე მამისადმი მიძღვნილ ნიგნში, რომელშიც „ავვისტოსის შეილების“ ტრაგიკულ ადუნერს და უამრავ საინტერესო მასალასა თუ მამის დღიურებზე დაყრდნობით, იმ ეპოსის ფონზე კი არა, ეპოსისთან ერთად აღნერს და ხატავს ჩვენთვის ნაცნობ თუ უცნობ პორტრეტებს, გასული საუკუნის მოვლენებს, საერთოდ იმდროინდელ ყოფას — არა მხოლოდ ლიტერატურულს.

ფუნდამენტის მისდევს მამის კვლას ბავშვობიდან გარდაცვალებამდე, ასე — სანდო მეზურად — მიჰყვება მკითხველს ათლექსების ლაბირინთებში და ნინო დეკანოიძისთან ერთად, პირველებს რომ გვერგება პატივი ამ „გზის“ ლამის ავტორთან ერთად გავლისა, სულმოთქმულად ჩავიკითხავთ სტრიქონებს ნიგნისა, ყველაზე ვრცელი რომ აღმოჩნდება როსტომ ჩხეიძის შემოქმედებაში.

კითხულობთ... კითხულობთ...

ხან ლიმილიანები...

ხან ტკივილიანები...

მიეცებით ხან უცნაურსა და ხანაც საცნაურ ამბავთა დინებას, გასულ ზღვრულს, იმ ომიან დღეებში რომ იწერებოდა.

ღელავს, ფორიატოს ბატონი როსტომი, რაღაც აკლდება გულს, რამე არ გამოიშრესო, წუხს, თან ჩქარობს, უნდა მამის გარდაცვალების დღემდე მოასწროს, ნელინადის შემობრუნებამდე... თავზე ათენდება ღამეები და რომ ჰკონია: მოვრჩი, ახლა კი დავიასრულოო, კიდევ რაღაც ნამოტივტივდება, კიდევ რაღაცს ჩამამტებს.

— დრო აღარაფერში მყოფისო... რა სწრაფად დატრიალდა ეს წუთისოფელიო, — უტკივს და ახლა „უცნაურად მალე დაღამებულ დღეებზე“ წუხს.

ერთი თავგადასავალი ამ ნიგნსაც გადაბდება, მაგრამ მინც მოასწრებს... კიდევ ერთხელ გადავკლებს თვალს და სულსა და გულს გადავკლებს სტამბაში გაგზავნილ გვერდებს.

— ნეტა რამე ხომ არ დამაკლდაო...

ნეტა კიდევ ხომ არ დამჩრა სათქმელიო...

ეს ყველაფერი დეკემბრის იმ სუსხიან დღემდე მოხდება, ეიდრე ოთარ ჩხეიძე თავისი არყოფნითაც უამრავ ადამიანს შეკრებს დიდუბის პანთეონში.

სწორედ ამ დღეს როსტომ ჩხეიძე მწერლისადმი მიძღვნილ კიდევ ერთ



ოთარ ჩხეიძის წლინათვი დიდუბის პანთეონში

ნიგნს, ასევე „ჩენი მწერლობის“ რედაქციაში მომზადებულს, გადასცემს ავტორს, ზურგ ნაკაძეს, ვინც თავის ამ კრებულში „შორია ოთარმინდამდე, ოთარ“? მეგობრის მიერ ფერიცვალეხა დღეს მონეროლ იმ ბარათსაც გაიხსენებს და ნოკლებს ციკლად გარდაქმნილი მოგონებების შუაგულში მოაქცევს ოთარ ჩხეიძეს, სულაც მის ირგვლივ მოქსოვს მზიარული თუ სვედიანი ამბებისგან შედგენილი თხზულებების ქარგას, რომლის დოკუმენტური ფონიც არაერთ საგულისხმო რეალისა გამოამზურებს გორის — და არა მარტო ამ ქალაქს — საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

იმ ომიან დღეებში იწერებოდა ეს პატარა კრებულები: იწერებოდა ქართლის იმ სოფელში, სადაც ზაურ ნაკაძეს თვითონ „გადაესახლებინა“ თავი და „საწითელითი ინეისი მისი შემოდგომის უფერული დღეები“, მაგრამ...

მართალია „ჯოჯოხეთი მინასთან ახლობებს ადამიანს, თუმცა საოცარი ფიქრიც იცის, წარსულს დაგამომიღებს და ხელისაგულზე ხედავ განელი ბილიკს“.

ეს ბილგები დეკემბრის იმ ტკივილიან დღის მერე გაუმძაფრდება, როცა ოთარ ჩხეიძის გარდაცვალებას გაიგებს...

ზის ფეხებისა, ფიქრით მიჰყვება განვლილ ბილიკს და ფურცელზე გადააქვს განცდილი...

წერს... წერს...



მამინაც წერს, როცა ფხევენიში ომი მიქნეწარებს, როცა სივრცეს ტყევეთს ზუზუნი არღვევს, როცა მტერი არბევს და ცხცებში ახვევს იქაურობას...

არ უწინია, შოში არ იპყრობს, თუნდაც შორი იყოს ოთარ-წინინდამდე, იმდენი ლაზმა წყითა ურუქებია წუთისოფელს, სიკვილი რალა ბედენდა, ამ ტუთია და ცუქებია ნოს დააკლებს.

— მე ჩხვიძებებს, დადიანებს, ციციძეებებს, ფინინარაშვილებს დაეულოცე, მათ უსურვებიათ ჩემთვის გრემელამეულობა და ამიტომაა, რომ დღემდე გამოვეკერე ცარგვლსო...

ამ წიგნსაც დააყვია ის უჩუველო მადლი, დიდუბის პანთეონში აღვენილი წირვა-ლოცვისა, და იმ სიტყვასაც, მამა გიორგი რომ გვეტყვის შეკრებილებს.

მე კი...

ეს ყველაფერი იმ მაღლიან დღეს თქვენთვის, მკითხველ-სათვის ჩავენრე.

მამა გიორგის სიტყვა დიდუბის პანთეონში:

„უფალი გააბათლებს ოთარ ჩხვიძის სულს.

ძალზე ხშირად ხდებოდა ასე — დიდ ადამიანებს ამ წუთისოფელში არ ღირსებიათ ის სიკეთე, რაც ეკუთვნოდათ. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მოციქულებმაც კი ისე იცხოვრეს ამ ქვეყნად, უამრავი განსაცდელი ჰქონდათ და უამრავი ტკივილი. ასე ვაჩვენებს ეს გზა ნიმიდ მამებმა... გუერმა გამოირკულმა ქრისტიანმა ადამიანმა.

ბატონი ოთარ ჩხვიძე ის პიროვნება იყო, მთელი ცხოვრების მანძილზე სიმართლეს რომ ემსახურებოდა. თავისი წინაგრძობით, პიროვნული ღირსებადლი, სისუფთავით ის ღვთისა და სამშობლოს სამსახურში იდგა და რაც უნდა მოხდეს — ისიც რომ იყოს, ამ წუთისოფელში პიროვნება სათანადოდ ეხერფასდეს, ღირსებითა და ღვანლით გამოირჩეული ადამიანები მუშინებდნენ და მოდიოდნენ ამ ქვეყნიდან — ყოველივის ყველაზე უნდა ვიცოდეთ, რომ დღითისი წინამე არაფერი იკარგება და მთავარად ხომ ეს არის — ვის რა მივცემა ამ სამსჯავროზე. შესაძლოა ვინმეს წუთისოფელში უსამართლოდ ჰქონდეს პატივად და დიდებაც, მაგრამ უფალი ისე გამოირჩეულია, ის არის მუშინდარი და მიუკერძოებელი მსაჯული, რომელიც ყველას დამსახურების მიხედვით მიაცებს თავისას. ამიტომ თითოეული ჩვენგანის საფრთხილი ის უნდა იყოს, რომ წსორად ვიცხოვროთ, იმ გზით ვიაროთ, ღვთის მარადიული წყალობის ქვეშ რომ მიგვიჩენს აფგლის.

ბატონი ოთარის ის პიროვნება, ვისი ყველა ახლომელოცვლებს თავანუელია — მოუხდებავდ მძიმე დარტყმას, რომელშიც მან იცხოვრა, მოუხდებავდ იმისა, რომ სხვებთან ერთად აიძულებდნენ კვირი დაეკრა ვიღაცისთვის და არამართალი სიტყვა ეთქვა, მას ეს არ უკადრია და თავისი პიროვნული სინდელით, სიმაღლით იგი ვეღვათ თაობისათვის იქცა მაგალითად — თურმე იმ მძიმე დროში შეიძლება იცხოვროს ისე, რომ სულთა და მართალი ნახვიდ ამ ქვეყნიდან.

ამიტომაც მას ძალზე დიდი პატივი ეკუთვნის, პატივი, რომელიც ღვთის წინამე უკვე აქვს და ახლა ჩვენც უნდა მივავთო. ოთარ ჩხვიძეს კი არ სჭირდება ეს ყველაფერი, ჩვენთვის არის აუცილებელი, რათა ვიცოდეთ, როგორი ცხოვრებაა სწორი, რომელიც უნდა მართლად და რაზამად უნდა განვცლოთ ჩვენი წლილი წუთისოფელი ადამიანებმა.

მინდა მუდღე დავგლეჯო ოთარ ჩხვიძისა, პიროვნება, რომელიც მთელი ცხოვრება მის გვერდით იყო და მასთან ერთად იზიარებდა სიხარულსაც და განსაცდელსაც.

მინდა დაელოცო ბატონი როსტომის, ასევე ბატონი ზაზა ოქუაშვილისა და ქალბატონი ნატო ჩხვიძის ოჯახები.

მინდა საქართველოს ეკლესიის სახელით მაღლობა ეუთხინა ბატონ ზაზას, ვინც ანდენი რან გააკეთა ქაშუეთის ეკლესიისთვის.

ღმერთმა შეინიროს ეს ყველაფერი.

იმ მაღლიანმა საქმემ, რომელიც ამ ტაძარს გაუკეთეთ, მხოლოდ ჩვენ კი არა, ოთარ ჩხვიძის სულსაც დიდი სიხარული მიაჩნია.

ღმერთმა დაგლოცოთ ყველა.

ის იყოს თითოეული თქვენგანის შუენე და მფარველი“.

ზეიადე კვარაცხელია:

„ხატობდაც მგონია, რომ რაც დრო გადის, ჩვენს ყოფას უფრო და უფრო შორდება ის იღვმებობა, რაც დანყო-დაბადებიდან წყაროსავით იღვრებოდა სულში და ბოლო არ უჩანდა და მადლის ნაკაღულს, ფერად ნაღვეთობებს, მშუმი გამოდნარ მარცაღობებს. სიტყვით სახიერდებოდა ყველასგან დაფარული... სიტყვა დაიკარგა გნებზეთ ამას ტრავმედა დაარქვით, გნებზეთ უღმობული დროისგან მოცემული საცდური — ზეღაბალი განკურნებისა და გაგანსაღებისთვის, გნებზეთ ახდენილი წინასწარმეტყველებები.“

სიტყვის დაიკარგვას ენის, საფიციარი ურთიერთობების დამცობა მოჰყვა, ფასკელის გაარაფრება და აუტანელი სიკარგელე, პაერში გამოეკიდა საუკუნეებით შემორჩენილი, ნაღობაზეთ ფრანები, სითბოს და სიყვარულს რომ გნებდნენ და მართლაც ჰქონდათ თბილი განცდებთან საერთო.

ამ გაუცხოებისას, თანდაყოლილი ოპტიმიზმის შრალია, რომ მუშაფარეი წინამდებეობის მოუხედავად, ვერა და ვერ დაკინდა სიტყვაში განდობილი უსწევრობა, გალორბდა, მაგარამ არ გამოფიტულა, გუთნისდელისგან გავლებულ ნულში ისეც ცვივია დარჩეული მარცვლები და მყოფად ასხივებდნ...

აქ, მადლის ყანაში, გამოჩრეულ ნაკეთს ოთარ ჩხვიძის სახელი ჰქვია. მისი სწოლად განსხვავებული სამყარო, ალბათ, სწორედ სიტყვასთან უსწევრობა და მოკრებულეებითა ასეთი — ერთი გამძლეუნებული სახეები, ფერებ-ფერებში მოტანილი ძველი და თანამედროვეობა, ერის საწუნარში ჩამდგარი მწერალი.

ოთარ ჩხვიძის შესაშური მუშაოებობა ალბათ ოდესმე დამსახურებს საკადრის ყურადღებას და სიკოცხლებში მისი უგრძობების, აუღირებლობის განცდა ერთივად თუ არა, თანამოქმედი მოგონებამ მაინც დაანებება თითოეული ჩვენგანს, მკითხველს ზოგადად, რომელმაც ძიეღ და მართლად ნიგში ცხოვრება მამნიველი სახანაბა არჩია“.

ლელა სამხარაშვილი:

„ოთარ ჩხვიძე ქართულ მწერლობაში, ჩემთვის, პირველი რიგში, ერთ-ერთი ყველაზე უფრო სანდო მწერალია. მწერლის სანდობა, თან — წარსულთან მიმართებაში, შეიძლება ბევრისათვის გაუგებარი ამ გაუმართლებელი განსაზღვრებაა, მაგრამ ამით მინდა ხაზი გავუსვა ჩემს დამოკიდებულებას კონკრეტული ავტორის მიმართ — კონკრეტული ეპოქის ფონზე. დარწმუნებული ვარ, ჩემი თაობაც და მომავალი თაობებიც არაფრავნის გადამოთხვენე ოთარ ჩხვიძის რომანებს იმის გასარკვევად, თუ რა ხდებოდა მე-20 საუკუნის საქართველოში სინამდვილეში — რა ხდებოდა ზოგადად და რა პირობებში უხდებოდათ კონკრეტული ადამიანების თავის განტანა და ადამიანებამ დარჩენა თუ ვერ დარჩენა.“



ისტორიამ აჩვენა, რომ ისტორიის გაყალბების შესაძლებელია. თუკი ეს პოლიომდე შესაძლებელი არაა, მხოლოდ ისეთი ადამიანების წყალობით, როგორცე ოთარ ჩხეიძე იყო. სიც-ვერა ზნეში, როგორცე საბჭოთა პერიოდის ლაშის ერთადერთი თუ არა, პროგრესული მიმართულება ლიტერატურაში, თავისი წინაწინარ განსაზღვრული თხრობის ყალიბებითა და სიუჟეტებით, მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობას ერთგვარ ფილტრად ექცა — გადარჩა ის, რაც მან „გაცხრილა“. ასეთი გადარჩენისათვის „განწირულთა“ შორის აღმოჩნდნენ ძირითადად ის ავტორები, რომლებმაც აირჩიეს პოეზიის მენტალიზიკური ენა — ქართველი სიმბოლისტიკისა და გალაკტიონის მხავებსად — და საბჭოური რეჟიმთან გამოაღწიეს სწორედ იმ ლირიკული ტექსტებით, რომლებსაც არავფრთხილავდა საერთო სისტემასთან.

შევრად უფრო დიდი გამებედაობა იყო საჭირო ისეთი პროზის შექმნისათვის, რომელიც თან რეალობასთან შეინარჩუნებდა კავშირს და თან დროს გაუღებდა თავისი მხატვრული ასპექტითაც და სათქმელთაც.

ოთარ ჩხეიძის რომანები სოციალურზმთან დაპირისპირებისათვის სწორედ რეალობაზე კონცენტრაციას იყენებს. ის არის ბრწყინვალე რეალისტი ავტორი, რომელიმაც მხატვრული ნარკატივი ისტორიულ ნარკატივთან უხესტეს თანხედრობაში.

არ ვიცი, ნაკლები ეროვნული პრობლემების შეიწინააღმდეგებდა სხვა ქვეყანას და სხვა ეპოქაში რომ დახადებულყო, ოთარ ჩხეიძე რამდენად იწინააღმდეგებდა ორიენტაციებს სამშობლოს თემაზე. დანარჩენები ვერ ვარ, ის წინაინ მხატვრულ ასპექტებზე ორიენტაციითაც მოახერხებდა გამდგარყო საუკეთესო ავტორებს — შექმნა მრავალწლიანი ნაწარმოებები, თავისი თხრობის ნაკადებით შეებოდა ყველაზე უფრო ღრმა, უნივერსალურ თემებს. ფაქტი ისაა, რომ ოთარ ჩხეიძემ პოლიომდე მიიღო საქართველო და ქართული ენა, როგორცე ტვირთი და როგორცე ძველი. სწორედ ამ ქვეყნისა და ენის სიყვარულით საუბრობს ის ყველაფერ უნივერსალურზე. მისი ქართული დიალექტიკური შექმნილი ხმა ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვითმყოფადი და დახეულია ქართულ ლიტერატურაში, ხოლო მის მიერ შექმნილი პერსონაჟები — თანადროულად რთული და ნამდვილი. ვერცხვო რომაქიძეს თუ არ ჩავთვლით, ძალიან ძნელია გაივსინეთ სხვა მაგალითი გასული საუკუნის ქართულ პროზაში ასეთი გამოჩენილი ხმის არსებობისა. კითხვობს და ვიამბობს — თავისი ასპექტებით, ინტონაციებით, არასდროს რომ არ ავარდევს აქვეყნებს.

„ბორიაის“ მთავარი პერსონაჟის, ნიკუშა ჩაჩანიძისაგან განსხვავებით, რომელსაც შეუძლია „ხელმოტეხას ხელგონებისათვის შეეწიროს“, ოთარ ჩხეიძემ იცოდა, თუ რისი გადარჩენა იყო შესაძლებელი ლიტერატურით, სწორედ იმ ქართული დიალექტიკითა და რეალობის სიუჟეტებით, თვითონ რომ გადარჩინდა და დაეცურათ“.

ნოაღი ებრაელიძე:
 „შენს ყოფილ დამკვიდრებულსა ეს თქმა: ... კიდევ კარგი, რომ ამას მაინც არ მოესწრო!“ შარშან, ავეცხტოში შიდა ქართლის სოფლების აოხრების შემდეგ ბევრს, აღბრა, ცხონებულ ოთარ ჩხეიძის მიმართაც ვაუჯვლდა ეგ აზრი; მეც ვამიზარ, როცა წარმოვიდგინე აკლებული და ვადამწვარი თამარაშენი, ნიკუშა, ტყვიანი... დასახლებული ეს საკმაოდისა, რომ დავით გურამიშვილის ტრაგიკულმა სტროფამ გაგვიაროს ვულში:

მე ვი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატყვიარი არა ჭფარავს; მეტად მწარედ გული მტკიავს, მაჭროლებს და ტანში მზარავს!

ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო, აღმა მხვენელსა, დაღმა მზარავს; ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამოხორბლს, ანამზარავს!

ჰო, მაგრამ არ მოესწრა იმ სამიწილებას ბატონი ოთარი?! განა რუსთაველზე გაალებული იმი, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ნაგლეჯა ნაკლებად დაამწხრებდა? ამიტომაც შევჯანიშნობის თეატრში მხატვრული მდგომარეობა მწერლურ პასუხს იმ ამბებზე — რომანებს, პუბლიცისტურ ნერილებს, რომელთა გულდინჯად ნაკითხვას, ჩვენი თაობა, აღბრა, კარგახანს ვერ მოახერხებს (საერთოდ, თუ დავეცვალა).

არადა გუმწინდელით ვიგონებ იმ დღეს, როდესაც მარჯანიშნობის თეატრში ვნახე ოთარ ჩხეიძის „ისია ისია“. მაშინ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ ვემუშავი და იქაური პატივის მთავარი თანამშრომელი თვინათი გაზეთის გამოჩენულ ავტორებს დაფასებას არ აკლებდნენ. თამაზ ბიბილოვი, ქემშიარტი თეატრალი, ჯერ კიდევ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მუშაობის და წარმოადგენ ნაყვევი თეატრში. ვამიზარდა, რომ თამაზზე აღაფრთოვანა საქეტაქლმა. იმ დროს უკვე ბატონი ოთარის ახალი რომანების, მოთხრობების, ნოველების გამოჩენა (განსაკუთრებით იმ ციკლიდან, რომელსაც „ჩემი სოფლის ვიუიუები“ ჰქვია), ზემოდა იქცა. ვამაზობდი, რომ ერთი მთავარი — „კახიანიური“ სწორედ ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა.

„რა მთავარი გავქვით, კახიანიური!“ — ხშირად შემესიტყვებოდა ხოლმე ამ ნოველის (განსაკუთრებით იმ ციკლიდან, რომელსაც „ჩემი სოფლის ვიუიუები“ ჰქვია), ზემოდა იქცა. ვამაზობდი, რომ ერთი მთავარი — „კახიანიური“ სწორედ ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა.

წელიწადი შემობრუნებულყო — ყველა მუქარა რომ აებხნოდა, „უხვად რომ მოეტანა სისხლი და ცხედრები“, ომი და ვარამი რომ არ დაეკლო, აი, ისეთი წელიწადი.

კვლევ ბორიაე გადახვევდა ოთარ ჩხეიძის სამშობლოს ზღბეს, კონფესია, მილოცილებს ზვეტი-ზევითა, ზვეთი ენება, დედამიწა აღარ ეტანებოდა ავარდნილა დედამიწიდან“.

დიდუბის პანთეონში მივყოფნობთ შემობრუნებულ წელიწადს.

ვირეძით ცრემლიანები, ტკივილიანები და მაინც იმედინები, რომ აღსრულდებოდა ბედისწერა იმ საქართველოსაც, რომლის კონტურებიც საყოთარ შემოქმედებით მოეხაზა მწერალს.

... და გვეფროდა — ადრე თუ გვიან ეს მტყვერიც დაწმენბოდა, ეს ბორიაეც დაფრინებოდა მიწას და გამოარღვევდა სივრცეს სხივი, აქაურობის განმთავებელი.

ამ რწმუნით დავსილიყო შემოქმედება ოთარ ჩხეიძისა, თავისი არყოფნიაც იმედით რომ ვგვასებდა...

თავისი არყოფნიაც უამრავი ადამიანისთვის რომ მოეყარა თავი...

ესეც ბედისწერა თუ ყოფილა... სამშობლოს წერას ადეგნებულ კაცისა...

იოსებ ჭუმბურიძე

„გალაკტიონმა მაკოცა“

*

ფიქრები ვახტანგ ჯავახიძის „100 ლექსის“ გამო

გამომცემლობა: ინტელექტი; სერია: „პოეტის 100 ლექსი“; საგამომცემლო პროექტის ავტორი: კახიკე კუდავა; 29-ე ნივთი; შემდგენელი: ვახტანგ ჯავახიძე.

„პოეზიის შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე მასში გარკვევა“ (მონტესკიე).

და თუ გარკვევას მაინც შეეცდებით, მაშინ აკაკი გაბერელიას ეს გაფრთხილება უნდა გავითვალისწინოთ:

„კრიტიკული ნერილი, რომელშიც დადგენილი არაა პოეტის ინდივიდუალური დიქცია, სტილური ხელრთვის თავისებურებანი და ა.შ., არც ღირს დასაბუქდად“.

მაგრამ: რომ დაადგინო, უნდა არსებობდეს.

ორი პოეტი (მაგანათა საეურადღებოდ: ჭუმბურიძე პოეტებს ვეგულსხმოპ!) ერთსა და იმავეს განსხვავებულად ამბობს:

**ჩვენ სულ ორი რამე ვთქვი —
თამუნა და მამუკა**

(ჯანსუღ ჩარკვიანი)

**ჩვენს სახლს, ძვირფასო, სამი კარი აქვს,
სამი ფანჯარა:
მე,
შენ და ბავშვი.**

(შოთა ნიშნიანიძე)

მაგრამ ჩვენ ახლა ვახტანგ ჯავახიძის „ას ლექსზე“ ფიქრობთ: აი, როგორ ხატავს იგი გათენებას:

**მამლემმა დილა აკურთხეს,
ცოცხები მორჩნენ საქმეს,**

ალეკები ანიავებდნენ
ათას ქუჩას და სარკმელს.

შოთა ნიშნიანიძე დილას ასე აღწერს:

**ნისლი ზმორებით ადგა მინიდან
მოოქროვილი და მოვერცხლილი,
სარზე მამალმა ხმა ჩაინმინდა —
მზე გადაყლაპა თოხლო კვერცხვით.**

რით და როგორ უნდა განვასხვაოთ ორი პოეტის დიქცია და სტილური ხელრთვა? მეტაფორები აქ ვერ დავგეხმარებინ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ინდივიდუალური დიქციის დადგენას ვცდილობთ. შთაფარი ხმა! — ამბობს მუხრან მაჭავარიანი. მაგრამ ხმასაც ხომ ბევრი ელემენტი ქმნის — ლექსიცა, რიტმი, ინტონაცია...

**შენ სისხლო ჩემო,
სად არ დაღერილო,
შენ სად არ გზერედა
შავი ყორანი...**

— ეს მუხრანის ხმაა. შეუძლებელია, სხვისაში აგერიოს.

**მანეს იასამანთან და
მონეს იასამანთან
მზემ გოიას საქანელა
გაპკიდა და გამართა.**

— ეს ვახტანგ ჯავახიძის ხმაა. სხვისაში არც ის აგერევა. ერთ ლექსში ვახტანგ ჯავახიძე ამბობს:

**მე პირს არ ვიბან,
მე ერთხელ
გალაკტიონმა მაკოცა.**

გალაკტიონი რომ გაკოცებს, ეს ბედნიერებაც არის და უბედურებაც — ამის შემდეგ, განსხვავებულად თქმა ათასგზის ძნელია.

მაგრამ ნიჭიერება ამას არ უფროთხის. ვახტანგ ჯავახიძე ერთ ლექსს პირდაპირ ასე ასათურებს: „ქარი ქრს“ — არავითარი „პრეჟიული“, არც ეპიგრაფი (მაგალითად, ასეთი: „გალაკტიონის მოტივზე“ ან „გალასებურად“).

ეს დიდი რისკი და გაბედულებება, რასაც მხოლოდ ნიჭი თუ გაამართლებს.

ვახტანგ ჯავახიძის რისკი გაამართლებულია.

კი, სათაური და რეფრენი გალაკტიონისაა, მაგრამ მთლიანობაში, ლექსი ვახტანგ ჯავახიძისაა, მისეული „ხელრთვით“ შესრულებული:

**ვციელი მოზილურს,
რომელმაც მისამართს დაადო ყადაღა,
ავკრიფავ ნომერს და დავმარცვლავ:
სადა ხარ?
სადა ხარ?
სადა ხარ?**

პრიტიკა

ლექსია ხომ საკუთარი, რიტმიც და დიქციაც, თანდათან, მისული ხდება:

**ხმა მესმის:
ამინვა მარცხენა ვული და მარჯვენა ლავინი,
შენა ხარ, ნამდვილად შენა ხარ,
ოღონდაც სადა ხარ, არ ვციცი...**

აქ მაინც გალაკტიონი მოჩანს, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა. სხვა ლექსებში კი პოეტური ინდივიდუალურობა უფრო თვალსაჩინოა.

ვახტანგ ჯავახიძის „ხმას“, მის ინდივიდუალურ დიქციას, აღბათ, ისე არაფერი განაპირობებს, როგორც ორი ასობგერისგან შემდგარი კავშირი — და.

ვახტანგ ჯავახიძისათვის ის უფრო მეტია, ვიდრე გრამატიკული კატეგორია. აქ და-ს პოეტური სული აქვს მთაბერელი და ლექსის რიტმს, მელოდიას, ტონალობას განსაზღვრავს:

**ატმებთან და ნუშებთან და
წყაროსთან და ნაკადულთან —
გათუნდა და გაბრწყინდა და
გამწვანდა და გაზახუხულდა...**

იგივე აკაკი ვანერელია წერდა, რომ მწერალს ორი თვისება უნდა გამოარჩევდეს — მუსიკალურობა და მოშიზიველულობა. აქ ორივე თვისება თვალნათელია.

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ვახტანგ ჯავახიძე პატრიოტულ ლექსებს არ წერს.

ეს მცდარი შთაბეჭდილება იქნება — იმით გამოწვეული, რომ ის სამშობლოს სიყვარულსაც თავისებურად გამოხატავს — უფრო ირბადა, ვიდრე პირდაპირ და ლოზუნგურად. „გალაკტიონის ამბოხის“ კვალ აქაც იგრძნობა, მაგრამ ინდივიდუალურობაც მიღწეულია:

**და მე შემირცხვენია ბაღი სემირამიდის
და გზა იგი, რომელიც ქუთაისში არ მიდის.**

ერთ ლექსში ის ამბობს, რომ სრულიადაც არ სურს, აქებდნენ პალესტინაში ან აღიარებდნენ მალტაზე. მან იცის, რომ ტკივილი, რომელიც პოეტს დააქუს, უიარგმნელოა, მისი ნატვრა და სურვილიც ამ ცოდნის შესაბამისია:

**მე მირჩენია, დიდგორის
აღმართზე გავცე მეგობარს
და გზაზე ჩემი სტრიქონი
შვილივით შემომეგებოს;
და შილზე მეტად მომენდოს
მინის ყოველი მტკაველი,
არ დაიჯერო, პოეტო,
არ ითარგმნება ტკივილი...**

ეს მართლაც, განსხვავებული ხმა უმდიდრეს ქართულ პატრიოტულ ლირიკაში, ზოგიერთებს ირონიის საგნად რომ

გაუხდიათ (?) — ეროვნული მეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი გამოვლინება!

პატრიოტულ თემაზე ქილიკ ლმერთმა ამოროს, ისე კი ვახტანგ ჯავახიძე ირონიის ბრწყინვალე ოსტატია. არც შეეხება საკუთრივ ირონიულ-პაროდულ ნაკადს, ამ თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო და ჯეროვნად შეუსწავლელი პოეტი ერთია ჩვენში ამჟამად: ვახტანგ ჯავახიძე (ტარიელ ტანტურია).

ირონიაც ვახტანგ ჯავახიძის „ხმის“ ერთ-ერთი განსაზღვრელია, ოღონდ, ჯანსაღი და საპარტიოიანი ირონია. აი, მაგალითად, ასეთი:

**მუდამ ამაყად ექირა,
გამოსულს სადალაქოდან,
და მამულს ბევრჯერ შესწინა
თავი, რომელიც არ ჰქონდა...**

„მე ერთბელ გალაკტიონმა მაცოცა“. მე კი მგონია, რომ გალაკტიონმა ორჯერ აცოცა. მეორედ — შაშინ, როცა „უცნობი“ დანერა.

მამინ მას უთხრეს: ამიერიდან დაგიინყებენ როგორც პოეტს და დაგიმხსოვრებენ როგორც „უცნობის“ ავტორს. თითონ თვლის, რომ ეს წინასწარმეტყველება აუხდა. მე ასე არ ვუფიქრობ.

„უცნობი“ დიდებული წინვია, მაგრამ პოეტ ვახტანგ ჯავახიძეს ის მაინც ვერ დაგვივიწყებს.

ამას თუნდაც ის ლექსი დაგვიდასტურებს, იმავე „უცნობის“ P.S.-ად რომ „მიანერა“.

აქ ისეთი პოეტური ოსტატობით (დიქციით და ხელოვნებით!) დაელაპარკა გენიოს წინაპარს, რომ, აზრის სიღრმესთან ერთად, დიდ ემოციურ შთაბეჭდილებას მოაღწია.

მან თავისებურად მოუზოიფა გალაკტიონის მისი „დაფლეთილი სულის უნებლოე მონტაჟის“ გამო და უთხრა:

არ გაჯავრდე: უფრო მეტად, ფარდას აღარ გადაწენე.

ესეც უთხრა:

**შვილიშვილებს შევუნახავ. ათიოდ ნევატიცს,
მათი დროც დადგება და გამყლანდება გე ათიც.**

მასხადამე, ფარდის იქით, კიდევ ბევრი რამ იმალება. რაოდენ კეთილსინდისიერი და ზნეშალაი უნდა იყოს მწერალი, გალაკტიონზე ასეთი წიგნი რომ შექმნას და მაინც პატივბა სთხოვოს.

ვახტანგ ჯავახიძის ზნეკეთილობაზე ერთი ვარემოებაც მიგვანიშნებს, „უცნობის“ დანერის შემდეგ მას ონდავი ამბიციაც არ გასჩენია. პირიქით, ნოდარ ტაბიძეს ასე მიმართა: „გადადე ყველაფერი. სხვა საქმეს სხვებზე ვაჯავრებ, მაგრამ სხვები ვერ დანერენ გალაკტიონზე იმას, რისი დანერაც მხოლოდ შენ შეგიძლია“.

ამ შეძობლმა ძალიან გამახარა, თუცა მას მხოლოდ სანახევროდ ვეთანხმები. ბატონმა ნოდარმა მართლაც



ბრწყინვალე წიგნები (ერთ-ერთი ახლახან გამოცემა) შესძინა გლავაკტიონოლოგიას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „სხვა საქმესავე“ მის გარდა ვერაინ აკეთებს. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, კვლავ ვალად რჩება პუბლიცისტიკის ფინანსთა თორიის სახელმძღვანელოს გამოცემა, ზოგიერთებს დღეს ზედმეტი რომ ჰგონიათ. იმ ზოგიერთებს, ჟურნალისტიკას რომ ასწავლიან (?) და ჟურნალისტიკას და პუბლიცისტიკას ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებენ.

უშეცრემის და უგუნური რეფორმების დიდი ჩამთავრდება და ასეთი სახელმძღვანელოს საჭიროება კვლავ უმნავაევად დადგება.

„გლავაკტიონმა მაკოცა“.

გენიოსის უშუალო ამბორისგან თავდაღწევა ძალიან ძნელი იყო და ეს მხოლოდ რჩეულებმა მოახერხეს.

ეს მართლაც უნიკალური თაობაა (მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვყვით): გივი გვექვიკორი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ქანტარია, ოთარ ქილაძე, ვახტანგ ჯავახიძე...

სხვათა შორის, ამითგან მხოლოდ ვახტანგ ჯავახიძეს არა აქვს რუსთაველის პრემია.

როცა ამაზე ვფიქრობ, ყოველთვის გივი ძნელადის ხუმრობა მახსენდება, ერთ-ერთი პროზაიკოსის მისამართით თქმული — რუსთაველის პრემია კი მიიღო, მაგრამ ლაურეატი მაინც ვერ გახდაო.

ბატონ ვახტანგ ჯავახიძეზე პირიქით ითქმის — ვისაც პოეზიისა რაიმე გავიგება, ყველასთვის ლაურეატია.

ხოლო თუ მაინც არსებობს ვინმე, ვინც მისი ფესვი არ იცის, მისსავე რჩევას გაეახსენებ:

და თუ გვაპატარავები, შეაბარუნე ჭოგრიტი.

ბედნიერებაა, რომ ვახტანგ ჯავახიძის პოეზიას შარმონიულად ერწყმის და ამშვენებს მისი პიროვნება — სავეც ქართული პატრიონების, მისი სუფთა ბიოგრაფია.

ერთგან ის ნერს:

სათო არ უნდა ნაიფე — ვიცი, მაგრამ არ ვიცი — სათო ნაიფე.

სხვა ლექსში კი დაბეჯითებით ამბობს:

სუსტი ვარ, მაგრამ მაინც არ ნავალ იქით, საითაც ქარი უბერავს.

მამასადამე, მთავარი იცის! ყოველთვის იცოდა! და ვინც ეს იცის, სუსტი კი არა, ძალიან ძლიერია.

დღესაც, მერვე ათეულში გადამდგარი, იმ ბიჭს მაგონებს, რომელმაც

შეირბინა ბაზარში, სამი მტრადი იყიდა, გამოვიდა ბაზრიდან და სამივე გაუშვა.

კი არ მაგონებს, სწორედ ის ბიჭია.

ნინო ჩხიკვივილი

ზღაპრები
ყმანვილთათვის და
არა მხოლოდ
ათითვის...

გურამ პეტრიაშვილი ქართულ საბავშვო მწერლობაში ის მეზღაპრეა, რომელიც სრულიად ორიგინალური შემოქმედებით დამკვიდრდა. აგურ უკვე მერამდენე თაობაა, გამორჩეული ინტერესითა და ხალისით ეცნობა მის ზღაპრებს.

მწერალი ხალხური თუ კლასიკური მწერლობისთვის უკვე კარგად ნაცადი, გაკავალდე გზას თავს ანებებს და ცდილობს ქართულ ლიტერატურაში შემოიტანოს უფრო ვეროპული მწერლობისთვის დამახასიათებელი სტილი. ალბათ ამიტომაც მისი შემოქმედების გაცნობისას აუცილებლად მოგვაგონდება ისეთი ცნობილი საბავშვო მწერლები როგორებიც არიან, თუნდაც ანდრესენი ან ჯანნი როდარი.

ახლა ხელთ მაქვს მისი რამდენიმე კრებული — „პატარა ქალაქის ზღაპრები“ (1975); „მთავარი განახლებული ჩიტის

ზღაპრები“ (1982) და მისი პატარა, დავარქვათ ასე, საბავშვო დეტექტივი „ელო, ბრუნო, სპილო, რარუ და სხვები“ (1984);

შევეცადე იმ კრებულთა მიმოხილვასა და აქვე შევნიშნავ კიდევ: ეს ზღაპრები მხოლოდ ყმანვილთათვის დაწერილი არ გახლავთ. ისინი არანაკლებ საინტერესოა და საგულისხმა ჩვენთვის, უფროსთათვის, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც, სამწუხაროდ, გებრდებიან, რადგან აღარ ვოცნებობთ. გახსოვთ, რას ნერს ერთგან რეზო ინანიშვილი: აღარ ვოცნებობთ, ჩვენს გონება მხოლოდ ჩვენ მიერ გამოვლილი დღეების შეფასებით არის დაკავებული, იწყება ნამდვილი საბეჭუო!

ასე რომ, ყველა ის მკითხველი, რომელიც კეთილ მეზღაპრეს — გურამ პეტრიაშვილს — დაუპყრებს, მისი თხზულებების მიზანგან რიტმს აპყვება და გაითავისებს, შეინარჩუნებს ოცნებას, კვლავ დაიბრუნებს გულწრფელობას, იმ უშუალობას, რომელიც მხოლოდ ბავშვებისთვისაა დამახასიათებელი, ამით კი უფლისკენ მიმავალ გზას გაიცავთ — ალბათ, ეს გახლავთ ის საიდუმლო, რომელიც ჩადებულია საერთაოდ, ზღაპარში, საყმანვილო ლიტერატურაში და მით უფრო ქართულში, რადგანაც დარწმუნებული ვარ, ყოველ ნამდვილ ქართველ მწერალში გენეტურაოდ კოდირებულია ლევისი რწმენა.

ოცნება თუ სინამდვილე, სულიერება თუ მატერიალიზმი, ხელოვნება თუ პრაგმატიკა? სწორედ ეს პრობლემა დასამუღი „დიდ ბეზე მცხოვრები კაცუნების ამბავში“.



„ცხოვრებაში ასეა, კაცს სიღამაზე რომ აღარ ატკობს და მის მძევნებას ვეღარ გრძნობს, მსჯელობას იწყებს.“ — შენშენას ატობი და ბევრი ისეთი მოვლენის ახსნას ცდილობს, რაზეც ხშირად ჩაფიქრდება ბავშვი, რაც მხოლოდ მისთვისაა გასაგები და მისაღები.

„სენიბა მოყვარული კაცის ამბავში“ ქოლგების ნარმოზობა მოყოლილი და ისიცაა ნათქვამი, რომ სწორედ ყვავილები იყვნენ ამქვეყნად პირველი ქოლგები. ამ უცნაურ ქალაქშივე აღმოცენდა ცისფერი ყვავილი (და აქვე ასოციაციის ნაკადით მოგვაგონდება ნოვალისისა თუ მეტერლინკის ლურჯი და ცისფერი), სიმბოლო ოცნებისა, იმ ოცნებისა, ზემოთ რომ ვახსენეთ.

ცისფერი ყვავილი, იისფერი ღრუბლები, ჩრდილოფერა კაცი — ფერთა გამას, ყოველ ფერს, ერთი ნაკითხვით თითქმის უშინშველო დეტალსაც კი თავისი დატვირთვა აქვს გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებში. აქ არაფერია ზედმეტი ან გადაჭარბებული. ამ შემთხვევაში თითქმის მათემატიკური აღოთია გათვლილი, სად დასვას ნერტილი და სად დასარულოს ზღაპარი. რიტმული პროზისთვის დანახასიათებელ ხმოვანებასაც ხშირად ნაქანდაცობი და ხანდახან თუკი ამას ფრანსი გამართვა მოითხოვს, თანამედროვე ქართულისთვის აუცილებელი სინტაქსური ნყობაც დარღვეულია, მაგრამ რიტმულ პროზაში ეს მაინცდამაინც დიდი შეცდომა არ გახლავთ, და ის ნეის, რომ ქართულ ზმნას ბოლოში უყვარს ყოფნა, ატობის სულაც არ მოქვავს. ამ მშრივადაც საინტერესო ავტორია გურამ პეტრიაშვილი.

და კიდევ, ის სქემა და ის პირობითი ნახაზი, რაზეც ავტორს მწერალი თავის ტექსტს, სულაც არ არის თვალმისაცემი და გამაღიზიანებელი, არც პატარა მკითხველისა და არც იმ კირკიტა უფროსებისთვის, რომლებიც უნებურად მუდამ ეძებენ ნაწარმოებებში მათი შემქმნისთვის აუცილებელ სქემებსა თუ მონახაზს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც რომ ამ ზღაპრებში ვერ ნახავთ ისეთ თემებს, რომლებიც უფროსის, მისთვისადამიანებს არ ანუხებდეს, უფრო მეტიც, ხშირად ისეთი შობაქმედებაც იქნება, რომ ეს ყველაფერი არა უმცროსკლასებელია, არამედ ჩვენთვისაა დანერვილი და მხოლოდ კონსპირაციის მიზნით უცვლის მწერალი ადრესატს. ამ ტიპის ზღაპრები ბევრი აქვს გურამ პეტრიაშვილს. გავიხსენოთ თუნდაც „ამაზივი ნალღიანი ქლოუნისა“. ვნახოთ როგორ იწყებს თხრობას:


„ერთხელ პატარა ქალაქს მეტად უცნაური სენი შეეყარა:

ქალაქის მცხოვრებთ ჩემოდნები მუყუყარდათ ძალიან... სულ ჩემოდნებს დასტრიალდნენ მათი ფიქრები.

ბნიდან გასვლისას ჩემოდნით ხელში დიდ სარკვესთან მივიდოდნენ და ჩაიხედავდნენ. მიტრიალდნოდნენ, მოტრიალდნოდნენ... არ გვგონოთ, თავის სახეს აცქერდებოდნენ, არა, ამონებდნენ, ჩემოდანი ხომ ლამაზად გამოიყურებაო. მერე ასწევდნენ თავს და ამაყად გადიოდნენ ქუჩაში“.

ჩემოდნის სიმბოლოში ბევრი რამ შეიძლება მოვიპოროთ, მკითხველთა ნაწილისთვის და, მათ შორის, ალბათ, თვითონ ატობისთვისაც, მძიმე ჩემოდანი გადაჭარბებული სიმდიდრის სინონიმია, („ხოჯათვის ცოდათა სიჭარბის მამხილებელი“) ან სულაც ამქვეყნური საზრუნავით დაგროვილი დარღისა და ვარაზის დამტკევი.

ასეთ ქვეყანაში მხოლოდ ერთი კაცია გამორჩეული, ჩემოდნის გარეშე დაღის, პალტოს საყვლო ამოწვევია, ხელები ჯიბეებში ჩაუნყვია და ნალღიანად მიუყვება ქუჩას — ასეთი კაცი უფროსი თაობის მკითხველისთვის თუ ნამდვილად მოეხება, თურმე ნუ იტყვით, პატარაებისთვის კოლონი, პიროს მემკვიდრე ყოფილა, საყვარელი და ახლომელი ადამიანი. აი, თურმე რით ვახსენავდებოან პატარები უფროსებისგან: ოცნება, რიტმიც პატარებისთვის ასე იოლია, უფროსებისთვის დიდი ხნის გადავიწყებული რამ გახლავთ და ეს გამზ-



„ელე, ბრუნო, სილო რარე და ხეებში“ ილუსტრაცია ნანა სამინიშვილისა

დარა მიზნი ჩვენი უსიარული ცხოვრებისა.

გავისხენოთ თუნდაც სხვა ზღაპრიდან პეგულა, რომელსაც ცალი ფრთა მანეთიანისა აქვს და მის დატყარს ძალიან ბევრი ლამობს, რათა თავისი ფულადი დანახოვი კიდევ ერთი მანეთით გაზარდონ და კიდევ სხვა ასეთი ბევრი პეგულა ჩაიგდონ ხელში. ამ ზღაპრის მეშვეობით ისეთი ადამიანები არიან მხილებულნი, რომელთაც ძალიან ძლიერი, ავი ვნება სტანჯავთ, ვნება იმისა, რომ მაგანთა თვალში მყოფების სახელი დარქვან, სინამდვილეში კი მხოლოდ სიმდიდრის მოხვეჭაზე ზრუნავენ. არადა, ისიც ხომ რეალობაა, რომ მატერიალური უზრუნველყოფის ფასად ოცნებები ანადრისს „დამინდებია“.

საერთოდ, გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებში კიდევ ერთ ტენდენციას შეიძლება საუბარო: მის ტექსტებში ტრადიციული, ხალხური თუ კლასიკური, ზღაპრებისგან განსხვავებით — დევებს, ჯადოქრებს, ზღაპრულ ვახვარედინებს, ღმერთქალებს, ქაჯებსა თუ ალქაჯებს ვერსად ნავაწყენებოთ.



კრიტიკა

მათ ნაცვლად მწერალი სულ სხვა რეალობას გვთავაზობს, ისეთს, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობასთანაა დაკავშირებული, რაც, ერთი მხრივ, თითქოს ზღაპრის თვმა და განსჯის საგანი არ უნდა გახდეს, მაგრამ ხდება კი... და როგორ, რანაირად ახერხებს ამას მწვლამერი?

წელან პეპლები, ცისარტყვლები, იოსებური ღრუბლები, ცისფერი ნათება, კოლგებამ და დაქვეყნული ყვავილები გახსენით, ამჯერად ამ ჩამონათვალს პანა ჩიტუნებიც უნდა დაეუმატათ. მათ შორის ერთი უცნაური ბელურა, რომელიც მერე უღამაზეს ჩიტად იქცევა.

საერთოდ, ეს ჩვეულებრივი პეპლები, ჩიტუნები, ღრუბლები, პანანინა ბეჟემოტი თუ მფრინავი ვეშაპი, მწვლამერის სამყაროში ფადოსნურ ძალას იძენს. პრაგმატული თვალით დანახულ ანთმალიურ მოვლენებში მწერალს კანონზომიერების დანახვა სურს და ხანდახან ისეთ რამესაც აღმოაჩენს, რომ პირდაპირ შეგებურება ან გაგვიყრდნობს, ეს ყველაფერი ხომ ჩემს თვალწინ ხდება და რატომ მე ვერ შევამჩნიე?!

ამის სალოსტრაციოდ კიდევ ერთი ზღაპარი მინდა შეგახსენოთ. ეს ზღაპარი იმ კრებულშია დასტამებული „მთავარი განათებული ჩიტის ზღაპრები“ რომ ეწოდება, ეს არის ერთი მუსიკოსის აღზვევლისა და დაცემის ამბავი. ზღაპარი სიუჟეტურად ისეა აწყობილი, რომ ევერცერთ დეტალს ვერ ამოიღებ და ვერც ჩაამატებ. თხრობა ისეთი მინიგანი რიტმით ვითარდება და ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს მართლაც კლასიკური მუსიკის რომელიმე ნიმუშს ისმენ. ფიქრობ, ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია ამ ზღაპრის კითხვისას, და კიდევ ერთი გარემოება — გურამ პეტრიანიშვილის ზღაპრის ფსიქოპიები ჩვენს შორის მოსაირადენი და მინც... არაორდინარული ადამიანები არიან. ისეთები, რომლებიც საკუთარ იდეას სიცოცხლის ფასადაც კი ეწირებიან და ამით ემიჯნებიან საზოგადოების დანარჩენ წევრებს, რადგან გარშემო მყოფნი, როგორც წესი, ისეთ გულგრილობას იჩენენ მათდამი, რომ მათი ფიზიკური არსებობა ასეთ გარემოში თითქმის წარმოუდგენელია.

კვლავ იმ უცნაურ მუსიკოსს მინდა მივხერხედეთ. მწერალს სურს, რომ ბავშვები ისეთ ფაქიზ საკითხზე ჩააფიქროს, როგორცაა მშობლიური ფესვები და გარემო. ამ შემთხვევაში მშობლიურ ფესვებზე და თუ ნიადაგზე იფიქროს მის პიანინო, რომელზეც დადამისცე უკორედა და რომლის კლავიშებზეც დაიჭრებოდა ხოლმე პეპლები. მუსიკოსმა საკუთარი პიანინო, თავისი პეტარა მყუდრო საკონცერტო გარემო პომპეზურ ატმოსფეროსა და ძვირვან ინსტრუმენტზე გადაცვალა და ამიტომაც დაიასჯა: დაკარგა ინდივიდუალურობა, უფრო მეტიც, მან, როგორც გამორეკლამა და ცნობილმა პიანისტმა, კარიერა დაასრულა, თუმცა კი ამ ფიასკოთი მის ცხოვრებამ დაიწყო ახალი ეტაპი — დაბრუნება საკუთარ ფესვებთან. ამ შემთხვევაში კვლავ ასოციაციური ნაკადით უნებურად გაიზარდა რაფიელ ერისთავის ცნობილი ლექსი: არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

აქვე სიყვარულის თემატიკაზეც მინდა შევიჩინო. ვაგვიანის სიყვარულის სიმონიძის მოხმობა ბუნებრივია, რადგან განსაკუთრებულ მიზეზებზე არ შეიძლება ჩაეთვალოს მწერალი, მაგრამ აქ საინტერესოა ერთი გარემოება, თუ როგორი სიყვარულის შესაძლებელია მწვლამერი ჩვეულებრივი დამინებული გრძნობისა თუ იმ სიყ-

ვარულისა, რომელიც შეიძლება ლეგენდადაც კი იქცეს?! რა თქმა უნდა, მაღალი იდეალების მქონე სიყვარულის მომხრეა. გაეცხენოთ „ყვავილი“. ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ის უცნაური კაცია, რომელიც არასტებულ უცხო ყავილს ეძებს. ეტყობა, ნამდვილი სიყვარული მათთვის ვაგივალს, რადგან მათი უცხო, აღსიფერ ყვავილს, იმ ყვავილს, რომლის არსებობა შენ თუ არ გამოიგონე და შენვე თუ არ იხედავ, ვერ გაიხატება. ამ ზღაპარში ორი სანყისი — ქალური და მამაკაცური — გრძნობის ერთმანეთს და იმარჯვენს მამაკაცური. ანუ ამ შემთხვევაში მამაკაცია ამ იდეალის — იმ დიდი სიყვარულის მატარებელი, რომლისთვისაც მსხვერპლმწერება ნამდვილად ღირს. თუ არ მოხდა მსხვერპლმწერება, მაშინ სიყვარული გაქრება. ასეთია ავტორის ჩანაფიქრი. ეს მისია, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ მამაკაცს ეკისრება.

შეგახსენებთ ერთ ეპიზოდს და მამაკაცის დიალოგებს:

- სულ მალე მოვიტან ყვავილს... — ჩაილაპარაკა და ნასვლა დააპირა.
- ქალმა ველარ მოითინა, ხელი ჩასჭიდა, შემოაბრუნა და მიახალა გამარბულმა:
- არ არსებობს ეს მენი ყვავილი, არა რა უნდა ყვავილს ამ თოვლსა და ყინვამი.
- მამ არაა ყვავილი? — კითხვა უცებ გაფიქრებულმა კაცმა.

— არ არის და არცა ყოფილა, შენ ვერცხედა მხოლოდ! — უპასუხა ქალმა, ხელი უშვა და სწრაფად გამოიქცა.

ამ ყველაფერზე გურამ პეტრიანიშვილი ძალიან ფაქიზად, ტაქტის გრძნობით ესაუბრება ყმანთელს და ამითაც საუკეთესო მაგალითს აძლევს ბევრ მის კოლეგას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მწერლებს.

და რაკ მწერლის ტაქტი ვახსენე, მინდა ერთ ხერხზეც შევაჩერო თქვენი ყურადღება — იმისთვის, რომ მკითხველთან უშუალო ურთიერთობა შეინარჩუნოს, ხშირად ინიციატივას მას გადასცემს და თანაგეტორად იხდის. თითქოს დაწყებულ სათქმელს ბოლომდე არ აწბობს და ამით მკითხველის ჩათრევას ცდილობს შემოქმედებით პროცესში: გაეცხენოთ ერთი ასეთი მაგალითი: (ზღაპარი — „კაცი და ქალი“). თუ როგორ უქცერდნენ ქალიშვილს მოხუცები და რას გრძობდნენ, ამას გადმოვცემას მე ვერ შევცვდივით, უნდა მამატოთი, რადგან ძალზედ ძნელია...“ მწერსუნეთ, ეს გამოწვევა განსაკუთრებულ გამოძახილს შეიძლება პატივად მკითხველებში და აღბათ ისინიც მიეღო მინდომებით შეეცვდივინ, „ნაშველონ“ მწვლამერი.

სხვათა შორის, არც ირონია და სარკაზმი უცხო გურამ პეტრიანიშვილის სახანეუო პოზისთვის. გაეცხენოთ „მღებავი და გაუცინარი კაცი“. ვნახოთ როგორ ახასიათებს გაუცინარ თქვია: ამიტომ არ იციროდა, რომ თავის თავს ბრძენად იკლავდა და ფიქრობდა, ბრძენი ადამიანი მუდამ სერიოზული უნდა იყოს.

საკვირველი მის იყო, რომ ქალკის მცხოვრებნიც ბრძენად მიიჩნევენ ამ კაცს, თუმცა ერთი სიტყვაც არ გაეგოთ მისგან. ეტყობა ბევრი ფიქრობს, ვინც სერიოზული სახით დადის, ის აუცილებლად ჭკვიანიაო.“

კიდევ ერთ მაგალითს მოვიშინო: „ამ ქალაქში ერთი დიდად ეშმაკი კაცი ცხოვრობდა. ეს კაცი პოეტო იყო. მისი ეშმაკობა ის იყო, რომ ლექსებს ყოველთვის იმასვე წერდა, რასზეც იმ წუთში იყო მოთქმამოთქმა.“



ეტიკობა ყველას უხარია, როცა გარითმულს ნაიკითხავს, რაზეც ყოველდღე თვითონაც საუბრობს ნაცნობებთან, ამიტომაც იმ პოეტის ლექსებს ყველა დიდი ინტერესით კითხულობდა.

გარდა ამ პოეტისა და ფილოსოფოსისა, ვაიმეცნიერნი და მწიგნობარნიც ჰყავს ირონიითა და სარკაზმით „შემოკობილი“, ამ პერსონაჟს მცოდნე უჭედა, რომელიც მხოლოდ ნიგნების სამყაროში ცხოვრობს და მისი ცოდნა ცოტა არ იყოს კომიკურად გამოიყურება, მაშინ, როცა ცხოვრებისეული სიბრძნის ახსნას სთხოვს ჩვენი მეზღაპრე, მას ყოველი მოუღელისა და უფაქიზესი ნიუანსების ახსნა მხოლოდ ნიგნებიდან ამოკითხული მზა რეცეპტით თუ წარმოუდგენია. არადა, არსებობს კიდევ სხვა რამ გრძნობადი, სულიერი სამყარო, სადაც ბევრი რამ მხოლოდ ინტუიციური ნდომით თუ აიხსნება, ალბათ, ამიტომაც სტოვეებს ავტორი ამ მწიგნობარს თავისი ნიგნების ზღადაპი ჩაუღოლს და მხოლოდ შემოქმედის ალღოთი ცდილობს ჩანადვებს მწიგნობრისათვის აუხსნას და გაუგებარს მოუღუნას;

„მცოდნე ალარსად ჩანდა, მხოლოდ ნიგნების ვეება გროვა იდგა ოთახში.

— არ შეგეზინდეთ, ახლავ გიმეცლით, — დაუფახვე და ნიგნების გადმოლაგებას შეუდევით.

— თუ შეუნახებთ, მე თითონ... — მოისმა მკაცრი ხმა და მივხვდით: მცოდნეს სიამოვნებად ნიგნები გროვად რომ ეყარა ზღე; ალბათ წარმოადგინა, ცოდნის ოკეანეში ვარ ჩაყურყურდასაგებულო.“

ასეთი და მსგავსი მავალითების მოხზობა ამ ტექსტებიდან რამდენადაა შესაძლებელი, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ დაბეჭდილებით გაიმეოროს, რაც წელზე ვახსენეთ — გურამ პეტრიაშვილის ზღაპრები მხოლოდ ყმანელიათვის არაა დამოკიდებული, იქნებ ასეთ დეტალებს ვერც კი ნაწილობრივ განსჯით, მაგრამ მათში მეტი რამ სასწინოდ, დიდებისთვის არის ვანუთენილი და კიდევ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — ცენზურის თვალის ასახვევად.

ჩვენს საუბრებსა და ნერვულში უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ, როგორ, რანაირად ცდილობს და ახერხებს საბავშვო მწერლობა გაიყვანოს ფონს, მაშინ როცა მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ თემატიკას ირჩევს.

ასეთ ნაწარმოებთა ნუსხიდან დავასახელოთ კიდევ რამდენიმე საბავშვო მწერლის რამდენიმე ცნობილი ნაწარმოები, მაგალითად, გივი ქიქინაძის „ცრუ მზისა“, ოტია იოსელიანის „მზის ზღაპარი“, არჩილ სულაკაურის „საბა-მურას თავგადასავალი“ თუ „ცისფერი ირემი“, გუგული ტრაგონიძის რამდენიმე პოპულარული ზღაპარი და სხვები და სხვები. და თუ ამ თემაზე განვგებრებთ საუბარს შეიძლება დავასახელოთ საბავშვო დეტექტივი „ელრი, ბრუნო, სპილო რარუ და სხვები.“

ეს თხზულება ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება მოახერხოს მწერალმა, რომ ბავშვებისთვის საკითხავი, უფროსებისთვისაც იმგვარად საინტერესო გამოდგეს, ვინცონს და ნიგნს ბოლო გვერდამდე ჩაიკითხოს.

აქაც, ამ შემთხვევაშიც, ყველა პერსონაჟი განსაკუთრებული მისიითაა ემარჯული, ნაწარმოების ფინალში სიკეთე პორობებაზე იმარჯვებს. უარყოფითი პერსონაჟებიც კი საბოლოოდ ისწავლან ქუჩას და ბევრიც სასიკეთოდ გაბნისწრდება. ახდენად, ნაწარმოების ყველა სუსტიხავე, კალიოცა და პორობტაც, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელია. საინტერესოა კიდევ ერთი კანონ-

ზომირება — კეთილ პერსონაჟებს რიცხობრივად ბორბტი, უარყოფითი პერსონაჟები სჭარბობს, ისევე, როგორც რეალობაში, მაგრამ ზღაპრის მთავარი პრინციპიდან გამომდინარე თუ ვიმეცლებთ, ბოლოსდაბოლოს, სიკეთე იმარჯვებს და საბოლოოდ ამარცხებს ბორბტს. თუმცა კი ბორბტების დათმობა არც ისე იოლია, მით უფრო მაშინ, როცა ამ საზოგადოების უმეტესობა ასეთი მორალის ცხოვრობს: „დღეს ეს იმღერე, ხვალ ის იმღერე, ამჟამად აპყევი, დამჟოლს დაჟყევიო“. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი ზოოპარკის დირექტორი ბიკენტია. ბედავთ, სახელსაც როგორ არჩევს მწერალი და ამაშიც ერთგვარ ირონიასა და სარკაზმს დებს, ასე რომ, ამ სახელიდან გამომდინარე თუ ვიმეცლებთ, იგი ერთი პატარა, კეთილი, მაგრამ უსუსური, მშობარა ფუნქციონერია. ამქვეყნიური კეთილდღეობის დათმობაც ქანახებ, მაგრამ ამავე დროს კეთილ მეგობრებად მოაქვს თავი. თუმცა კი ასეთი გაურკვეველი პოზიციის გამო, ასეთი პიროვნებებთან ურთიერთობისას გარკვეული სიფრთხილე მაინც გვმართებს.

გავისხენით მისი და პატარა ელის დიალოგი: „— მართალს გეტყვით, მარტო ის კი არ მაფარდებს, რომ ზოოპარკს ცუდი დირექტორი ეყოლება, არ მინდა, რომ მე დაქარგო დირექტორობა.

— დირექტორობა გიყვართ? — გაუკვირდა ელის ასეთი გულაბლიობა. — რატომ?

— იმიტომ რომ ქამა მიყვარს ძალიან.

— ქამა?

— ჰო, თანაც ნაირ-ნაირის, ჩემს ცხოველებს საყვარელად ვიყვებო. ყველა საჭმელს, ვიდრე იმათ მისცემს, მე ესინჯავ. ამიტომ მინდა დირექტორობა.“ ასეთია მისი აღსარება და ამიტომაც საზოგადოების ასეთი წევრები, ვგონებ, უფრო საშიში არიან, ვიდრე, გამოკვეთილად ბორბტი ადამიანები.

ამ ტექსტის კითხვისას იოლად მოხდებოდა მწერლის ჩანაფიქრს — ყველა ის ადამიანი, რომელიც სიკეთეს იცავს, ან ხელოვანია, ან კიდევ ხელოვნებაზე შეყვარებული მოცინებე, ჩვენი მეზღაპრეც, თავისი საუკეთესო პერსონაჟებითურთ, სწორად ან ხელოვანთა და სიკეთის დამცველ ადამიანთა გვერდითაა (ეს პერსონაჟები ყველაზე უბრალო, უწინარი ადამიანებიც კი — იქნება ეს ზოოპარკის დარაჯი თუ სატვირთო მანქანის მძღოლი). ამ ადამიანებს ერთი იდეა აერთიანებთ, გადაარჩინონ სპილო, რომლის შესახებ უმეტეს ოინას ეტყის ბუნდოანი ელაი.

აქაც, ამ საბავშვო ნიღბექტივში, მწერლის ენა ლაკონურია და ტუნწი. რატომღაც პროზისთვის დამახასიათებელი სტილური თავისებურებებით გამოირჩევა. გარდა ამისა, მწერალი ხშირად ახასიათებს მოულოდნელი ლირიკული ჩართვებით, რომელიც მკითხველს სამშინველს უფაქიზებს, და ვის-ვის, ის დღეს ჩვენს პატარა მკითხველს აუცილებლად სჭირდება, ჩვენს, უფროსი თაობის მკითხველზე, რომ არაფერი ვთქვათ.

დაიხ, ასეა, ქართული საბავშვო მწერლობა ბათალი-ბიდანვე წერათინდა ყმანდობა სულდებს, რათა ისინი სიმართლის შესადაგებელი და თავისუფლების მოყვარენი გაზრდილიყვნენ.

ასე იყო ოდითგანვე და, იმედია, ასევე გაგრძელდება მომავალშიც, მთავარა, ჩვენი პატარა მკითხველები ყველა მიგახედოთ ნიგნსკენ, რათა ადვილობა ცხოვრებისეულ სინამდვილესა და სირთულეებს მომზადებულნი შეხვდნენ.

მაკა ჯოხაძე

დიდი ადამიანები

*

როცა მონატრება იწყება...

ბავშვობიდან მოყოლებული არცერთი ნუგბარი თავისი პოპმუსიკალური ზემოქმედებითა და ოდნავ შებრუნულ ფენოვან მღვიმეებში შეცურებული უგემრიელესი კრემით ისე არ მიზიდავდა და ამაღლებულ გუნებაზე ისე არ მაყენებდა, როგორც ნამცხვარი „ნაპოლეონი“. ერთი შეხედვით დაუდევარი, მარტივი ფორმის მქონე ეს უჩაპირო კულინარიული შედევრი ალბათ ბონაპარტეთა სახაბლის კარზე დიდი პატივით სარგებლობდა... ვინ იცის რომელი მოგებულ იმდენ უკვე მითად ქვეულ და შინამორუნებულ „მსოფლიო სულის“ მატარებელ „პატარა კაცს“ დალილობა სწორედ ამ ნამცხვრის სურნელზე ამ მოუხსნა და მარადიული გზებიდან ნამოყოლილი სასტიკი ხილვები ოჯახური მყუდროების ნამიერი შეტკობით დაუამა. მაგრამ უნდა გამოვტყდე, არც ადრე ბავშვობაში და არც უკვე დაქვლებულს ამ ნამცხვრის მირთმევისას ბონაპარტე არასოდეს გამხსენებია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემს შემცირებაში ეს სიმბოლიკა არ შედგა.

სამაგიეროდ, პრეზიდენტგანდევნილი ოთხმოცდაათიანი წლების ჩანყვდიადებულ, დამშეული თბილისის მოსულიერება სცაადეს ჯადოქარმა დიასახლისებმა, როცა უფქვილ-უშაქრო-უცხიმოდ შექმნილ ბისკვიტს მაშინდელი პრემიერმინისტრის გვარი უწოდეს სახელიად. ეს უკვე აშკარა სიმბოლო იყო იმისა, რომ დეკარესიულ ფორაქში ჩარჩენილ ქალაქს ჯერ კიდევ მქონდა ოემორის თავი, თუნდაც ეს იუმორი იმ ნამცხვარით შავი ფერისა ყოფილიყო.

ცხოვრებას უყვარს მხედართმთავრების, პრემიერების, პრეზიდენტების ასეთი უცნაური დანყვილებები და, როგორც კულისებში ეპოქის ინტრიგები, სქოლოში ისე ჩაატეს თავისი პანია სკერციტები.

ქართველი ისტორიკოსი მერაბ კალანდაძე კი ყოველგვარი „სკერცოს“ გარეშე იკვლევს ნაპოლეონის სახეს ქართულ ლიტერატურაში. სწორედ ამის შედეგია მისი

მშვენიერი ნერილი „აუსტერლიცის შვის ჩუმი სხივი“ („ჩენი მწერლობა“, 2009, 3), რომლის თემაც გახლავთ ნაპოლეონი ანა კალანდაძის შემოქმედებაში. თითქმის არ დარჩენილა მსოფლიოს არცერთი ქვეყანა, რომლის დიდი და პირველხარისხოვანი მწერლები ნაპოლეონის თემას არ შეუბოძლენ. არც ქართული მწერლობაა ამ მხრივ გამონაკლისი.

ჩვენში ნაპოლეონით დაინტერესებასა და გატაცებას თავისი ტრადიცია აქვს და მის სათავესთან, როგორც მერაბ კალანდაძე წერს: „რომანტიზმის კორიფე ნიკოლოზ ბარათაშვილი დგას“. იმასაც მართებულად შენიშნავს, რომ ქართულ მწერლობაში აშკარად დომინირებს ბონაპარტისეული ტენდენცია.

ამ დაკვირვების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ზუგდიდის დადარსებულ სასახლეში ნაპოლეონის ნიღაბს დღემდე რუდუნებით ინახავენ, ხოლო ჩვენს სასიკაფულო მამულიშვილს ელიზბარ ერისთავს იმპერატორის დიდი პორტრეტი თავის საშუალო ოთახში ეკიდა.

მერაბ კალანდაძე განიხილავს რა ანა კალანდაძის ნამ ლექსს — „ნაპოლეონის ნიღაბი აუსტერლიცის მუზეუმში“, აქ ცოცხალ ყვავილებს ადგენს“ და „ო, იქ ცქეკვება ნაპოლეონი“.

თავისებურ ნაპოლეონიადად მიიჩნევს. გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს ლექსები შექმნილია ამ ისტორიული ადგილების მონახულების შედეგად გაჩენილი მთაბჭუძელებებით.

ანამ რომ ნამდვილად ნახა ეს ისტორიული ადგილები, როდესაც სამოცდაათიან წლებში (1972 წელს) საზოგადოება „ცოდნისა“ და მისი მაშინდელი ხელმძღვანელის მონადინებით ევროპის გარშემო იმოგზაურა, ეს მე ანას რაძალა, მისი ძმის მუხლემ, ქალბატონმა თინა ყანდარელმა მიაბინა.

სწორედ ამ ქალბატონზე მინდა ორიოდ სიტყვის თქმა.

ამ რამდენიმე დღის წინ ქალბატონმა თინამ დამირეკა და მერაბ კალანდაძის ნერილზე ჩამომიგდო სიტყვა. მკითხა, თუ იცნობ, რა ხნის კაციაო. მადლიერი და ცოტათი გაოცებულიც იყო, რა პარკია, რომ დიანახა და როგორ მიხვდა, ანა რომ ასე იყო გატაცებული და შეყვარებული ნაპოლეონზეო.

ქალბატონ თინას ისე უთრთოდა ხმა, მშვიდი ზღვის ზედაპირს ოდნავ რომ ნაშოშლის ნიავი.

რატომაც ბიჭვილთის სანაპიროზე შებინდებისას მოსიერიან ანა დამიხდა თვალიწინი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მეზობლებიც ვიყავით და არაერთჯერ მისწინდა ბედნიერება ანას მყდური და საოცარ ბონისა სალონიც გულთიად საუბარში გაგვეტარებინა, ნაპოლეონი ჩემთან არასოდეს უხსენებია.



ანა კალანდაძე და თინა ყანდარელი



— მაკა, გახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ, ანა რომ გაქურდვს? — მკითხა უცებ თინა ყანდავრელმა.

რა დამაფიქრებდა. ის შეგრძნებაც კი მახსოვს, იმ წამებში რომ გამიჩინდა და გავიფიქრე:

„სრული დეკადანსი, ნამდვილი თეატრალიზება“.

ჩემს რაუგზობისდროინდელ თილისში დიდი პოეტის კი არა, ჩვეულებრივი ექიმის ბინის გატეხვა ითვლებოდა და დიდ სირცხვილად. არც ტეხავდნენ „კანონიერები“.

ქალბატონმა თინამ გააკრძალა: მაშინ წაიღეს ახალ-თახალი ძვირფასი იაპონური ტელევიზორი, ანას ოქროს-სამაგურიათი ძველი საათი, გარკვეული თანხა და პარიზიდან ჩამოტანილი ნაპოლეონის პატარა, მუქი ნაცრის-ფერი ბიუსტი. მახსოვს, ვინც ეს ამბავი გაიგო და ვინც გვირგვინავდა, ყველას ერთსა და იმავე უყვებოდა სინანულით — ჩემი ნაპოლეონი წაიღესო.

თითქოს სხვა არაფერი დააკარგოვდეს იმ დღეს.

უცნაურად უყვარდა და აინტერესებდა ნაპოლეონზე ყველაფერი. ასე მგონია, რაც კი დახერხდა ამ ფრანგზე, ყველაფერი ჰქონდა ნაკითხული. ბოლო წლებში რამდენჯერ ჩამოუვლიდა გიორგისთან სიტყვა, ამა თუ იმ გადატან-ნილ პრობლემაზეც კი აზუსტებდა და იკონებდა.

ნეტა რატომ უყვარდა ასე, რატომ აინტერესებდა ყველა წერილმან...?

მაკა, რომ იცოდე, რამდენ რამეზე მწყებდა გული, რამდენ რამ ვერ დავაუსტე, რამდენ რამეს ვერ დავაკვირდი, რამდენი რამე ვერ ვკითხე... მთლიანად მისთვის, მარტო მისთვის ვერ მოვიცალე, სამწუხაროდ...

აფორიატიზმის ისე უთითოდა ხმა. ყურმილიში საოცრად მუსიკალურ, მგლერად ხმას ვისმენდი და ვხედავდი თავივე მის უღამაზეს, მუდამ ბავშვური სხივით სავსე თვალებს, ამ წყურბუმი ცრემლით რომ იყო გალიცილიცი-ბული.

მთელი არსებით ვგრძნობდი, რა საშიშლად ენატრებოდა თინა ჩემდარეულს იმ წამებში ანა.

რამდენ რამეზე მწყებდა გულიო... და ამაღ ამბობდა ქალი, რომლის ცხოვრების სულ მცირე ოცდაათმა წელმა მარცხ ჩემს თვალწინ გაიარა. მე ყოველდღეობოდა არა მხოლოდ ვგრძნობდი, არამედ ვხედავდი იმ ღვაწლს და თავდადებას, რაც ან იშვიათმა ქალბატონმა ანას მიმართ გამიჩინა. ასე მხოლოდ თავდადებად დედემი უფლიან და ზრუნავდნ მშობლებზე. არადა, ასაკით შვილად ეკუთვნოდა ანას.

**გაიღება ზეცის კარი,
უცხო სუნთქვით დაიწმინდება,
მოიტაცებს ქარი ფეთქოლს,
სამუდამოდ დამცილებდი.**

მახსოვს ერთგან ვწერდი: — აი, ამ უცხო სუნთქვით დამძიმებული ადამიანის გვერდით ცხოვრება უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობაცაა ამავე დროს, რადგან მის გვერდით დაახლოვებით მიწვე უნდა გულისხმობდეს ანას პოეტნიცის, მისი სულიერი სიუხვითა და სიმაღლის ადამიანის არსებობას. თინა ყანდავრელი სწორედ ამგვარი ქალბატონი. მხოლოდ მას შეეძლო ყოფიერების ამაო ფუსფუსის

აუტანელი სიმძიმე ასე მსუბუქად მოეცილებინა ანასათვის. ახლაც კურბო მიდგას რამდენიმე წლის წინათ ნათქვამი სიტყვები. მისი ვაჟი — გიორგი ჯერ არ იყო დაქორწინებული, ქ-ნი თინა კი ბებობაზე ოცენებოდა.

დღეს ეს ოცნება ახდენილია და მათ საბლში პანია ანა კალანდაძე იზრდება. მაშინ კი...

— არაფრის შემინია, ვიცი, გიორგი ღირსეულ ქალს დაუკავშირებს თავის ცხოვრებას, მაგრამ ერთი რამ მაინც მაფიქრებს, როცა ჩვენს ოჯახში შემოვა, უმტკიუნეულოდ უნდა მიიღოს აქსიომა — პირველ რიგში ყურადღება ანას და მეზე... დანარჩენებს. ქალბატონმა თინა ყანდავრელმა თავისი შვილებიც, ქეთი და გიორგი, სწორედ ამ სულისკვეთებით აღზარდა.

დაიხა, მან იცოდა, რომ მის გვერდით წლების განმავლობაში „უცხო სუნთქვით“ დამძიმებული გენოსი ცხოვრობდა, მაგრამ მარტო ცოდნას არ შეუძლია იმ ამავისა და ზრუნვის განუწყვეტელი გამოჩენა, თუ მას დიდი და უანგარო სიყვარული არ ახლავს თან.

ის, თუ რას ნიშნავს ასეთ მღერეე და მსუბუქობად ქვეყანაში შემოქმედ ადამიანს მოუხსნა და აარღობ ცხოვრების ტვირთი, მთელი სისრულით ისევე შემოქმედი ადამიანები თუ გაიარებენ.

თინა ყანდავრელმა, ამ ღამაზმა და კეთილშობილმა ქალბატონმა, თავისი ღვაწლისა და თავდადებით სულიერი არისტოკრატიზმის საუცხოო ნიმუში დახატა ჩვენს თვალწინ ღირსებაყრილ ქვეყანაში და მადლიერების გრძნობით დაღვსო თითოეული ჩვენგანის გული. ყველა იმ ადამიანის გული, ვინც იცის ანა კალანდაძის და, ზოგადად, ქართული პოეზიის ფასი.

თინა ყანდავრელი მაცხოვრის დანაბარები მინიციებით ცხოვრების დღემდე — ვისაც სურს თქვენს შორის იყოს დიდი, ის თქვენი მსახური იყოს, რადგან მე მოვედი არა იმისათვის, რომ მე მომემახაზორო, არამედ იმისათვის, რომ თავად ვემსახურო ყველას... (მარკოზი 10: 45, 43)

ვისი ცხოვრების უმთავრესი შინაარსიც არის მსახურება მოყვასთა მიმართ, ის თვით უფალს მიემგავსება და დიდია იგი ღვთის წინაშე.

ქალბატონ თინასი არ იყოს, იმ ღამით მეც ავფორიაქდი და გვიან ჩამეძინა.

აიასი წერილშით თუ მწიგნობროვანი მომენტი დამიგდა თვალწინ ანასთან ჩემი ურთიერთობის პერიოდებიდან... ნეტა რატომ აინტერესებდა და უყვარდა ასე ნაპოლეონი?

და მე მივხედი, რომ ამის გაგებას ისე უნდა შევეცებებოდი, როგორც საერთოდ მის შემოქმედებას. ანას ლექსებზე საუბარი, ანდა მათი ანალიზი ისევე ძნელი და არაბუნებრივია, როგორც საუბარი იმაზე, თუ რა არის ცრემლი ანდა ყვაივანი. ამის ამოხსნა ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია სრულყოფილად გახსნა და აღმოაჩინო ანას ლექსებში ჩაძირული განცდები, ემოციები, მხატვრული სახეები. როგორც გაგება იმისა, თუ რა უფებს ქართველის წინ ოკეანეს გულში.

ვფიქრობ, რომ ბონაპარტეით გატაცებასაც, ისტორიული ადგილების მონახულებასთან და უფულო შთაბეჭდილებებთან ერთად, რაღაც ამდაგვარ ქარიშხლიან საიდუმლოს ინახავდა.



თქველ ჯანელიძე

„ახალ სკოლას“ — საერთაშორისო სერთიფიკატი

„ახალი სკოლის“ დამფუძნებლები არიან ირაკლი თოფურია და მარინა ქენტი, ქალბატონი მარინა სკოლის დირექტორიკია. სკოლამ ახლახან მიიღო საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის სერთიფიკატი, რომელიც მსოფლიოში მიღებული აქვს სხეულად 2500-მდე სკოლას. „ახალი სკოლა“ პირველი ქართული სახსანავლებელია, რომელმაც ეს სერთიფიკატი მიიღო, რაც დიდი აღიარებაა. ამ სასიამოვნო შემთხვევის მისალოცად 10 თებერვალს სკოლას ეწვევებენ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორი, მწერალი როსტომ ჩხეიძე და მეცნიერი და მთარგმნელი პაპაჩხეიძე.

შოელი და სუფთა ეზო, რომელიც თებერვალშიც კი ყვავილებით გვევლებს, ნათელი, დიდი ოთახები, კომფორტული გარემო თავიდანვე იქცევა ახალშისულის ყურადღებას. ბატონი ირაკლი გვესაუბრება, თუ რა დაბრკოლებათა უდალახავა მოუხდათ, რომ მცირე დროში საუკეთესო იურის მეტრბა მეილთი, მაგრამ უფრო თავისიხარონებელ სწავლების ხარისხია. აქ სწავლება თორმეტწლიანია. სკოლაში ორი განყოფილება — ქართული და ინგლისური. სკოლის დირექტორის თქმით, მათი მიზანია, მოსწავლეებს ჩაუხერგოს მარადიულ ფსევდობათა ერთფეულება. განსაკუთრებით კი — დემოკრატიულის და ცროწუნულის.

დერეფნების კედლებზე უამრავი ნაწერია გაკრული. დავინტერესდით და შევტყვევით: მოსწავლეები ამ ფორმით სწავნენ შეკითხვებს მათთვის საინტერესო საკითხებზე, ან გადმოგვიცემენ ექსკურსიის, გამოფენის ან სხვა ღონისძიებათა შთაბეჭდილებებს. ბავშვების მიერ დასმული შეკითხვებიდან თვის ბოლოს გამოიკვეთება ხოლმე ერთი რომელიმე თემა — თითოეული კლასისთვის განსხვავებული. ყოველი თვის ბოლოს მართლადი თემის შინაარსი ახლით იცვლება.

შინც რა შეიძლება იყოს წარმართველი თემა? მაგალითად: სადა ვართ დროსა და სივრცეში? რა გავლენას ახდენს ადამიანზე ადგილ-სამყოფელის შეცვლა, ან იმ ქვეყანაზე, რომელსაც საცხოვრებლად ირჩევს ემიგრანტი? როგორ არსებობს სამყარო? რას ნიშნავს იყო გმირი? წარსულისა და თანამედროვე გმირთა შედარებისას დგება საკითხი ნამდვილი და ყალბი გმირების გამოარ-

ჩევისა. როგორია კონფლიქტის მოგვარების გზები? სადილო კითხვებია? თუ ვერ უპასუხებენ, ინტერესდებიან, ეძებენ, დისკუსიებში ერთვებიან და თავისებურად პასუხობენ. ერთერთი უმცროსი კლასის თემა კი ჩვენი სტუმრობისას იყო: ვინ ვართ ჩვენ? კაცობრიობის არსებობის მანძილზე პასუხ-გაუცემელი კითხვა ამ სკოლაში უფროსიკლასელთა ინტერესის საგანი გამხდარა. პედაგოგთა პროფესიონალიზმში კი იმით მელაენდება, რომ პატარებთან მარტოვად საუბრობენ რთულ თემებზე და მუდამ ახსოვთ გურამიშვილის შეგონება „ყმანვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიღამ მოსულა, სადა არის, ნავა სადაო.“

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ყველანიარად უწყობს ხელს მოსწავლეთა მეტოქეობითი უნარის განვითარებას. ახალგაზრდები წერენ მოთხრობებს — უთუოდ საინტერესოს. წელიწადში ორჯერ სკოლის მოსწავლეები დგამენ სპექტაკლებს, რომელთა რეჟისორები მანსწავლებლები არიან, ხოლო იდეა თითო ახალგაზრდებს ეკუთვნის.

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელსაც ორი — ქართული და ინგლისური — განყოფილება აქვს. აქ დიდი ყურადღება ექცევა ბავშვის როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ განვითარებას — ფიზკულტურის გაკვეთილებთან ერთად ამ მიზნს ემსახურება საცურაო აუზიც და სხვადასხვა სპორტული ნივთი.

კედლებზე გამოფენილი ნახატები გვაფიქრებინებს, რომ ბელოვნების ამ დარგსაც ძალადი პროფესიონალიზმ ემსახურებიან. ამავე დროს მოსწავლეები თამაშად და თავიუფლად გვესაუბრებიან თეატრზე, მის ისტორიაზე, არქიტექტურის განვითარებას საფუძვრებზე, სიამოვნებით ისინებენ მშანისის არქეოლოგიურ გათხრებზე მოწყობილ ექსკურსიას.

სტუმართა ინტერესი და სასიამოვნო გაოცება გამოიწვია მსხუთელასელებთან მსხვედრამ. ბავშვები ისე თავისუფლად მსჯელობდნენ მარტეტრგის, საქონლის, ფასის, რეკლამის, მოგების, ბალანსის, გადასახადების შესახებ, რომ გამოცდილი ზინესმენსაც შეეხარებოდა. მათ ხალისით უპასუხებს სტუმართა შეკითხვებს და მათი მოწონებაც დაიმსახურეს.

„ახალ სკოლაში“ მართლაც ბევრი რამ არის ახალი. თუნდაც მშობლებთან ურთიერთობის ფორმა. აქ არ ტრადიციულა ტრადიციული მშობელთა კრებები, ხოლო მანსწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების შეხვედრა ყოველთვის გულგანადილობითაა აღბეჭდილი.

სკოლასთან არსებობს საბავშვო ბაღიც.

შთაბეჭდილებებით აღვსილი ვემშობლებით მასპინძლებს და არ მშორდება ფიქრი იმის შესახებ, რომ მომავალს საფუძველი დღეს ეყრება. როგორი მომავლის ბილვაც ვესურს ხვალ, შეპაფერისი საძირკველი დღეს უნდა მოვაშენოთ. მართლაც, აწმყო, შობილი წარსულისგან, არის მშობელი მომავლისა“ (ლდონიცი).



უილიამ ფოლკნერი

გვალჰიანი სექტემბერი

სექტემბრის სისხლისფერ მწუხრში, სამოცდაორ უნივერსიტეტში დღეს რომ მოჰყოლოდა, ხმელ ბალახს მოდებულ ციციხის ალივით აბრაღად ეს ჭორი თუ ამბავი — როგორც გვინებოთ. მის მინი კუპერსა და ერთ ზანგს ეხებოდა. ამბობდნენ: თავს დაესხაო, შეურაცხყოფა მიაციუნაო, გული გაუხეთქაო; მაგრამ არცერთმა მათგანმა, ვისაც იმ შაბათს თავი მოეყარა სადალაქოში, სადაც ჭერის ვენტლატორი აფორიკებდა დახუთულ პერსი, მაგრამ ვერ აგრილებდა, ოღონდ თმის სპონჯისა და ლოსიონის ზერიტებს მათსავე სუნთქვას და სურნელს უკან უბრუნებდა, ჰოდა არცერთმა მათგანმა ზუსტად არ იცოდა, რა მოხდა სინამდვილეში.

„ყველა-ყველა და ბილი მეისი არ იქნებოდა“, თქვა დალაქმა. შუაზნის კაცი იყო; გამხდარი, ქვიშისფერი თმითა და ბუნებულ პირისახით. კლიენტს პირს პარსავდა. „ვიცნობ ბილი მეისს. ნესიერი ზანგია. და მის მინი კუპერსაც ვიცნობ“.

„მაგ ქალზე კი რა იცი?“ — კითხვა მეორე დალაქმა. „ვინ არის, რას ნარმოადგენს?“ — ჩაერია ერთი კლიენტი. „ყმანველქალია?“

„არა“, — თქვა დალაქმა. „მე მგონი, ორმოციოდენ წლისა უნდა იყოს. გაუთხოვარია. ამიტომაც არა მჯერა...“

„ჯანდაბას, დაჯერე!“ — თქვა ძონძროსა ჯეველმა, ოფლით დალაქული აბრეშუმის პერანგი რომ ეცვა. „თუთრი ქალის სიტყვა ზანგისაზე ნაკლებად გჯერა?“

„რა ექნა, ვერ დაჯერებ, რომ ბილი მეისს ეს ექნა“, — თქვა დალაქმა. „ვიცნობ ბილი მეისს-მეთქი“.

„ამინდ ეგზე გვიხიბრა, ვინა ქნა. ეგზე უკვე გააბარე კიდევ ქალაქიდან, შე წყველო ზანგურაგ შენა!“

„მე ისიც არა მჯერა, თითქოსდა ვინმემ რამე ქნა! არა მჯერა, თითქოსდა რაღაც მომხდარა. აბა თავად განსაჯეთ, ბიჭებო, იმ ქალბატონებს, გაუთხოვრად რომ ბერდებიან, ზოგჯერ ისეთი რამეც მოქრეწებთ, კაცი ვერ...“

„ჯანდაბას შენი თავი, შენ ვინ დაგარქვა თეთრი კაცი“, — თქვა კლიენტმა და ზენარქვემ აცქმულდა. ჯეველი კი ზეზე ნაშობდა.

„არა გჯერა?“ — თქვა მან. „თეთრ ქალს ბრალსა სდებ, ცრუობსო?“

დალაქს სამართლებელი გაუშეშდა ხელში ნახევრად-ნამომდგარი კლიენტის თავზე. არ მიიხედ-მოიხუტავს.

„ამას სულ ამინდი ამზახებს“, — თქვა მეორემ. „ისე ამზახებს, რას არ გააკეთებ. იმ ქალსაც კი...“

არავის გაუცინია. დალაქმა თავისი მშვიდი და ფოჭოტი კილოთი თქვა: „არავის არაფერსაც არ ვაბრალებ.“

უბრალოდ ვიცი და თქვენც ხომ იცით, ბიჭებო, იმ ქალის ხაზარ-ხუბარი, არასოდეს რომ არ...“

„ოჰ, შე წყველო ზანგურაგ შენა!“ — თქვა ჯეველა.

„ბულაგ, მოკეტე!“ — უთხრეს. „ჯერ ფაქტები დავადგინოთ და საქმის გასაკეთებლად აუარება დრო გვექნება“.

„მოსა?“ ვის რაში სჭირდება ფაქტები?“

— თქვა ჯეველა. „ჯანდაბას ფაქტები მე...“

„ბოშიანი თეთრი კაცი ხარ“, — თქვა კლიენტმა. „განა არა?“

„თავისი აქაფებული წვერით კინოში უდაბნოს ვირთხას ნააგვდა. „უთხარი მაგათ, ჯეე“, — მიმართა ჯეველს. „თუკი ამ ქალაქში თეთრი კაცის ქაჭანება აღარ არი, ჩემი იმედი გქონდეთ, თუმცა აქაური არა ვარ და ეაჭრობა უფრო მეხერხება“.

„ასე სჯობია, ბიჭებო“, — თქვა დალაქმა. „ჯერ ხომ მართლად და მტყუანი უნდა გაავარჩიოთ. ბილი მეისს კი ვიცნობ-მეთქი“.

„ერიაა, ღმერთო მალალო!“ — იყვირა ჯეველა. „ეინ იფერებდა, რომ ამ ქალაქში თეთრი კაცი...“

„მოკეტე, ბულაგ“, — თქვა იმან, მეორემ. „დრო ჩქიქითა გააკვს“.

კლიენტი ჩაეშვა სავარძელში და შეხედა ამის მთქმელს. „ეგრე გამოდის, თითქოსდა რამე ამართლებდეს ზანგის თავდასხმას თეთრ ქალზე და ახლა მის გინდა დამიმტკიცო, რომ თეთრი კაცი ხარ და ამაზე დგახარ?“ გიჯობს გაბრუნდე ჩრდილოეთში, საიდანაც მობრძანებულხარ. სამხრეთს არა სურს თქვენარიბი“.

„რის ჩრდილოეთი, რომელი ჩრდილოეთი?“ — თქვა იმან, მეორემ. „ამ ქალაქში ვარ დაბადებული და გაზრდილი“.

„ერიაა, ღმერთო მალალო!“ — თქვა ჯეველმა. მერე მიიხედ-მოიხედა დაძაბული, გავიწეული მხერით, თითქოს ლამობდა იმის გასწენებას, თუ რა უნდა ეთქვა ან რა გაეკეთებინა. გაოფილილი სახე სახელოთი მოიწმინდა. „წყველდეც ვიყო, თუკი გავაბედიხებ, რომ თეთრი ქალი...“

„უთხარი მაგათ, ჯეე“, — თქვა კომივოიარემ. „ღმერთო დიდებულო, თუკი ეგეინ...“

გისოსიანი ვარი რახუნით გაიღო. გამოწმინდა კაცი, რომელსაც ფეხები გან-გან გაედგა და მკერვიად ჩადგმული სხეული ლაღად ეჭირა. თეთრი პერანგი გაღვლილი ჰქონდა ყელზე; ფეტრის შლიაბა ეხურა. აგზნებული და უდვირი მზურა მოსატრა დამხედურებზე. მაკლენდინი ურქვა. უნინ სამხედრო შენაერის მეთაურობდა საფრანგეთის ფრონტზე და მამაცობისათვის დააჯილდოვეს.





„დახეი ერთი“, — თქვა მან. „თქვენ აქ ასე იხსნებოდა და შავმა ნაბიჭვარმა კი თეთრი ქალი უნდა გააბახოს შუა ჯეფონსონში?“

ბუღა ისევ ნაშობტა. აბრეგუმიის პერანგი მჭიდროდ ჩეტმანებოდა ვეება მარბუზე. ორივე ილიაში ოფლის მუქი ნაბეჭვარითვარე გამოუსახა.

„აი, სწორედ ეგ არი, რასაც ამათ ვეუბნები! აი, სწორედ მაგას...“

„ეს მართლა მოხდა?“ — თქვა მესამემ. „ეგ პირველი კაცი როდია, მაგ ქალს თავზარი რომ დასცა, როგორც პოუკოშო* იტყოდა. ერთხელ სამზარეულოს სახურავზე ვიღაც არ მოელანდა? მითვალთვალებდა, ტანთ რომ ვიხიდიოდი, — მაგონი ერთი წლის წინათ იყო, არა?“

„რაო?“ — თქვა კლიენტმა. „რაო, როგორაო?“ — დალაქი ნება-ნება აძალებდა ჩაშეჯდარყო საეარქელში. ის კი ნაშობტამას ლამობდა და თავს მაღლა სწევდა, მაგრამ დალაქი ისევ და ისევ წნებავდა მტკ.

მაკლენდონი მესამემ მთქმელს მიუბრუნდა. „მართლა მოხდა თუ არაო? ჯანდაბას, ნეტავი რა განსხვავებაა? გინდათ, რომ ეს შავი ნაბიჭვარი მოუშვათ ნებასა, ვიდრე ერთი ათლებდეს და მართლა იხამდეს ამას?“

„აი, სწორედ ეგ არი, რასაც ამათ ვეუბნები!“ — იყვირა ბულამ. მერე შავრი ააყროლა განვლილი და უაზრო გინებთ. „კარგი, კარგი“, — თქვა მეორემ. „არ გინდათ ხამამალა, ასე ხამამალა ნუ ლაპარაკობთ.“

„სწორია“, — თქვა მაკლენდონმა; „საერთოდ საჭირო არაა ლაპარაკი. მე ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი. ვინ მოწყვეტ?“ ფეხის ნეგრებზე წამოინია და თვალს მოავლო იქაურობას.

დალაქმა პირისაზე ჩამოუწია კომიოვიაციურს და სამარხებელი მოურგო. „არც ფაქტები დავადგინოთ, ზიგებო. ბილი მეისს ვიცნობ. ეგ არ იქნებოდა. შერიფს დაფუძნებოთ და საქმე მოგვარდება, როგორც წესი და როგია.“

მაკლენდონმა მისკენ იბრუნა პირი მჭინვარე და დაძაბული გამომეტყველებით. დალაქმა გაუქლო მის მზერას, თვალი არ აუჩინებია. სხვადასხვა რასის ნაშირებებით შეპყურებდნენ ერთმანეთს. სხვა დალაქებ-მაც თავი ანებეს საეარქელში გამხლართულ კლიენტებს. „შენ იმის თქმა გინდა“, — თქვა მაკლენდონმა, „რომ ზანტის სიფეა უფრო გჯერა, ვიდრე თეთრი ქალისა? შე ნყველო ნაბეჭვარე შენა...“

მესამემ მთქმელი ნაშობტა და მკლავში სტაცა ხელი მაკლენდონს; ისიც ნაშობტი კაცი იყო. „მოიცა, მოიცა, გვერე გავარკვიოთ ეს საქმე. აბა, ვინ იცის რამე, ვინ გვეტყვის იმას, რაც ნაღდად მოხდა?“

„კიდევ გარკვევა გინდათ, ჯანდაბას თქვენი თავი!“ მაკლენდონმა მუჯღუგუნით გაითავისუნა მკლავი. „ვინც მოწყვეტა, ნავედით აქედან. და ვინც არა...“ პირისაზე სახელთი მოინიშნა და იქაურობას თვალი მოავლო.

* პოუკოშო — დეტექტივი პოუკოშო იყო ვუს მეიჯერის საჯახო კომიტეტის გამირი 1913-1922 წლებში და ხელახლა 1931-დან 1952-მდე. მისი სახელი მომდინარეობს ინდოეთში მდებარე ამერიკული სხვაობიდან, სადაც ერთ ჰესამში მოქმედ დეტექტივის გავრი განზოგადა და „დეტექტიუს“ სინონიმად დამკვიდრა.

სამი კაცი ნაშობტა ფეხზე. კომიოვიაციური საეარქელში გამხლართა. „აბა“, — თქვა და კისერზე შემოსხვეული ზენარი მოზღუფა; „მომამორე ეს ობერი ჩავრი. მივეყვები მაგ კაცს. აქაური არა ვარ, მაგრამ, ლმერთო ჩემი, თუკი ჩეტმს დედებს და ცოლებს და დებს...“ ზენარი გასე-გამონისვა პირზე და ძირს მოისროლა. მაკლენდონი კარებში იდგა და დარჩენილებს ავინებდა. კიდევ ერთი კაცი ნაშობტა და მისკენ გაემართა. დარჩენილი თითქმის ეკლებზე ისხდნენ, ერთმანეთს არ უყურებდნენ, მერე ერთიმეორის მიყოლებით ნაშობტაღნენ და მაკლენდონს მიეტმასნენ.

დალაქმა ზენარი იატაკიდან აიღო და შეუდგა კონტად დაკეცვას. „ბიჭებო, ნუ შერებთ მაგას. ბილი მეისს ამას არასოდეს არ იხამდა. ნაღდად ვიცი.“

„ნავედით“, — თქვა მაკლენდონმა. შებრუნდა. მძიმე ავტომატური პისტოლეტის ტარი გამომჭეროდა შარკის უკანა კიბიდან. სადალაქიდან გავიდნენ. გისოსანი კარი გარახნებდა და ეს ხმა აირეკლა დახუთულ პაერში.

დალაქმა გულმოადგინე და მარდად განიშნა სამართებელი, მერე განზე გადადო, უკანა ოთახში შევარდა და თვისი შლიაბა კედლიდან ჩამოიღო. „შაღე უნდა დაეგრუნდე“, — უთხრა დანარჩენ დალაქებს.

„როგორ შეიძლება...“ სირბილით გავარდა გარეთ. ორნი ფეხდაფეხ მიჰყვნენ კარამდე და ხელი ჩაავლეს, რომ არ დახურულიყო, თავი გარეთ გააყვეს და ქუჩაში მიშვალს თვალი გააყოლეს. პაერი იყო დახუთული და მძიმე. ენის ნეგრზე ლითონის გემოს იგრძობობდ.

„ნეტავი რას ვაანკვებს?“ — თქვა პირველმა. „ღმერთო გვიშველე, ლმერთო გვიშველე“, — სუნთქვამეკრული ამზობდა მეორე. „როცა მაკლენდონს ვააცოვებ, მერე გინდ ბილი მეისი იყავი და გინდ პოუკი.“

„ღმერთო გვიშველე, ლმერთო გვიშველე“, — ჩურჩულებდა მეორე.

„როგორა გეგონიათ, იმან მართლა უქნა მაგასა?“ — თქვა პირველმა.

II

ეს ქალი ოცდათვრამეტი თუ ოცდაცხრამეტი წლისა იყო. თავის ავადმყოფ დედასა და გამხდარ, ზაფრანის-ფერი პირისაბის მოუღლეულ დეიდსათან ერთად ცხოვრობდა მომცრო, ანყობილ სახლში, სადაც ყოველ დღით, ათიდან თორმეტამდე, ზღურბლზე გამოჩნდებოდა ხოლმე. თავზე ხებრა მაქმანინი საღამური ჩაჩი, ჯგებოდა მოქანავე საეარქელში და ნებიერად ირწეოდა შუადღემდე. სადილის შემდეგ, ვიდრე შუადღეს სიგრილე მოახვეებოდა, ცოტას მიწევბოდა. მერე ჩაიცივამდა ერთ-ერთს თავისი საში თუ ოთხი სიფრფინა კაბიდან, რომელთაც ყოველ ზაფხულს იცვლიდა, ქალაქის ცენტრში მიემუწებოდა და საღამომდე, სხვა ქალბატონებთან ერთად, დანაშობტა და მალაზებში, სადაც ათვალერებდნენ და ხელითაც სინჯავდნენ საქონელს და ცივი, შეუვადლი კილოთი ევაჭარებოდნენ ნიჭრებს, ოღონდ არაფრის ყიდვა არ ედით გულში.



ნესიერი ოჯახიდან იყო — ჯეფერსონში ყველაზე უკეთესი არ ეთქმოდა, მაგრამ საკმაოდ ნესიერი ოჯახი გახლდათ — და ჯერაც ჩვეულებრივზე უფრო მოხდენილი იერთო გამოირჩეოდა, ოდნავ მოთენთილი წირი შეეფერებოდა კაბებს. ახალგაზრდობაში წერნეტა და ნერვიული ტანი ჰქონდა და დაუცხრომელი ხალისი. ეს კი ერთხანს ატივტივებდა ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების თხემზე, რასაც ნიშნავდა სასკოლო წვეულებანი და საკვირაო წირვები ეკლესიაში, ვიდრე მისი ტოლები მომნიფდებოდნენ და კლასობრივი შეგნება გაუჩნდებოდათ.

ყველაზე გვიან მიხვდა, რომ ფებქემ ნიადაგი ეცლებოდა; რომ იმ მარაქაში, სადაც სხვებზე ოდნავ მეტად მხიარულობდა და გიჟმუხობდა, ვაყებს ეამებოდათ ქედმაღლობა და ქალებს — სამაგიეროს მიზღვა. სწორედ მაშინ დაეტყო პირისაბზევე ეს მოთენთილი მხიარულება, რასაც დაატარებდა გრილვერანდებსა თუ ზაფხულის მფელოზე გამართულ წვეულებებში, როგორც ნიღაბს ანდა დროშას, ხოლო თვალებში ენება გაოგნება, გამონვეული მუშპოვარი განდგომით სიმატლისგან. ერთ საღამოსაც ყური მოჰკრა თავისი კლასელებს, ერთი ბიჭისა და ორი გოგოს მუსაიფს. მას შემდეგ აღარასოდეს მიუღია მინევეა.

ხედავდა, რომ გოგოები, ვისთანაც ერთად იზრდებოდა, თხოვდებოდნენ, ოჯახს ეკიდებოდნენ, ბავშვებს აწენდნენ, მაგრამ მას კაცობილი არ გაარმიყვებია, და ახასობაში ტოლამხანაგთა შვილები, აგერ რამდენიმე წელია, უკვე ადვილად ეჩაზდნენ, მაშინ როდესაც დედები კისკისით უამბობდნენ შვილებს, რომ სიყმანელებში დეიდა მინის სახელი პირზე ეკერა ყველას. შემდგომში მიუღ ქალაქს ახალი სანახაობა გაუნდნა — მის მინი უკუპერი ეკირაობით, ნაშუადღევს, მანქანით დასჯირობდა ბანკის მოღარესთან ერთად. ეს დაქვრივებული კაცი ორმოცი წლისა იქნებოდა, ლაქლავას და ნაბატივებს დღენიდავ სადალაქისი თუ ვისკის სურნელი ასდიოდა. ქალაქში

პირველმა მაგან შეიძინა ავტომობილი — ნითელი ფერის მიდი-მოდი; მინი კი იხურვდა სასიერო შლახას პირბადით, რომლის მსგავსი ქალაქში არასოდეს ენახათ. სწორედ მაშინ აღაპარაკდა ყველა: საბრლო მინიო, თუმცა ამასაც ამბობდნენ: „რას ბრძანებთ, საკმაოდ მონიფულია და საკუთარი თავს თავადაც მოუვლის“. სწორედ იმხანად დაუნყო ხევნა თავის ყოფილ კლასელებს, თქვენმა შვილებმა ადვილადს ნაცვლად ვგებ ადვიდაშვილი“ დამიძახონო.

ახლა კი თორმეტი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივმა აზრმა „სიძვის დიაცად“ შერაცხა, და რვა წელი — მას შემდეგ, რაც მოღარე გადაპარგდა მემფისის ბანკში და ერთი დღითა ტრადიციულ ღვინოში მდინარის პირას მდებარე მონადირეთა კლებში. იქაური მეზობლები ფარდებს გადასწვდნენ ხოლმე და თვალს ადევნებდნენ წვეულებას, ხოლო საღადგომო ვიზიტებისას მინისაც რომ ეწვეოდნენ, მყისვე ამცნობდნენ, მუნი ბანკირი რა კარგად გამოეფრებო, და, როგორც გვსმენია, მემფისში თურმე აყვავებულა და ამენეულაო, თანაც შეფარვით აკვირდებოდნენ მის ძალადმხიარულ გამომეტყველებას. საღამოობით მინის ამოსუნთქვას, ჩვეულებრივ, ვისკის სუნი დაჰკრავდა. სასმელით ამარაგებდა ერთი ჯეილი, ნორად რომ

იღვას სოდიანი წყლის ჯიხურში: „იცავით, მინამეჩასთვის ვყიდულობ. ცოტაოდენი თავის შექცევა მაგასაც ხომ უნდა“.

დედამისი საერთოდ აღარ გამოდიოდა თავისი ოთახიდან; ძვალტყავა დეიდა უვლიდა ოჯახს. ყოველივე ამის კვალობაზე მინის ჭყეტულა კაბებ, მისი უსაქური და ფუჭი ცხოვრება რაღაც სასტიკად არარეალურის შთაბეჭდილებებს ტოვებდა. ახლა საღამოობით დადიოდა მხოლოდ კინობი მეზობლის ქლებთან ერთად. ყოველ ნაშუადღევს თავისი ახალი კაბებიდან რომდინებს ამოარჩევდა, იცვამდა და ეუღლად მიემურებოდა ქალაქის



მხატვარი მალბაზ იაშვილი

ცენტრში, სადაც მისი ყმანიელი „დეიდაშვილები“, საღამოს მობალოებისას, უკვე დასერობდნენ, და იყო გაბოჟნა მათი ფაქიზი, აბრეშუმისდარი თავებიც, წერილი და მოუქნელი მკლავებისა, მგრძობიარე ბარძაყებისა; ერთმანეთს ეკეროდნენ, ჟივილი-ხივილი გარშემოც, თავიანთ ჯუფთობას ერთად ზითობებდნენ სოდიანი ნყლის ჯიხურთან; მინი ჩაუვლიდა ერთიმეორეს მივრილი დუქუნებს, რომელთა კარები ჩამომსხდარი თუ აქეთ-იქით მოყავლე მამაკაცები, თქვენ წარმოადგინეთ, თვალსაც კი აღარ აყოლებდნენ.

III

დალაქი მარდად მიიბიჯებდა ქუჩაში, სადაც მეზხერი ლამიონები, მუშლი რომ ეხვეოდით, გადმონლილიყვნენ და გაქავებული მძინვარებით კამკამებდნენ უსიცოცხლო პარში. მტერის სუდარაში გახვეული დღე გამოთიბოვა ნუთისოფელს; ჩანებულბულ მიოდანს, რომელიც გამოფიტულ მტვერს შეუფუნა, თავს დაპყრებდა საბილენის ზარის შიგანისდარად კრილა ზეცა, რომლის აღმოსავლეთ კიდეზე ბადერი მთვარე ამოცურებულყო.

როდესაც იმათ დენია, მაკლენდონი და მისი სამი თანამგზავრი მანქანაში ჩამსხდარიყვნენ, ქუჩის შესახვევში რომ ეყენათ. მაკლენდონმა თავისი გოგრობა თავი დალუნა და სარკმლიდან გამოფიქტა.

„რაო, გადამფიქრე?“ — თქვა მან. „კარგი გიქნია, შენი... ღმერთმანი, ზეად მთელი ქალაქი რომ შეიტყობს, რეგებს მიედ-მოედებო...“

„კარგი, კარგი“ — თქვა მეორე ნაომრამა. „პოუქოუო მინიჩ ჩენიანია. აქ მოდი, პოუკ; შემობტი“.

„ბიჭებო, ბილი მესია არასოდეს იზამდა ამას“ — თქვა დალაქმა. „თუკი საერთოდ ვინმეს რამე უქნია, ჩემი არ იყო, თქვენც კარგად იცით, რომ ვერ იპოვით ქალაქს, სადაც ჩვენზე უკეთესად ექცევიან ზანგებს. და ისიც ზომ იცით, ქალი რეებს ფიქრობს ბოლმე კაცებზე, თუნდაც სახაბი არ პუქონდეს და მის მინის კიდე...“

„მართალია, მართალი“ — თქვა ნაომრამა. „ჩვენ მხოლოდ დავებზრებით, სულ ცოტას; მორნა და გათავდა...“

„დეუებზრებითო? ჯანდაბა და ოხრობა!“ — თქვა ბულამ. „როცა ამას მოვათავებო...“

„ღვთის გულიათვის, მოკეტე!“ — თქვა ნაომრამა. „ძალიან გინდა, რომ მთელმა ქალაქმა...“

„უთხარი მაგათ, გავცივებ“ — თქვა მაკლენდონმა. „უთხარი ყველა ნაბიჭვარს, ფეხებზე რომ პკიდიათ, თუკი თეთრ ქალს...“

„ნაკედით, ნაკედით: აგერ, სხვა მანქანაც გვყავს“. მტერის ღრუბლიდან მეორე მანქანა შემოღრქიალდა შესახვევის თავში. მაკლენდონმა ჩარაი ძრავა და მანქანა დძრავა. მტვერი ნისლივით ჩამონლილიყო ქუჩაში. მარჯვენაღმეორტყმული ლამიონებით თითქოსდა წყლიდან იკაფებდნენ. მანქანებმა დაიბრუნეს ქუჩები.

ოღორ-ოღორო გზა უხვევდა მართი კუთხეებით, მტვერი დასწოლოდა გზასაც და მთელ ქვეყანას. ცის ტანტობზე

აღმართა ბნელი ზეინი ხელოვნური ყინულის ქარბნისა, სადაც ღამის დარაჯად მსახურებდა ზანგი მისი.

„სჯავლობა აქ გაქვრდეთ, რა?“ — თქვა ნაომრამა. მაკლენდონს პასუხი არ გაუცია. მანქანა წინ მიავდო და მკვეთრად დაამუხრუჭა. ფარების შუქმა განათა ყრუ კედელი.

„მისმინეთ ერთი, ბიჭებო“, — თქვა დალაქმა. „თუკი აქ დავებვდა, განა ეს არ ამტკიცებს, რომ ის არაფერ შუაშია? განა ვერ არ არი? ეგ რო ექნა, ნალდად გაიქციოდა. ვერა ზედვით, რომ სწორედ ასე იზამდა?“

ამასობაში მეორე მანქანა მოუახლოვდათ და ისიც გაჩრდა. გადმოვიდა მაკლენდონი; ბულა გადმოზბა და მზარნი ამოუღდა. „მისმინეთ, ბიჭებო“, — თქვა დალაქმა.

„ჩააქრეთ შუქი!“ — თქვა მაკლენდონმა.

სულშეხუთული წყვდიადი ჩამომსკდარიყო. ჩაქმიც არ ისმოდა, ოღონდაც ფილტვები ებერებოდათ შერის საპოვნელად იმ შეტრუსულ მტვერში, რომელსაც უკვე ორი თვეა დაეყრო აქაურობა; მერე მაკლენდონისა და ბულას დეხისმა მონყდა; და იმავე წამს გაისმა მაკლენდონის დაძახილი: „პეი, ბილი... ბილი!“

აღმოსავლეთით, ცის კიდეზე მთვარის ფერნასული ლები სივდებოდა. გადმოგორდა ქედზე, ვერცხლისფრად შეღება პაერი, მტვერი; თითქოს უნდა ესუნთქათ და ეცხოვრათ ჯაშში, გამდნარი ტყეია რომ იყო ჩახსმული. არც ღამეული ფრინველი გამოიღებდა ხმას, არც მწერი, მარტორად მათი სუნთქვა ისმოდა და ლითონი უსუსტი ტყაცა-ტყუცით იუქმებოდა ძრავაში. იქ, სადაც ერთმანეთს ტანით ეხებოდნენ, თითქოს გამომრალი ოფლი სდიოდნენ. „ღმერთი ჩემო!“ — გაისმა ხმა; აქედან უნდა გავტეხიოთ.“

მაგრამ აქ განმტრულან, ვიდრე წყვდიადიდან არ ამოიზარდა მკროალი ხმაური; მანძი კი გადმოვიდნენ მანქანებიდან და გაყურდნენ სულშეხუთულ ბნელში. მერე კიდევ გაისმა ჩქამი: დარტყმა, ამოსტევენა და მაკლენდონმა ხმადაბლა შევიგნა. ნამით შეყოვნდნენ და მერე წინ გაცვივდნენ. ბორძიკ-ბორძიკით გარბოდნენ, თითქოსდა უკან რაღაც მოსდევდათ. „მოკალი, მოკალი ეგ ნაბიჭვარი“, — ნაიჭურწულა ვილაცამ. მაკლენდონმა ყველას უკან დაახვენი.“

„აქ არა“, — თქვა მან. „მოიტა მანქანაში“. „მოკალით ეგა, მოკალით შავი ნაბიჭვარი!“ — ბურტყუნებდა ვილაც. ზანგი მანქანასთან მიათრია. დალაქი მანქანის გვერდით ყურყურებდა. გრძობობა, რომ ოფლით იყო განზუული და საცაა გული აერეოდა.

„რას მერჩით, უფროსო?“ — თქვა ზანგმა. „მე არავიღებ დამომავებია. ღვთის წინაშე, მისტერ ჯონ“. ვილაცამ ხელობრიკლი დააძრო. საქმიანად დაშფუს-ფუსებდნენ ზანგს, თითქოსდა ეს იყო უსული ბოძი.

წყნარად და გულსყურით ირჯებოდნენ, ხელსა უშლიდნენ ერთმანეთს. ზანგმა უდრტინველად გააყრევინა ხელობრიკლი, მზერა აქაერებით და მონყე გადაპქრდა ერთი მქრქალი სახიდან მეორეზე. „რომლები ხართ, უფროსებო?“ — თქვა მან. თავი დალუნა, რომ გაერჩია სახეები, მისი სუნთქვა კი მიანყდათ და ოფლის მერალი სუნე. ზანგმა ერთი-ორი სახელი წამოიძახა. „ნეტავი რას მამბრალეობთ, მისტერ ჯონ?“



მაკლენდონმა მანქანის კარი გამოაღო. „შექერი“, — თქვა მან.

ზანგი არ ვანძრეულა. „ნეტავი რას მიპირებთ, მისტერ ჯონ? მე არაფერი დამიშვებია. ჩემი კარგი თეთრი ხალხი, მე არაფერი დამიშვებია: ვფიცავ ღვთის წინაშე“. კიდევ ერთი კაცის სახელი ნამოიხაზა.

„შექერი“ — თქვა მაკლენდონმა. მერე ხეივან ზანგს. დანარჩენები ქსულტუნებდნენ გამომშრალი სისინით და ალაბლებდნენ ურტყამდნენ, ის კი ჩიკორივით მზრიალებდა, ილანძვებოდა, თავის მებორკილ ხელებს ცხვირწინ უქნევდა დამრტყმელებს, ბოლოს ტუჩი გაუხეთქა დალაქსა და იმანაც თხლიდა. „შეაგდეთ აქა!“ — თქვა მაკლენდონმა. ერთად დაეცხრნენ. ზანგმა შენევიტა ჭიდილი, მანქანაში შექვრა და დაწყნარდა, ვიდრე სხვები თავთავიანთ ადგილებს იჭერდნენ. ზანგი იჯდა დალაქსა და ნაომარს შუა, ხელ-ფეხი მოკავდა, რომ ისინი არ შეუნღებინა, მზერა აჩქარებით და მწყივ გადაჰქონდა ერთი სახიდან მეორეზე. ბუღა საფეხურს შვახტა. მანქანა დაიძრა. დალაქი ცხვირსახოცით იაშვებდა გახეთქილ ტუჩს.

„მოუკ, რა დაგემართა?“ — ჰკითხა ნაომარმა.
 „არაფერი“, — თქვა დალაქმა. ისინი ისევ გზატკეცილზე გავიდნენ და ქალაქი გზაზე დარჩათ. მეორე მანქანა უკან ჩამორჩა, მტვერი რომ არ ევლია. სიჩქარეს უმატეს; უკან მოიტოვეს ვარჯუნების სახელები.
 „ემშაკმა დალაზეროს, ყარს ეს ნაბიჭვარი!“ — თქვა ნაომარმა.

„ამას მოვაგვარებთ“, — თქვა კომივიოაფერმა, წინ რომ იჯდა მაკლენდონის გვერდით. საფეხურზე შემომდგარმა ბუღამ ცხელ ნაკადს მიკანა. უცვრად დალაქი წინ გადაიხარა და მაკლენდონის მკლავს შეეხო.

„აქედან გამიშვით, ჯონ“, — თქვა მან.
 „გადახტო, შე ზანგურავ შენა“, — თქვა მაკლენდონმა. თავი არც კი მოუბრუნებია დალაქისაკენ. მიაქროლებდა მანქანას. უკან მეორე მანქანის ფარები უპატრონოდ ელავედნენ მტვერში. მაკლენდონმა მალე ვინრო გზაზე გადაუხვია. გზა უზმარი იყო და ოღრო-ჩოღრო. მიადგნენ მიტოვებულ ავტორის გამოსასვავ ქუჩას — აქ იყო წყება მოითხოლო თიხის ბორცუებში, შამბითა და ხვართქლით გადავსებული უძირკე ავტოები. აქაურობას ოდესღაც საბოლოად იყენებდნენ, ვიდრე პატრონს ერთი ჯორი დაეკარგებოდა, თუმცა გულდასამით არჭობდა გრძელ ქოქს ავტოებში, ფსკერის მაინც ვერ მიავნო.

„ჯონ“, — თქვა დალაქმა.
 „აბა, გადახტო“, — თქვა მაკლენდონმა. მიაქნებდა მანქანას ოღრო-ჩოღროებზე. დალაქის გვერდით მჯდომმა ზანგმა ხმა ამოიღო:

„მისტერ ჰენრი“.
 დალაქი წინ გადაიხარა. გვირაბივით ვინრო გზა აწყდებოდა მანქანას და უკან იკარგებოდა. თითქოს ჩამქვრივ ქუჩას სულს სუბრავდნენ: სიგრილე იყო, ოღონდ სრულიად უსიცოცხლო. მანქანა ოღრო-ჩოღროებზე მიხტოდა.

„მისტერ ჰენრი“, — თქვა ზანგმა.
 დალაქი გაფთრებით დაეჯავჯავრა მანქანის კარს. „აბა, ფრთხილად!“ — თქვა ნაომარმა, მაგრამ დალაქმა

წინხლთ გააღო კარი და საფეხურზე გაიჩითა. ნაომარი გადაეყვდა ზანგს, ხელი რომ ჩაველო დალაქისათვის, მაგრამ იმან მოასწრო გადახტომა. მანქანა ისევ მიაქროდა, სიჩქარე არ შეუნეებია.

მანქანიდან გადმომხტარი დალაქი მინაყრილზე ჩავარდა, გზადაგზა ამტვერედა მტვერით დაფარულ შამბნარს და ბოლოს თავი ამოჰყო თრთლიში. მტვერი შემოეხვია, წერილ, ავად ატკაცუნებულა გამხმარ ღერებში იწვა, სული ეხუთებოდა და არწყევდა, ვიდრე მეორე მანქანა ჩაუჭროლებდა და თავლს მიეფარებოდა. მერე ნაომრდა და კოლმობით ავიდა გზატკეცილზე, მიბრუნდა ქალაქისაკენ, ხელებით იბერტყავდა მტვერში ამოგანგულულ ტანსაცმელს. მთავარ უფრო მაღლა ასულიყო, საბოლოოდ გასცლოდა მტვერის ღრუბელს. ცოცხა ხნის შემდეგ ქალაქი აბღღერიალდა მტვერქვეშ. დალაქი კოლმობით მიაბრუნებდა. მალე მანქანების ხმაური მოესმინა, მათი შუქი ზურგსუკან ნაომარს დაეჭრა. დალაქი მომორდა გზატკეცილს, ისევ გაკერა მინას შამბნარში, ვიდრე ისინი ჩაიჭროლებდნენ. ახლა მაკლენდონის მანქანა მისდევდა მეორე მანქანას. შიგ ოთხნი ოსდნენ და საფეხურზე აღარ იდგა ბუღა. ჩაუქროდას; მტვერმა ჩაყლაპა ისინი. შუქი და ხმაურიც თანდათან გაქრა. მათგან ავარდნილი მტვერი ერთხანს ეკიდა ჰაერში, მაგრამ მალე სასულუნო განსვენებამ შთანთქა. დალაქი ავიდა გზაზე და ქალაქისაკენ გასწია.

IV

იმ შხათ საღამოს, სავახშომოდ რომ ირთვებოდა, ციბეცხლებამ დაუარა მთელ ტანში. ხელები უპაკალებდა და დუგმას ეკლარ უყრიდა ყულფში. თვალუბიც ციბეიანივით აუღლვარდა, სავარცხელი ტკაცუთით უნინკიდა აბურღულ თმას. ჯერაც იმოსებოდა, როდესაც დაქალაქში შემოთქრიალდნენ და ჩამოუსხდნენ, ვიდრე იცვამდა თავის უნაჩიფეს საცვლებს, გრძელ წინდებსა და ახალ, სიფრიფანა კაბას.

„როგორა ხარ, შეგნევეს ღონე, რომ ნამოსხვიე?“ — ეკითხებოდნენ ისინი, თვალუბი მათაც უზნინადვით, ღრმ ნაპერვლებს ისრადნენ. „როცა დრო გაივლის და თავზარს მოერევი, უნდა გვიამბო, რაც მოხდა. რას გუებნებოდა ღარ რას გიმერებოდა; ყველაფერი უნდა გვიამბო, ყველაფერი რას“.

ფოთლოვანი ჩამობურულ გზას მიჰყვებოდნენ მოედნისაკენ, მინი ღრმად სუნთქავდა იმ მოცურავაკვით, ჩასაყვინთად რომ ემზადებდა, და ამასობაში ძაბტაგმა გაუარა. ოთხნი იყენენ და ნელ-ნელა მიაბიჯებდნენ — ცალკე საშინელი სიცხის გამო და ცალკე მინის ხათრით. მაგრამ როცა მოუადანს მოუახლოვდნენ, მინის ისევ აუტყდა ძაბტაგი, თავანული მიაბიჯებდა, მუქშეშეშული ხელები ჩამომგებულა მქონდა; დაქალაი ხმები, ისევე აზნებულნი, როგორც მათივე თვალუბის ბღღერილიო, რაღაცას ედუღუნებოდნენ.

მოედანზე გავიდნენ. ჯგუფის შუაში მოქცეული მინი თავის ახალთახალ კაბაში სათითად გამოიყურებოდა. უარესად აძაბტაგდა. უფრო ნელა და ნელა მიაბიჯებდა,



ბაღლები ნება-ნება რომ შეექცევიან ნაყინს, ისე მიაბი-ჯებდა თავანუელი, თვალში უციმციმებდა პირსახისის მოთეთნოლ დროშასზე, ჩაუბარეს სასტუმროს და გამოიღვებულ კომივოიარერებს, ტროტუარზე გამო-ტანილ სავარძლებში რომ ისხდნენ და აბტურდებოდნენ მინის: „აი, ეგ არი, ხედავ? ვარდისფერი აცვია, შუანი მოდის“. „მართლა ეგაა? და ზანგს რაღა უქნეს? გამოუს-ერეს...?“ „რა თქმა უნდა, კარგად მეყოლე“. „რაო, დაწყნარდა?“ „ახა როგორ. ნაილო ნერლი“.

მერე ჩაუთარეს ავთიაქს, ჯველ ბიჭებს, კარებში რომ ტრიალებდნენ ქუდაფხატულნი და თვალს აყოლებდნენ მისი ტან-ფეხის მიმორბევას.

მისიერიზობდნენ, გზადაგზა უცვლელმებუი შლიაბის ანეტიო ესალმებოდნენ და ჯერცად წყდებოდა ხმები მოკრძალებითა და მზრუნველობით. „ხედავ?“ — ამბობდნენ დაქალები. მათი ხმები ისე ფლერდა, თითქოს პაერი ჩისსუნთქეს მოხუციმე ქსუტუნისათვისო. „ხედავ, ზანგის ქაჭანებაც არ არი მოედანზე. ნამლად ვერ იპოვი, რომ გინოდეს“.

მიადგნენ კინოთატრს, რომელიც მინიატურულ ზღაბრულ ქვეყანას ნაავგად თავისი განახახახებული უცსიტინობითა და ფერად-ფერადი ლითოგრაფიებით, სადაც დაქირილი იყო ცხოვრების საზარელი თუ საამური რიცელებანი. მინის ტუჩები აუთითოლდა. სიბნელეში, გოცა კინო დაწყება, ცველოფერი რიგზე იქნება; შეძლებს სიცოლის შეკავებას, ასე მალიმად და ფუჭად აღარ დაიარჯავს. ამიტომაც ჩქარობდა, სანამ პირს მიაბრებდნენ, სანამ უშვერი გაცეცების ჟურნალით გაცეცილდნენ; და დაქალებს დაიჭირეს ჩვეული ადგი-ლიღმი, საიდანაც ჩანდა, როგორ წნდებოდნენ ჯველი ქალ-ვაფერი წყვილ-წყვილად რიცებუშა გასასვლელში, ვერცხლისფერ ციალექვმ.

შუბი ჩაქრა; ეკრანი ვერცხლისფრად აელვარდა და ნელ-ნელა იფურქენებოდა ცხოვრება, თვალწამტაცია, მღელვარე და სევდიანი. შემოდოდნენ ჯველი ქალ-უბი, სურნელება და შროალი იფურქეოდა დარაზის ზინდ-ბუნდში. ფაქის და კრილა სილუეტებად მოჩანდა მათი ფუფთი ზურგები, მათი კობტა და მკვირცხლი, უბერული და ლეთაქრლივად ნორჩი სხეულნი, ხოლო მათ თვალნი, მუწურებლივად გარდუვალად ზეიადებო-და ვერცხლისფერი ოცნება.

მინის სიცილი აუტყდა. ჩაჩუმებას რომ ლამობდა, ამით უფრო ახმაურდა. თავები მოუბრუნდნენ. სიცილი არ შეუნკვეტია, დაქალებმა ნამოაყენეს და გარეთ გაუშვერენ. იდგა ტროტუართან და ხმამალა, უწყებტად იცინოდა, ვიდრე ტაქსი მოადავლიდა და სწრაფად მოაფურებდნენ მანქანაში.

დაქალებმა გახადეს ვარდისფერი სიფრფეა კაბა, ნახტოლ საცვლები და გრძელი წინდები, ლოგინში ჩაანდინეს და ყინული დაუსხვრიეს საფეუქლებისათვის, და კაცი გაგზავნეს ექმნის მოსაყვანად. მისი ოვნა გაჭირდა. ასე რომ, დაქალები, ხმადანუელი ნამოძახილებით, თავად უვლიდნენ მინის, დროდადრო ყინულ უცვლიდნენ და მარაოთი უტრილებდნენ პირისახეს. სანამ ყინული ყინულობდა, მინი შეწყვიტა სიცილი და ერთხანს წყნარად ინვა, მხოლოდ ოდნავ კენე-

სოდა. მაგრამ მალე ისევ ნასკდა სიცილი და ხმა აუცილ-და.

„სუ! სუ! სუ!“ — აწყნარებდნენ დაქალები, უცვლიდ-ნენ ყინულის ტომსიკას, უსწორებდნენ თმას, აკვირდ-ბოდნენ, ქლარა ხომ არ შევაარაო; „საბრლო გოგო!“ მერე ვადუაბარაკებდნენ ერთმანეთს: „შენ როგორა გგონია, მართლა მოხდა რამე?“ იდუმალებითა და ვნებით აღსავსე თვალები ღრმად უელავდათ. „სუ! სუ! საბრლო გოგო! საბრლო მინი!“

V

უკვე შუაღამე იდგა, როდესაც მაცლენდონმა მანქანა მიაყენა თავის ახალ სახლს. სახლი იყო მოზდენილი და პენიანი ჩიტის გალიასავით და თითქმის ასევე მოძვრო. ხასხასა მწვანე და თეთრ ფერად შედებოდა. მანქანა ჩაკეტა, ზღურბლზე ავიდა და ოთახში შეაბიჯა. მისი ცოლი ნამოდაგა სავარძლიდან, მაგიდის ლამპის გვერდით რომ იდგა. მაცლენდონი შეჩერდა, ცოლს მიაჩერდა, ვიდრე ძირს არ დაახრეცინა თვალები.

„შუხედ საათს“, — თქვა მან, ანუელი მკლავით მინიშნა. თავჩაქინდრული ქალი წინ აეტუზა ჟურნალით ხელში. ფერმკრალი, დაძაბული და ილაჯგანყვეტილი პირისხედ ჰქონდა. „ხომ ვითხარი, რომ აქ ასე არ უნდა იდგე იმის მხოლოდნიში, რომ დაინახო, როდის დავბრუნ-დები შინ“.

„ჯონ“, — თქვა ქალმა. ჟურნალი დაყო. ფეხისწერე-ბზე შემდგარი მაცლენდონი ლადადა თვალებითა და გათფლილი სახით შეჰყურებდა.

„რამდენჯერ უნდა ვითხრა, ჰა?“ ჯიქურ დაიძრა ცოლისკენ. ქალმა თავი ასწია. ქმარმა ხელი ჩაავლო მხარში. ის კი მოდუნებულყოფა და მიმტერებოდა.

„არ გინდა, ჯონ. რა ვენა, ვერ დავიძინე... ხომ ხედავ, ცხელა; რაღაც... გეყოფა, ჯონ. ძალიან მტკივა“.

„რამდენჯერ უნდა ვითხრა?“ ცოლს ხელი გაუშვა და მერე გაუქანა. ჩაანარკდა სავარძელში. იქ ჩადგებულმა ქალმა უხმოვ გააყოლა თვალ ოთახიდან გასულ ქმარს.

მაცლენდონმა გაიარა სახლი, თან პერანგს იფრენდა ტანზე. მერე ეთხანას იდგა ჩანტელულ ვერანაზე, რკინის ბადე რომ ჰქონდა აბრული. თავი და მხრები შეიშრალა პერანგით და მოსიროლა. თქვიდან პისტო-ლეუტი დაარო და სანოლის გვერდით მაგიდაზე დადო, ჩამოჯდა სანოლზე, ფეხსაცმელი გაძირო, ნამოდაგა და მარეალი გაიხადა. ოფლმა ისე დაასხა, დაილუნა და გაშმავებით ეძებდა პერანგს. ბოლოს იპოვა და ისევ გაიმშრალა ტანი. შუბლი მიადო მტკრიან რკინის ბადეს, სულმეხუთული იდგა. ირგვლივ არაფერი იფრეოდა, არაფერი ხმანობდა — არც ფოთოლი და არც მწერი. ბნელთი მოცული სამყარო თითქოს განგმირული ინვა და ზედ დაჰყურებდნენ გულცივი მთვარე და უძინარი ვარსკვლავები.

ინგლისურიდან თარგმნა
მამაზ ნატროშვილა



თამაზ ნატროშვილი

გვალპიანი სექტემბერი ალარ დაღვაჟაო...

ქართული რომ ცვოდნოდა, ფოლკენრი უქველად ნამოძახებდა: შარო, საიდან მოდიხარო?! რა ბრალდებანი არ მოუსმენია სხვადასხვა ჯურის კრიტიკოსთაგან — ხისსატკიცის აპოლოგია, მიდრეკილება მანკიერებათა აღწერისადმი, ტენდენციურობა სამოქალაქო ომზე თხრობისას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ლიტერატურული ოსტატობაც კი დაუწუნებიათ. მაგრამ აქამდე რასოსტად არაეის მოუწათლავს. და ცოტათი მაინც თუ იცნობ ფოლკენრის ნაწერებს, მისი რასისტობა როგორ მოგიცა თავში?! რასისტობა რა სათქმელია, რატომღაც ჭირივით რომ გვეჯავებოდეს ზანგები, ფოლკენრი უმაღლე შეგავარებდა.

ასეა თუ ისე, ახალგაზრდა ამერიკელმა მწერალმა (ზანგმა!) ჯეიმზ ბოლდუინმა, უკვე რომ ჰქონდა მოხვეჭილი სახელი, ზემოთქმული ბრალდება საჯაროდ ნამოუყვანა ამერიკული პროზის დიდოსტატს.

ყველფენრი კი ასე დაიწყო:
1956 წლის დამდეგს ალბამის შტატი, სადაც რასისტული შხამი სამხრეთის კვალბაზეც კი ძალზე საგრძნობო იყო, ააფორიაკა მითქმა-მითქმამ, რომ ერთი ზანგი ქალიშვილი ამირება სწავლის დანყებას ადგილობრივ უნივერსიტეტში. ეს მალე დადასტურდა და, როგორც იტყვიან, ატყდა ბაზარი.

უნივერსიტეტის სამეურვეო საბჭო ერთსულოვნად აღსდგა საუკუნეობრივი ტრადიციის დარღვევის ნინაღმდეგ. ზანგებმა ზანგურ უნივერსიტეტში უნდა ისწავლონ! მაშინ ვამინგტონი ჩაერიდა საქმეში და დაავალდებულა შტატის ხელისუფლებას, რომ სწავლის მსურველისათვის უზრუნველყო მისი კონსტიტუციური უფლება. ამან საყოველთაო ვებათაღლევა გამოიწვია, რომელიც შესაძლოა აფეთქებდა გადამცველყოფა. ალბამაში, და მთელ სამხრეთშიც, დარწმუნებით გაიძახოდნენ, რომ ზანგი ქალიშვილისათვის სწავლების პირველი დღე გახდებოდა უკანასკნელი დღე სიცოცხლისა. ამასვე შიშობდა ფოლკენრი.

გინდა-არ გინდა, ნობელის პრემიის ლაურეატი სამხრეთელი მწერალი ესოდენ მასშტაბურ კოლირიებს ვეღარ დაემტკიცებოდა შეჩვეულ ცხრაკლტულში. საჯარო გამოსვლებს ყოველთვის კრიტიკობდა ხოლმე, თავის აზრებს საზოგადოებრივ პრობლემებზე თავისთვის ინაბავდა, ახლა კი სიცოცხლეში პირველად თვითონვე დაიწყო ძიება ტრიბუნისა, საიდანაც მთელ ქვეყანას და, ალბათ, მთელ მსოფლიოსაც ეტყუოდა თავის სათქმელს. მოლაპარაკება ტელევიზიასთან უშედეგო გამოცდა. მაშინ ფოლკენრმა ინტერვიუ მისცა რასელ უორენ მოუს, ლონდონის „სანდი ტაიმის“ ნიუ-იორკელ კორესპონდენტს. ინტერვიუ, რა თქმა უნდა, დაიბეჭდა და სამი კვირის შემდეგ გამომოქვედეს ამერიკაში.

ფოლკენრი აცხადებდა, რომ სამხრეთი იარაღს ისხამს და აჯანყებისათვის ემზადება, კვლავ შეპყრობილია 1860 წლის სულისკეთებით, რომელსაც, ალბათ, მოჰყვება ახალი სამოქალაქო ომი და ახალი დამარცხება სამხრეთისა.

განგაშის ზარებს რეკდა: „მე ვიცი რომ ადამიანებს, რომლებმაც არსადრის აულიათ ხელში იარაღი, ახლა კი გამაღებთ ყიდულობენ შხამანებსა და ვაზნებს“.

დაზახ ექობავებოდა იმ ზანგებს, ესის ღირსება და სამართიანობის გრძნობა ვერ ეგუებოდა უთანასწორობას, ოღონდ კომპრომის ებლაუქებოდა: „ზანგს აქვს უფლება თანასწორობისა. ეს გარდუვალა. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ადამიანური ბუნება, რომელსაც ზოგჯერ არაფერი აქვს საერთო მორალურ ჭეშმარიტებასთან. ჭეშმარიტება ერთს ამბობს, ფაქტი — მეორეს. მორალური ჭეშმარიტება რომ დევუპირისპიროთ რეალურ ფაქტს, ეს სისუფლება“.

უწრწლისტმა შენიშა, რომ ევროპაში აკრიტიკებდნენ „ნელი პროგრესის“ პოზიციას, ვინაიდან ენებული მსხვერპლი მეტ თანაგრძობობას იჩვევს, ვიდრე უჯალათი. და ამაზე რას იტყვიან?

ფოლკენრმა ასეთი პასუხი გასცა: „ევროპელი კრიტიკოსები მართლმდინ არიან მორალური თვალსაზრისით, მაგრამ ადამიანის სულში მოქმედებენ მორალზე უფრო მძლავრი იმპულსები. ჩვენ ვიცით, რომ რასობრივი დისკრიმინაცია მორალურად ავი რამ არის, ის ყარს, ვიცით, რომ ის არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ის არსებობს“.

ფოლკენრი, სხვათა შორის, იმასაც ამბობდა, რომ სეკრეტაცია, არცთუ იშვიათად, თავად ზანგებს როდინ ქროთირებოდათ. ნიშუშად მოჰყავდა განწყობილებანი ღრმა სამხრეთში, სადაც ზანგს თავისი ეკლესია და თავისი სკოლა გრივნა თეთრკანიანებთან აღრევას.

ფოლკენრის ინტერვიუმ ფართო გამოძახილი ჰყოფიან ორივე მხარეს.

საყვედურობდნენ, რომ მწერალს, რომელიც ყოველთვის იცავდა ზნეობას და ღირსებას, სიკეთესა და გულმონყალებს, ახლა დაუნეტა მტკიცება — არსებობს რაღაც, მორალურ ჭეშმარიტებაზე მალდა რომ დგასო.

ბოლდუინმა ხომ რასისტად მონათლა ფოლკენრი, ცნობილმა ზანგმა ლიტერატორმა და საზოგადო მოღვაწემ ულიანამ დიუბუამ კი საჯარო დებატებში გამოიწვია — მისისიპის შტატში სკოლებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის დესეგრეგაციის თაობაზე, მაგრამ უარი მიიღო: თქვენი პოზიცია მორალურად, იურიდიულად და ეთიკურად სამართლიანია, ხოლო ჩემი მონიშნება სიმშვიდისა და მოთმინებისაკენ, პრაქტიკული თვალსაზრისით, მართებული არისო.



ფოლკენერი უაღრესად გულახდილი იყო: „მე არ ვემზობოდი ძალადობრივ ინტეგრაციას, ისევე, როგორც — ძალადობრივ სეგრეგაციას. თუკი მომიწევს არჩევანი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და მისი სისიძის შტატის მთავრობის შორის, მე ავირჩევ მისი სისიძის. ამტყობად სწორედ იმას ვცდილობ, რომ ავიცილონო აუცილებლობა ამგვარი არჩევანისა. თუკი არსებობს რაღაც შუათანა გზა, მაგას რა სჯობს. დაფადგები მაგ გზას. მაგრამ თუკი საქმე ომამდე მივიდა, მე დაფადგები მისი სისიძის შტატის მხარეზე შეერთებული შტატების წინააღმდეგ. მაშინაც კი დაფადგები, თუნდაც ეს იმას ნიშნავდეს, რომ ქუჩაში უნდა გამოვიდეს და სროლა აეუტეხო ზანგებს“.

ზანგებს სროლა აეუტეხოთ? ლიბერალური საზოგადოებრივი აზრი, ხანდახან ყოველგვარ ტრანაინაზე საზარელი და საშიში რობაა, აზვირთდა და აღმოფიქრებული წერილების ნიაღვარმა კინაღამ ნალექა მწერალს.

ასეკიდნდენ, რომ ეს გამოსვლა შემთხვევითი არ ყოფილა. ვახისხენეს, რომ ადრევე გამოუთქვამს მსგავსი რაღაც-კიულალები; ასე მაგალითად: „მე ვამტკიცებდი და ვამტკიცებ, რომ სამხრეთელები არ არიან მართალინი, რომ მათი პოზიცია უწინადაცაა, მაგრამ თუკი მომიწევს შეეცქეხო იმავე არჩევანს, რომელსაც შეეჩება რობერტ ლი“, მე ვიცი, რასაც ვიზამ. ჩემს დიდ-პაპას მიწებზე ვაყვად და მას ესმოდა, რომ ეს უწებობაა. და მაინც ჩაირიცხა კონფედერატოთა ერთ-ერთი პირველ პოლკოთავანში, ოღონდ იცავდა არა თავის ეთიკურ პოზიციას, არამედ — მშობლიურ მიწას, სადაც შემოიჭრნენ დამპყრობელები“.

ერთი სიტყვით, სამშობლო — ქემშარიტებაზე მაღლა. ასე დაუპირისპირდა ფოლკენერი დოსტოევსკის ცნობილ ფორმულას: ქემშარიტება — სამშობლოზე მაღლა...

ფოლკენერმა თავის მართლებს სცადა ფურნალში, რომელსაც ძირითადად ზანგები კითხულობდნენ. მოუწოდებდა მავკანიაზე, უკუეფეთ ძალადობა და მაშობმა განდის გზას გააყოლოდნენ. მოთმინება, სიმშვიდე და ღირსება — აი, ეს სიტყვები უნდა დაეწერათ სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის დრომანზე.

მაგრამ ორ ცეცხლშუბა მოქცეული მწერალი ასე იოლად ვერ გაუმკლავდებოდა ცილისწამებათა და ბრალდებთა კონფიერს.

მრდილოების სულთამამყრობელი ლიბერალები და რადიკალები უკიციხებდნენ: რასიტები ხარო!

მართლმორწმუნე სამხრეთელები სწამებდნენ ანტიპატრიოტობის. მკრეცხლხობად მიჩაზდათ ფოლკენერის კომპრომისული პოზიცია.

როდესაც ფოლკენერმა გააპროტესტა სასიკვდილო განაჩენი, რომელიც გამოუტანეს ზანგ მამაკაცს თეთრკანიანი ქალის გაუპატოურების ბრალდებით, თუკი პროკურორმა მწერლის გამოსვლა ახსნა მისი მდიდარი წარმოსახვით ანდა კომუნისტებთან კავშირით.

* რობერტ ლი — გენერალი, სამხრეთელთა არმიის მთავარიწრადელი ამერიკის სამოქალაქო ომში (1861-65).

გადახვდნდენ ფოლკენერის შემოქმედებასაც. ცნობილ-მა ამერიკელმა კრიტიკოსმა მაქსუელ გეისმარმა აღნიშნა, „ნემტის შემბილწელები“ სამხრეთელი შოენისტის ხელთ არის დაწერილი. ხოლო სამხრეთელებმა ეს რომინიც ანტიპატრიოტულ წარმართებად მტრადცხეს.

ასეთი იყო მწერლის ბედი გუმბედელ ამერიკაში... „გვალვიანი სექტემბერი“ პირველად გამოქვეყნდა 1931 წელს.

ამერიკული ლიტერატურის იმ განიერსა და ერთობ პოზულარულ ნაეადში, რომელსაც პირობებად შეიძლება ვუწოდოთ „ბიძია თომას ქოხის“ მექვიდრება, ფოლკენერის ეს მოთხრობა აშკარად გამოირჩევა და ეგებს უნიკალურიც კი იყოს. გამოირჩევა იმით, რომ უდანამაულოდ განწირული ზანგის სიბრალულის გარდა მკითხველის გულში ანალოგიური თანატრობობა შეიძლება გამოიწვიოს იმ თეთრკანიანმა ქალმავე, რომელიც სათავეა ჩადენილი პიროტომქმედებისა. ფოლკენერი დაწერილებით გადმოგვცემს მარტოხელა და გადაწმინფებული ქალბატონის დრამატულ განცდებს. მარტო ის რად ღირს, თავის თანატოლებს რომ ევედრება, თქვენი შვილები „დეიდას“ ნუ შეხაზიან, „დეიდაშვილი“ დამიბიხარო.

ფოლკენერი აღამიანებს არა ჰყოფს თეთრკანიანებად და მავკანიაზე. მისთვის მთავარა აღამიანის სულის წარმონაღებ და კვლევა-ჩაიძება — გაწერჩველად რასისა თუ სქესისა. ფოლკენერს, როგორც აღამიანს, შესაძლოა არც ექსპნიკებოდეს ეს ნერვოზთიკური შინაბერა, მაგრამ როგორც მწერალი უყვარს იგი და ესმის მისი.

ალბათ ეს არის ნამდვილი მწერლობა, რომ გიყვარდეს; რისაღებ მესაქოვც და დახიცილი უფლისწულებიც; რასკონილია მოვც და ბერუხანა მეფხაშეც; მეფე ვიორც პირველთა და ხუროთმოძღვარი არსაკიძეც.

კიდევ ერთ გამოირჩევა „გვალვიანი სექტემბერი“?

გამოირჩევა იმით, რომ ფოლკენერი გვაცნობს იმ თეთრკანიან კაცსაც, რომელიც გასული საუკუნის ოციანი წლების სამხრეთელ ქალაქში არ იხიარებს საყოველთაო რასისტულ ალტიკინებას და პასიურად უპირისპირდება მოძალათოთა გაბოროტებულ ხროვას. მაგრამ მისი სიმარტული, როგორც ხშირად ხდება ბოლშე, არაფრის მაქნისი და უსუსურია მტყუანი უმრავლესობის წინაშე.

და ჯეფერსონელი დალაქის უშწილი ხმა ვაისმის ისე, როგორც მომაკედაფი საღამოს მეწამულ ფერებში უაღრეს, პიტალ კლდეზე საბილდნურო, ბოლო ზარის რეკისას მოსმენილი ხმა, სუსტი, დაუდუმარი ხმა აღამიანისა — ოცი წლის შემდეგ რომ იტყვის ფოლკენერი სტოკოლმის სახეიმი ცერემონიალზე.

რას წარმოადგენდნენ ის მქვინარე მოძალადენი და თუნდაც ფოლკენერი, მარადგამს მოიმედე აღამიანის სიმამცის, პატოისნებისა, სიამაყისა, ლობიერებისა... რომ XXI საუკუნის დამდეგს თეთრ ხაზში შემტანდებოდა მავკანიანი პრეზიდენტი, ვისაც თითქმის მთელი მსოფლიო ტამს უკრავს აეანსად — სწელით გულიათის გამოქეების ნატვრითა და სურფილით, რამეთუ ნეტარ არიან მორწმუნენი: ღონე, უსათუოდ, სიკეთეს უნდა ემსახურებოდესო.

ქლეჩი და მირცხლავი

გასული საუკუნის მოსკოვში გამწვანებულ დასავლელ დიპლომატთა ისედაც გახლავართებულ ცხოვრებას ავ დაღს ასვამდა ნერწყვის-მომწვეველი ჩრდილის ცვალი. ავბორცი სუსნიები თავდავიწყებით უნაფებოდნენ თავლით სასუქ კასრს და მერე ერთი კოვზი კუბრიც უნდა ეგებათ.

როგორც ცნობილია, სექსუალური კომპრომატი გემრიელი ლუქმაა სპექსამსახურებისათვის — მით უფრო მაშინ, როდესაც დიპლომატი პოტენციური თუ რეალური მტრის ქვეყანაში ენება თავის უმძიმეს ქაანს.

ამის თაობაზე უნდა დავიძინოთ რამდენიმე პიკანტური ეპიზოდი ინგლისელი ავტორის ჩემპენ ჰინტერის ნიგნიდან „მათი ხელობა არის ლაღატი“ (ლონდონი, 1981).

იფაა 1968 წელი. პარიზში ბოზოქრობდნენ სტუდენტები, პრადამი — საბჭოთა ტანკები, ბოლო დიდი ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში ჯეფრი პარისონი, გამოცდილი დიპლომატი და „ვერავი ალბიონის“ ლირსეული სახე, თავქარიანი ყმაწვილივით გაება „კაგებეს“ მიერ დაგებულ ხაფანგში. მომხიბლავმა რუსმა მოახლემ, სახელად გალიამ, მინიმნაა ჯეფრის, ყველაფრისათვის მზადა ვარო. და აცუნდრუკებულ პირტანეთის ელჩი წინააღმდეგობის გაუნველად დანებდა ჩრდილოელ ვარსკვლავს. ფოტოკამერამ გულცივად აღებჭდა მათი მხურვალე პატივის ყველაზე ინტიმური მომენტები.

გალიამ მალე გაუხსნა კარტები თავის მიჯნურს: ჩავარდით და ახლა ისდა დაგვრჩენია, რომ კაგებეს ფასეული ინფორმაცია მივაწოდოთ, „ნატოს“ საიდუმლოებანი ჩაუკაკლოთ, თორემ საქვეყნოდ თავს მოკვჭრანო.

ამის გაგონებაზე ჯეფრი პარისონს უძალედ დაეძმინდა გალიასგან დაბინდული გონება და თავისი გასაქიჩი აცნობა მეგობარს, რომელიც „ფორნი თვისში“ მსახურობდა. ელჩი სასწრაფოდ მიხსნა ლონდონში. დაკითხვაზე განაცხადა, მხოლოდ ერთხელ შევხვდი გალიას რეზიდენციის სამრეცხაოში. ბრიტანეთის უშიშროების სამსახურს თვზარი დავეცა: კაგებეს ფოტოგრაფი — კარგად დაცულ საულწოს რეზიდენციაში?

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ პარისონი ურცხვად ტყუოდა. რის სამრეცხაო, რომელი სამრეცხაო, თორემ სისტემატად (კურიში სამჯერ) ხედვებოდა გალიას იმ ბინაში, რომელიც ჩვეისტთა კონსპირაციული შეხვედრებისათვის იყო განკუთვნილი. სწორედ იქ „ჩააპარტიკეს“ და არა მითორ სამრეცხაოში!

დღესულოდნად მუტევეს, მხოლოდ და მხოლოდ გადაყენებს (დიდი შაკებით) და სასული პენსიაც დაუნდობს (აი, რისი ნიშნავს თავისუფალი სამყარო! საბჭოთა დიპლომატს ასეთი დანაშაულისათვის დედაბუდინად გააქრობდნენ).

ახლა კანადური ვთქვათ.

ჯონ უოტკინსი, კანადის ელჩი მოსკოვში და პრემიერ-მინისტრ ლესტერ პირსონის ახლო მეგობარი, იმდენად

ცნობილი პოპოსექსუალი იყო, რომ შექვიფანებულმა ნიკიტა ხრუსჩოვმა საჯაროდ გამოაჩენა სადილზე, რომელიც კანადის მთავრობის დელეგაციას გაუმართეს ყრიმში.

ამასობაში, 1963 წელს, დასაღლეთს თავი შეაფარა რუსმა კინოსცენარისტმა იური კროტკოვმა, რომელიც იმავდროულად კაგებეს აგენტი იყო, და ლონდონში გულუხვად დადგვა ყველაფერი, რაც იცოდა და რაც არ იცოდა. ბრიტანეთის კონტრდაზვერვას მოახსენა, რომ ერთხელაც კაგებეს მიერ დავრეებული ულავი ტკიბილად გაუმასპინძლდა კანადის ელჩს იმ ბინაში, სადაც ფარული კამერა იყო დამონტაჟებული. ამის წყალობით კაგებე წარმატებით აწინააღმდეგა მამრთა მოყვარულ ვაჭატკონს.

ჯონ უოტკინსი სასწრაფოდ დაიბარეს კანადაში, კარგად რომ დაეკითხათ, მაგრამ უდროოდ გამოცხადდა ხელიდან — გახში გულის შეტევით გარდაიცვალა.

კროტკოვმა საფრანგეთის ელჩიც ჩაადგო (ჰინჩერი რატომაც არ გვიმხელს მის გვარს). იგი დახვეწილი ჯენტლმენი ყოფილა, მაგრამ ცდუნებას რას გაუძლებდა, როდესაც კროტკოვს მისთვის წარუდგენია საბჭოეთის თვალაწინი და თვალწარ-



ამადიო მოდილიანი მიწვეული ქალის პორტრეტი

მტაცი აქტრისები, რომლებიც შეთავსებით ეახლებოდნენ ირიცხებოდნენ კაგებეს შტატში.

ინგლისელებმა დაუყოვნებლივ აცნობეს ფრანგ კოლეგებს კროტკოვის ინფორმაციის და ელჩი პარიზში იქნა განკუთვნილი. რამდენიმე დღის განმავლობაში ინტენსიურად დამკითხავდნენ, მაგრამ საქმეში ჩაერია პრეზიდენტი ევ გლო, ძველი მეგობარი ამ ზაზაბნეული ელჩისა, და გასჭრა უზენაესმა პროტექციამ.

კაგებეს ყოფილი პოლკოვნიკის ოლეგ გორდევსკისა და ინგლისელი მკვლევარის კრისტოფერ ენდროუს ერთობლივი ნაშრომიდან „კაგებეს“ (ლონდონი, 1990) არცკვია, რომ ზემოხსენებული საფრანგეთის ელჩი გახლდათ ლეანდოზილი დიპლომატი მორის დეფანი, რომელიც 1956 წლიდან იმყოფებოდა ამ პოსტზე მის კოვში. სამცდათისი წლის „რომეო“, ვიდრე პარიზს გაიწვედნენ, უმონყალოდ გაულახავს ერთ ახალგაზრდა ჩვეისტს, ეჭვიანი მჭრის როლს რომ ასრულებდა.

საფრანგეთის ელჩის მზარდაბნობა იღვრნადა სამედრო-საპაპრო ატაშე პოლკოვნიკი ლივი გიბო. როდესაც მას ფოტოკომპრომატები ვააცნეს, ბეერი არ უფიქრია, აილო და თავი მოიკლა!

ენამონწრებულმა მოსკოველმა ჩვეისტებმა იმ მაცდუნებულ ქალბატონებს, თავისი სხეულით ერთგულად რომ ემსახურებოდნენ საყვარელ სამშობლოს, თურმე „მერცხლები“ შეარქვეს...

რაც შეეხება ნაელჩარ მორის დეფანს, 1979 წელს საბჭოთა მთავრობამ დააბეჭდათ 80 მილითავი ნიუსიუცა და ხალხთა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა.

კახეთის მუშა
სტამბოლის უნივერსიტეტი

საცაა ორი საუკუნე იქნება, რაც უწყვეტ ნაკადად მოედინება მხატვრული თუნახეერად მხატვრული თხზულებანი გიორგი სააკაძეზე. ღმერთმა შეარგოს! მაგრამ სხედება რა დაამავეს? აგერ ალექსანდრე კახთა მეფის (1574-1605) უარესად გონიერულ და ნაყოფიერ მოღვაწეობას, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებდა სააკაძისას და ეგებ ალექსანდრე კახეთის კიდეც, მარტოდღა ლევან გოთუას მადლიანი კალამი შეეხო (ტრილოგია „გმირთა ვარამი“).

შედეგიც თვალწინ არის: ნებისმიერი ქართველი გაცემთ პასუხს კითხვაზე, თუ ვინ იყო გიორგი სააკაძე, ხოლო ალექსანდრე კახთა მეფის სახელი ასიდან ერთმა რომ იცოდეს, მადლობელი ზრძანდებოდეთ.

მოგვეპოვება სააკაძის საყოველთაოდ ცნობილი პორტრეტიც — იტალიელი მისიონერის კრისტოფორო კასტელის ნახელები.

ალექსანდრე მეფის მინიატურული სახეება კი ჩვენივეს შემოუნახავს ოსმალთა მხატვრის ყალამს. ალექსანდრე რომ მოსწრებოდა კასტელის ჩამოსახლას საქართველოში (ანუ კიდევ ოცდახუთი წელიწადი ეცოცადა), ცნადა, უკეთეს ნახავს ვიზილადათ, მაგრამ რაც გვაქვს, ესეც დასაფასებელია.

სტამბოლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ხელნაწერი ასაფის თხზულებისა „სეიაპათ-ნამე“ (მოგზაურობათა წიგნი), დათარიღებული 1586 წლით და, აღმოჩნდა რომ ტრადიციისამებრ, უხვად დასურათული ფერადი მინიატურებით. ჩვენს ყურადღებას იპყრობს სამი მათგანი: პირველი ასახავს სვიმონ ქართლის მეფის მიერ მოგვულ ბრძოლას არზრუმის ფაშასთან (1582 წელს, მუხრანის ველზე), მეორე — ოსმალთაგან თბილისის აღება (1578 წ.), ხოლო მესამე — ალექსანდრე კახთა მეფისა და ოსმალთა ლაშქრის მთავარსარდლის ლალა მუსტაფაფაშას შევიდობანი შეხვედრას (1578 წ.).

პირველი და მეორე მინიატურა, სასტიკი ბრძოლის მიმდინარეობას რომ გადმოგვცემენ, ფრიად დინამიკური და ექსპრესიული, მესამეს კი დარბაისლური იერი და სიღიზიჯე ახასიათებს, რაც საუკუნით გასაგებია, ვინაიდან აქ ოსმალი და საიხსლისფერას როდი გზავდეთ, არამედ — დიპლომატიკურ მოლაპარაკებას.



ლალა მუსტაფა-ფაშა და ალექსანდრე მეფე

მხატვარს კომპოზიციის ცენტრი მოუთავსებია მთავარი ფიგურები: ოსმალთა მთავარსარდალი და კახეთის მეფე. ნარნერა თურქულ ენაზე მოგვითხრობს ორივე პიროვნების ვინაობას: „ლალა ფაშა“ და „ალექანდ-ოღლ“ (ძე ლევანისა).

როგორც ჩანს, მოლაპარაკება გამართულა ოსმალთა სამხედრო ბანაკის ერთ-ერთ კარავში, მდიდრულად რომ იყო მორთული. ოსმალთა მასპინძლისა და ქართველი სტუმრისათვის (ალბათ, მისი პატივისცემის ნიშნად) სკამები დაუფეგამთ ძვირფას ხალიჩაზე.

ლალა მუსტაფა-ფაშა, აღმზრდელი ოსმალეთის ხონთქრისა, საკმაოდ ხანდაზმული ჩანს — თეთრი წვერთა და თეთრი ჩალმით დაშმუნებული. მხატვარს გამოუსახავს ფეხში, ძვირფას აღმოსაფლურ სამოსელში გამოწყობილი მთავარსარდალი, რომელსაც ერთ ხელში უჭირავს თეთრი პირსანმენი და მეორეში — ფალა.

საგულისხმოა, რომ ისინი ერთმანეთს არ შეპყრებენ. ორივეს სახეზე შინაგანი დაძაბულობა და ერთგვარი უნდობლობაც კი შეიძლება ამოვიკითხოთ. იგრძნობა, რომ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი და სერიოზული გადაწყვეტილების ნიშნად მდგანან.

ალექსანდრე მეფეს ორივე ხელით ჩაუბლუჯავს თავისი სარტყელი (ეტიკთა, ნერვიულობა). აქვე იწყოფებანი ოსმალთა მთავარსარდლის მოხელენი და მხლებელნი. ისინი გულისყურით ადევნებენ თვალს მოლაპარაკების მსვლელობას.

მინიატურაზე გამოსახულ არიან ქართველი დიდბულებიც — კომპოზიციის ქვედა მარჯვენა კუთხეში. მათი მშვნა მიმართულია უშეხედრო ცხენისკენ, რომელსაც ოსმალთა მთავარი პატირობის. ერთი შეხედვით მოგვცემება, თითქოს ცხენი ღამობდეს ოსმალთს ხელთაგან დასისტომას. ძვირფასი უნაგირი და ქართველთა თვალთვალი გვაფიქრებინებს, რომ ცხენი ალექსანდრე მეფისა უნდა იყოს.

ლალა მუსტაფა-ფაშას მსახურებს ხელით უპყრიათ ზარდახმა და ხმალა — ალბათ, კახეთის მეფემ ძღვნად მიართვა ოსმალთა ღამქრის მთავარსარდალს. ამ მინიატურაზე ასახული სცენის დათარიღება ძალზე იოლია, რადგანაც საისტორიო წყაროებიდან კარგად არის ცნობილი აღნიშნული შეხვედრის დროცა და გარემოებანიც...

ქრონიკა

ამას წინათ, ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაში, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ დანერგული ყოველწლიური პრემიის „ბიბლიოთეკარის რჩეული“ ლაურეატებად დასაბეღენენ:

აკა მორჩილაძე — მხატვრულ პროზაში; შერი მორტიანიძე — დიდი ესპანელი კლასიკოსის მიგელ დე უნამუნოს რომანების („აბელ სამინესი“ და „სიყვარული და მედაგოგოცა“) საუკეთესო თარგმანებისათვის.

მისტიკური ლაბირინთი (ღია ბარათი ხათუნა თავდგირიკის)

ხათუნა, დღეს დავაშთავრე შენი ზღაპრების ყულაბა „ჰომო ტოტუსი“. ნელ-ნელა, დაგემოვნებით ვკითხულობდი ზღაპრულ ამბებს, სადაც ჩემთვის უშთავრესი აღმოჩნდა შენი დამოკიდებულება საგნების, „ძველი ამბების“ და ადამიანების მიმართ. გამაბკვირვავ უნარმა, როცა ხილვისა და შეგრძნების მოხელთებას და ამით მკითხველზე ზემოქმედებას ახერხებ დაუძაბავად, სრულიად ბუნებრივად. ეს არის გრძნეულებითა და ნარმართული შელოცვებით აღსავსე ტექსტი და აქ ადამიანები ისე იბადებიან და ქრებიან, მერე ხელახლა ევლინებიან ქვეყნიერებას, როგორც შე ალვიქვამ ხოლმე სან უთროს პერსონაჟებთან ერთად.

ნინგი მშვენიერად აკიგია, მიმზიდველი არქიტექტონიკაა. ერთმანეთზე ასხმული ამბები კითხვისას ჩემზე მძაფრად ზემოქმედება, თან იმ დინამიკის ფონზე, უნებლიეთ რომ ჩნდებიან ახალი პერსონაჟები, უდაბნოს ქვიშის მისტიკური მეტაფორა და ქვიშის საათები, მოხეტიალე სულები, რომლებმაც იციან, რომ აქ დროებით არიან, მაგრამ ისიც იციან, რომ იქაც დროებით მიდიან.

ამ ნიგნს მე დავარქმევდი შეგრძნებათა ნიგნს ან გრძნეულებათა ლაბირინთს.


პიკანტურ შეგრძნებებსაც ვგულისხმობ და მისტიკურ საკვებსა და გამაახალგაზრდავებელ ნივთიერებებსაც, რომელ ზეც დაუფარავად ლაპარაკობენ შენი სიზმრის გამოჩენი და შენც, როგორც მთხრობელი, როცა – როგორც ავტორი – მართავ შენივე პერსონაჟებს, თუმცა ზოგჯერ ეჭვიც შეგარება: დროდადრო ისინი ხომ არ გემართავდნენ? არ მეგონა, ამ ბოლო ხანს ასე მძლავრად თუ კი რამე ამიყოლებდა.

და კიდევ ერთი: ნარმოსახვის უნარით ჩემი გაკვირვება ცოტა არ იყოს ძნელია, მაგრამ შენ გამაოცე ნარმოსახვის ფიქრვერკებით. მთავარი კიდევ ის არის, რომ შეგრძნებების გამხელისას უაღრესად გულწრფელი ხარ, მაშინაც, როცა პიკანტურ საკითხებზე ლაპარაკობ, მაშინაც, როცა გარკვეულ ინტრედიენტებზე საუბრობ, მაშინაც, როცა სიყვარულით გადავსებულ წყვილს აღწერ...

და მისტიკური თხრობისთვის აუცილებელი კონოტაციები, მეტაფორები, პარაბოლები და მეტონიმიები ანუ ხილვათა და შეგრძნებათა სიტყვიერი ფრაგმენტები, მათი გაცოცხლების საკრალური პროცესი.

ეს ჩემი ნაუცბათევი ჩანაწერია. ამ ნიგნის ნაკითხვის შემდეგ ერთით მეტი ვარ, ვიდრე ვიყავი.

გივი ალხაზიშვილი





376038

ზავენ ავაკიანი